„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

№44 (308)

ფასი 1 ლარი

11 – 17 ნოემბერი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გაზეთის დამფუძნებელია

www.qartulisityva.ge

გაზეთი „ქართული სიტყვა“ ინტერნეტში

ეროსის ქვრივი „რუსთავი 2“-ისთვის ბრძოლას იწყებს?!

რის გამო მოხდა ეროსი კიწმარიშვილის, დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის განხეთქილება

>>> მე-8 გვ.

„ძალიან ბევრს ჩემთვისაც უთქვამს, ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ „რუსთავი 2“-ის საკითხი გადასაწყვეტიაო. მათი არგუმენტების უარყოფას ვერ შევძლებ, იქიდან გამომდინარე, რომ ხელთ არ მაქვს საბუთი, რაც რეალურად მოხდა. ამასთან დაკავშირებით ყოველთვის მქონდა გაღიზიანებული პოზიცია, რადგან არ მინდოდა ამ ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირება, თუნდაც სენტიმენტის გამო. რომ წარმოვიდგენ, ეროსი იმას გადაჰყვა, რაც ყველაზე მეტად უყვარდა, ამის გაცნობიერება ჩემთვის ძალიან მძიმეა. ჟურნალისტებისაგან განსხვავებით, შესაძლო სცენარებსა და მკვლელობის ვერსიებზე არასოდეს ვლაპარაკობ და გამოძიებას მივყვები“.

უსუფაშვილის სახიფათო განცხადება – რა ხდება „ოცნებაში“

>>> მე-10-11 გვ.

ლევან ალაფიშვილი: „ორი პოლიტიკური ძალის ძიშპობა ყველაზე მეტად ხალხს დააზიანებს“

როგორ იგეგმებოდა „ნაცების“ ციხეებში პოლიტიკური მკვლელობები

„საკანში რომ დავბრუნდი, ვხედავ, ზაზა აზარიაშვილს არაადექვატური სახე აქვს... ოგანეზოვიც ნერვიულობს. ზაზამ მოასწრო, ეთქვა, ცუდ რაღაცას გიპირებენო და კამერიდან ცემა-ტყეპით გაიყვანეს – როგორც ჩანს, ჩვენი საუბარი მოისმინეს. არადა, ვხედავ, რომ ფეხებიდან სისხლი სდის. როგორც აღმოჩნდა, როცა საკნიდან გამიყვანეს, ოგანეზოვი და ლაზარიაშვილიც გაუყვანიათ. როგორც მერე ზაზამ მითხრა, აიყვანეს მუხაძის კაბინეტში, სადაც სამი უცნობი ადამიანი დახვდათ. მუხაძემ აიღო „შტირი“, მისცა აზარიაშვილს და უთხრა, მაისაია უნდა მოკლაო“.

სკანდალური ფოტო, რომელსაც პროკურატურა სტრასბურგის სასამართლოს უმალავს

>>> მე-12 გვ.

„მე რომ სომეხი, ან ებრაელი ვიყო, სახელმწიფო საკვლევ ინსტიტუტს გამიხსნიდა!“

ქართველი მეცნიერის სენსაციური აღმოჩენების გაცნობაზე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა უარი თქვა

>>> მე-16 გვ.

საიდუმლო სცენარი „ხელისუფლებას ჰგონია, რომ მეფეა!“

>>> მე-2-3-4 გვ.

„საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის აქტის, ანუ პრაქტიკულად, დამახინჯებული ლუსტრაციის კანონის ზოგიერთი მუხლი გააუქმა, მათ შორის, ისიც, რომელიც სსრკ-ს სუკ-ის თანამშრომლებს და ყოფილ პარტიულ ფუნქციონერებს საჯარო სამსახურში თანამდებობების დაკავებას უკრძალავს. მნიშვნელოვანია, რომ ეს გადაწყვეტილება, სააკაშვილთან ერთად, „ნაცმოძრაობის“ მიერ კონტროლირებადმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო... ჩემი კი არა, საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრებაა და არავისთვისაა დასამალი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ზოგჯერ ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც წყალს „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს. თუ ასე არაა, გამოვიდეს „ნაცმოძრაობა“ და თქვას, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო, არასწორიაო“.

რას ემსახურება ქუჩის აქციები

2

№ 44 (308)

11-17 ნოემბერი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲝ

„ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲭᲐᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲤᲘᲔᲐ!“

„ᲨᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲮᲝᲜᲔᲑᲣᲚᲝ, ᲗᲣ ᲐᲡᲔᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑ, ᲑᲐᲠᲔᲛ, ᲐᲨᲨ-ᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲢᲘᲐᲪ ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲣᲗᲮᲐᲠᲘ, ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐᲝ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲖᲔᲐ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗ Უ�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲜᲔᲜ! ᲘᲡᲔ, ᲘᲐᲜ ᲙᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲖᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘᲗ, ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ – ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ �პᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲡ, ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲡ ᲐᲒᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲐ“.

ᲠᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ

მოცემულობა ასეთია: საქართველოს დედაქალაქი სხვადასხვა მსოფლმხედველობის საპროტესტო აქციებშია გახვეული – ლაპარაკია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დაწყებულ ქუჩის პროტესტსა და „რუსთავი 2“-ის ეზოში შეკრებილ სამაუწყებლო კომპანიის დამცველ საზოგადოებაზე. აქცია, ერთი შეხედვით, დემოკრატიის თანმდევია, თუმცა უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართულ ოცნებას“ ურჩევს, გამოფხიზლდეს და პროცესები ხელიდან არ გაუშვას. ამ კონტექსტში საუბრისას, „ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებასაც ეხება, რომლის თანახმადაც, ე.წ. თანასწორობის აქტის რამდენიმე მუხლი, მათ შორის ის, რომლითაც ყოფილი „კა-გე-ბე“-ს ყოფილ თანამშრომლებსა და ყოფილი კომპარტიის ყოფილ ფუნქციონერებს საჯარო სამსახურებში მაღალი თანამდებობების დაკავება ეკრძალებოდათ, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა. „ყველაფერ ამით პოლიტიკური ველი ვიღაცისთვის თავისუფლდება და ეს ვიღაც აუცილებლად რუსეთთან იქნება ასოცირებული“, – აცხადებს ქართველი სპეცსამსახურელი, რომელიც ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში აზერბაიჯანის თემას კიდევ ერთხელ ეხება.

– ბატონო კოტე, „რუსთავი 2“-ის „ქეის-ის“ გარდა, ჩვენს პოლიტიკაში რა ტენდენციები შეინიშნება?

– რა და, ბევრი მნიშვნელოვანი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა მოხდა, მათ შორის, საქართველოს მეზობელი ქვეყნების – აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები ეწვივნენ. ეს ორივე ვიზიტი ნიშანდობლივია და იმ კონტექსტში ეწერება, რა ვითარებაც დღეს საქართველოში იქმნება.

სხვათა შორის, ყველაფერი ეს აზერბაიჯანში რამდენიმე თვის წინ განვითარებულ მოვლენებს ძალიან ჰგავს.

– რას გულისხმობთ?

– აზერბაიჯანული საგარეო ორიენტირების შეცვლას. დიახ, ოფიციალური ბაქო, პრაქტიკულად, რუსულ სექტორზეა გადართული. ამ თემაზე წინა ინტერვიუებშიც ვილაპარაკეთ და ისიც აღვნიშნეთ, თუ როგორ ჩავიდნენ ბაქოში ერთმანეთის მიყოლებით რუსი დიპლომატები თუ მაღალი თანამდებობის პირები და როგორ დაუსვა ყველაფერ ამას ევროსაბჭოს დადგენილებამ წერტილი, რომელმაც აზერბაიჯანთან მიმართებაში სურათი კარდინალურად შეცვალა, რაც ავტომატურად სურათის შეცვლას კავკასიისთვისაც ნიშნავს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ აზერბაიჯანი კავკასიაში, ეკონომიკის კუთხით, პრაქტიკულად, ლიდერია.

– ბატონო კონსტანტინე, თქვენი ინფორმაციით, ილჰამ ალიევის თბილისური ვიზიტი რას უკავშირდებოდა?

– ამ ვიზიტით რამდენიმე მნიშვნელოვანი „მესიჯი“ გაკეთდა.

– კერძოდ?

– პირველ რიგში, ამ ვიზიტით ხაზი გაესვა, რომ საქართველოს კონსტიტუციას აზერბაიჯანში უფრო კარგად იცნობენ, ვიდრე – საქართველოში.

– ეს რა შუაშია?

– ჩვენ მუდმივად ვდავობთ, თუ ვინ არის საგარეო ასპარეზზე სახელმწიფოს მეთაური. ალიევის ვიზიტით კი გასაგები გახდა, თუ ვისზე კეთდება აქცენტი.

– რას გულისხმობთ?

– გეტყვით. შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ალიევი პრეზიდენტია და, ბუნებრივია, ვიზიტის დიდი ნაწილი სწორედ მარგველაშვილთან გაატარაო...

– პრეზიდენტი ალიევი ჩვენს პრემიერსაც შეხვდა...

– დიახ, მაგრამ სტუმარს, ასე ვთქვათ, მასპინძლობას პრეზიდენტი და პრეზიდენტის აპარატის წევრები უწევდნენ.

სხვათა შორის, მარნეულში, აზერბაიჯანულ დიასპორასაც ალიევი და მარგველაშვილი ერთად შეხვდნენ და ეს ქვეცნობიერად მოწოდება იყო, რომ აზერბაიჯანულმა დიასპორამ თავისი ისტორიული სამშობლოს მეგობარ ფიგურად საქართველოში მარგველაშვილი უნდა აღიქვას.

მეტიც, მაქვს ინფორმაცია, რომ მარგველაშვილს თავისი პოლიტიკური კოალიციის შექმნის სურვილი აქვს, რითიც, ერთის მხრივ, „ნაცმოძრაობის“ პროდასავლურ ფრთას გადაარჩენს...

– მეორეს მხრივ ამ კოალიციის შექმნის მიზანი რა იქნება?

– მოდით, ამ მეორე მხარეზე სხვა დროს ვისაუბროთ. ახლა კი, მნიშვნელოვანი ისაა, რომ აზერბაიჯანული დიასპორის თვალში, მარგველაშვილის, როგორც მომავალი პოლიტიკური ლიდერის გამოკვეთა მოხდა.

ისე, მარგველაშვილის პროდასავლური იმიჯი გარეგნულად ჩანს, მაგრამ მოდით, მისი კავშირებიც გავიხსენოთ, მაგალითად, ლევან ვასაძესთან.

– კი ბატონო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ პოლიტიკაში მუდმივი არც მეგობარი არსებობს და არც – მტერი?!

– კი ბატონო, მაგრამ სამაგიეროდ, არსებობს გავლენები და აქედან გამომდინარე, მისი ინტერესის გათვალისწინება, ვისაც ამა თუ იმ პოლიტიკურ ფიგურაზე მეტი ზეგავლენა აქვს. ამ შემთხვევაში, რუსული გავლენები ძალიან ძლიერია და არაერთხელ მითქვამს, რომ პრეზიდენტის კანცელარია პირდაპირი თუ არაპირდაპირი რუსული გავლენებით კონტროლდება!

ასევე, არაერთხელ მითქვამს, რომ თავდაცვის სამინისტროში, კერძოდ, გენშტაბში, რომელიც პრეზიდენტის იერარქიის შტოს წარმოადგენს, ისეთი საკადრო დანიშვნები განხორციელდა, რომელიც მთლიანად რუსულ ვექტორზეა გადართული. ყველაფერი ეს კი, პირამიდის საერთო სურათს ქმნის.

– ეს პირამიდა როგორია?

– ამ პირამიდის ქვედა რგოლები რუსულ სეგმენტსაა მორგებული, ზედა რგოლებში კი, თამაში მიდის და ამ თამაშს სახელმწიფოს პირველი პირები ეწევიან, ანუ ისინი დასავლურ იმიჯს იქმნიან, თუმცა სინამდვილეში, ამის უკან ის დგას, რაც ბევრ შეკითხვას აჩენს.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

– მაინც, რა შეკითხვები ჩნდება?

– მაგალითად, რატომ ჩნდებიან სახელმწიფო სამსახურებში რუსული ბეგრაუნდის მქონე „ტიპები“? რატომ იკავებენ საბჭოთა ოფიცრები ძალოვან უწყებებში გავლენიან თანამდებობებს?

სხვათა შორის, ილჰამ ალიევის ვიზიტი ქართულმა და აზერბაიჯანულმა მედიამ სხვადასხვა აქცენტებით გააშუქა. მართალია, ორივე ქვეყნის ჟურნალისტები საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიულ პარტნიორობასა და იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ აზერბაიჯანიდან მეტი ინვესტიცია უნდა შემოვიდეს, მაგრამ ბაქოელმა ჟურნალისტებმა მეტი ყურადღება ალიევისა და შევარდნაძის ოჯახების ურთიერთობას დაუთმეს.

– ამაში ცუდი რა არის?

– არაფერი, მაგრამ ეს ერთგვარი პოლიტიკური „მესიჯია“.

– ანუ?

– ასეთი დონის პოლიტიკური ფიგურები ასეთ შეხვედრებს შემთხვევით არ მართავენ.

– კოტე ბატონო, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რის თქმას ცდილობთ?

– არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში, ქართულ პოლიტიკაში შევარდნაძეების ოჯახიდან ვინმე შემოვიდეს. ისე, ამაში ცუდი არაფერი იქნება...

ყურადღებას კიდევ ერთ აქცენტზე გავამახვილებ, რომელიც საქართველოს საზოგადოებისთვის ცნობილი არაა, ანუ რა ხდება ალიევის ოჯახის იქით, რუსეთთან მიმართებაში.

– რა ხდება?

– რამდენიმე დღის წინ, ილჰამ ალიევის ქალიშვილი, რომელიც ჰეიდარ ალიევის ფონდის, პრაქტიკულად, ვიცე-პრეზიდენტი და რუსეთში რუსულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების ფაქტიური მედიატორია, პუტინმა სპეციალური მედლით დააჯილდოვა. ჩვეულებრივი მოვლენა არც ესაა.

– აბა, როგორი მოვლენაა?

– ესეც მინიშნებაა, რომ პუტინს აზერბაიჯანის პირველ პირთან მეგობრული ურთიერთობა აქვს და რუსეთ-აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან. ამ შემთხვევაში, აზერბაიჯანთან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა ნელ-ნელა ამ, ანუ პრორუსულ რელსებზე გადადის.

– ამას მხოლოდ იმიტომ ასკვნით, რომ პუტინმა ალიევის ქალიშვილი დააჯილდოვა?

– დიახ... ნათქვამია, მაჩვენე შენი მეგობარი და გეტყვი, შენ ვინ ხარო.

– ამ ლოგიკით, აშშ-ც ჩვენი მეგობარია, თუმცა ბოლო დროს, ჩვენმა მინისტრებმა თეთრი სახლის მისამართით, რბილად რომ ვთქვათ, ხისტი განცხადებები გააკეთეს და ლამის პასუხი მოსთხოვეს...

– სტრატეგიული პარტნიორების მიმართ ასეთი განცხადებების გაკეთება არ შეიძლება. ჯობია, ჩვენმა მინისტრებმა ჯერ დიპლომატია ისწავლონ და განცხადებები მერე გააკეთონ! თუ აშშ-ის ელჩის გამონათქვამში რამე არ მოეწონათ, საამისოდ დიპლომატიური არხები არსებობს...

– ცხადია, მაგრამ ობივატელს შეიძლება, გაუჩნდეს შეკითხვა: აშშ-ს ვინ ეკითხება, ჩვენს შინაურ საქმეებში რომ ერევაო?

– ესეც მიზანმიმართულად კეთდება... შე მამაცხონებულო, თუ ასეთ განცხადებებს აკეთებ, ბარემ, აშშ-სთან დადებული ქარტიაც გააუქმე და პირდაპირ უთხარი, შენთან თანამშრომლობა აღარ მინდაო. ყველაფერი ეს საზოგადოების ნაწილზეა გათვლილი და არ შეიძლება, მთავრობის წევრები ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებდნენ! ისე, იან კელის განცხადება მოუზომელი სულაც არ ყოფილა. დააკვირდით, ცალკეული ტელევიზიების ეთერში რა ხდება.

– რა ხდება?

– რა და, – სტრატეგიულ პარტნიორებს, დიპლომატიურ კორპუსს აგინებენ და ამიტომაც ვამბობ, რომ ეს დაახლოებით აზერბაიჯანული სცენარია. ვანო, მეუბნებოდით, აზერბაიჯანზე ჩაციკლული ხართო, მაგრამ ახლა ხომ ხვდებით, რომ ჩაციკლული არ ვიყავი? საერთოდ, ის, რაც მეზობელ ქვეყანაში ხდება, გავლენას შენს შიდა პო-

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 44 (308)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ლიტიკაზეც ახდენს, მით უმეტეს, აზერბაიჯანი ჩვენი ძლიერი ეკონომიკური პარტნიორია.

— ბოლო დღეებში ასეთი მოცემულობა მივიღეთ: საზოგადოების ნაწილი „რუსთავი 2“-ის ეზოში ტელეკომპანიის დასაცავად იკრიბება, მეორე ნაწილი კი, მხედველობაში მაქვს „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერები, ქუჩაში გამოვიდნენ და საგარეჯოს შუალედური არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ. გასათვალისწინებელია, რომ საარჩევნო წელი დაწყო. ბატონო კოტე, ზემოხსენებული აქციები ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ და, საერთოდ, საგარეჯო გასაპროტესტებლად ღირს?

— მე თუ მკითხავთ, საგარეჯოში გამარჯვება „რესპუბლიკელების“ ახირება იყო, თუმცა ვინაიდან „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციის წევრია, ამიტომ, მისი ნებისმიერი ქმედება „ოცნების“ ქმედებად აღიქმება! საგარეჯოს მოგებით, „რესპუბლიკელებმა“ ხაზი გაუსვეს, რომ სამპროცენტიანები კი არა, ძლიერები არიან! ინაშვილის გუნდსა და „რესპუბლიკურ პარტიას“ შორის იდეოლოგიური განსხვავება არსებობს — „რესპუბლიკელები“ ლიბერტარიანელები არიან, „პატრიოტთა ალიანსის“ დაწერილი იდეოლოგია და პროგრამა კი ჯერ არ მინახავს. ყოველ შემთხვევაში, ეს გუნდი აქცენტს მემარჯვენეობაზე, ან მემარცხენეობაზე კი არა, პროქართულობაზე აკეთებს. მოკლედ, ამ ორ პარტიას შორის, ასეა თუ ისე, იდეოლოგიური სხვაობა არსებობს და „რესპუბლიკური პარტია“ იმის დემონსტრირებას შეეცადა, რომ საგარეჯოს მოსახლეობა მხარს უფრო მის იდეოლოგიას უჭერს, თუმცა სხვა „კამპოტი“ მივიღეთ, ანუ „რესპუბლიკელებმა“ საგარეჯოს არჩევნები, რეალურად, ვერ მოიგეს. ამიტომ, ადმინისტრაციული რესურსი, მათ შორის, შეიარაღებული ძალები უხეშად გამოიყენეს, რითიც თავისდაუნებურად, შეიარაღებული ძალების კომპრომეტაცია მოახდინეს და ამით სახელმწიფოს უსაფრთხოებას პირდაპირი ზიანი მიაყენეს. ამასთან, ცესკო ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენეს და მომავალი არჩევნებისთვის ცესკო-ს ნდობის ხარისხი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს.

— ცესკო-ს საზოგადოება მაინცდამაინც არც აქამდე ენდობოდა...

— კი ბატონო, მაგრამ თუკი ყველაფერ ამას იდეოლოგიური თვალსაზრისით შევხედავთ, ირმა ინაშვილი ნამდვილად პარლამენტში ჯობდა...

საერთოდ, დემოკრატიულ რელსებზე ვერა და ვერ დავდექით.

— თუ ამას აქციის კონტექსტში ამბობთ, შეგახსენებთ: აზრისა და სიტყვის თუნდაც ქუჩის აქციით გამოხატვა, დიახ, დემოკრატიის ნაწილია!

— დიახ, მაგრამ ჩვენი ცნობიერება ასეთია: ვინც ქუჩას ფლობს, ესე იგი, მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს და ხალხი პოლიტიკურ სუბიექტებს იდეოლოგიისა თუ პროგრამის მიხედვით კი არა, იმით არჩევს, ვისაც ქუჩაში დიდი მხარდაჭერა ექნება. ჩვენი პოლიტიკოსებიც ასე ფიქრობენ — მხარს ქუჩა მიჭერს? ესე იგი, მაგარი ვარო.

მოკლედ, „რესპუბლიკელებმა“ საგარეჯოს შუალედური არჩევნების მოგებით ქუჩის პოლიტიკური ველი მთლიანად „პატრიოტთა ალიანსს“ დაუთმეს და ამას ვეღარაფერი გააჩერებს.

— ქუჩის აქციებს ცუდი თვალით რატომ უყურებთ?

— იმიტომ, რომ პოლიტიკური პროცესები ქუჩაში კი არა, ცივილურად, პარლამენტში, დისკუსიით უნდა წყდებოდეს!

ისე არავინ გამიგოს, რომ „ქართული ოცნების“ გულშემატკივარი არ ვარ. ასე რომ იყოს, ამდენს არ ვილაპარაკებდი. ბოლოს და ბოლოს, „ქართულმა ოცნებამ“ ცუდი რეჟიმი მოსპო, უფრო სწორად, ცალკეული პიროვნებები გაუშვეს, თორემ რეჟიმი არ შეცვლილა, ანუ სახელმწიფო აპარატი დემოკრატიულ რელსებზე არ გადაწყობილა. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: მნიშვნელობა არ აქვს, ქვეყანაში ერთი კაცის ავტორიტარიზმი იქნება თუ კოლექტიური. სხვათა შორის, ქართულ პოლიტიკაში ტერმინი „კოლექტიური ავტორიტარიზმი“ ჩემი შემოტანილია და საგარეჯოს

„მე თუ მკითხავთ, საგარეჯოში გამარჯვება „რესპუბლიკელების“ ახირება იყო, თუმცა ვინაიდან „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციის წევრია, ამიტომ, მისი ნებისმიერი ქმედება „ოცნების“ ქმედებად აღიქმება! საგარეჯოს მოგებით, „რესპუბლიკელებმა“ ხაზი გაუსვეს, რომ სამპროცენტიანები კი არა, ძლიერები არიან! ინაშვილის გუნდსა და „რესპუბლიკურ პარტიას“ შორის იდეოლოგიური განსხვავება არსებობს — „რესპუბლიკელები“ ლიბერტარიანელები არიან, „პატრიოტთა ალიანსის“ დაწერილი იდეოლოგია და პროგრამა კი ჯერ არ მინახავს. ყოველ შემთხვევაში, ეს გუნდი აქცენტს მემარჯვენეობაზე, ან მემარცხენეობაზე კი არა, პროქართულობაზე აკეთებს. მოკლედ, ამ ორ პარტიას შორის, ასეა თუ ისე, იდეოლოგიური სხვაობა არსებობს და „რესპუბლიკური პარტია“ იმის დემონსტრირებას შეეცადა, რომ საგარეჯოს მოსახლეობა მხარს უფრო მის იდეოლოგიას უჭერს, თუმცა სხვა „კამპოტი“ მივიღეთ, ანუ „რესპუბლიკელებმა“ საგარეჯოს არჩევნები, რეალურად, ვერ მოიგეს. ამიტომ, ადმინისტრაციული რესურსი, მათ შორის, შეიარაღებული ძალები უხეშად გამოიყენეს, რითიც თავისდაუნებურად, შეიარაღებული ძალების კომპრომეტაცია მოახდინეს და ამით სახელმწიფოს უსაფრთხოებას პირდაპირი ზიანი მიაყენეს“.

არჩევნებში სწორედ ამ „კოლექტიური ავტორიტარიზმის“ ნიშნები გამოჩნდა...

— წელან, კერძო საუბრისას, აღნიშნეთ, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში სამხედროები დასხდებიანო. ამ ფრაზაში რა იგულისხმეთ, ბატონო კონსტანტინე?

— ვანო, ადრეც გითხარით, რომ სამხედროების პოლიტიკურ სუბიექტებად თვითორგანიზება მოხდა და ამაში ცუდი არაფერია.

— კი ბატონო, მაგრამ „ქალაქებში სამხედროები დასხდებიან“ მაინც, რას ნიშნავს?

— იმას ნიშნავს, რომ გაუბედურებული და გამწარებული ვეტერანები შიმშილობას დაიწყებენ! ამ ხალხს დასაკარგი აღარაფერი აქვს!

— რა განსხვავებაა, შიმშილობის აქციას, ვთქვათ, პედაგოგები დაიწყებენ თუ სამხედროები?

— სამხედროები ცოტა სხვა კატეგორიის ადამიანები არიან. ხომ გახსოვთ, მიშა ვეტერანთა პროტესტს როგორც აღიქვამდა.

— დიახ, მახსოვს: „ნაცებმა“ გმირთა მოედანზე ვეტერანები დაარბიეს...

— როცა სამხედროები პოლიტიკურ თვითორგანიზებას ახდენენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში საქმე კარგად არაა!

— რატომ?

— სამხედროების ქუჩაში გამოსვლა ქვეყნისთვის ძალიან საშიშია, რადგან ეს სხვა რამეზე მიანიშნებს.

— რაზე?

— რაზე და, — სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლებისა და, საერთოდ, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ადამიანების დამოკიდებულებაზე. ეს დამოკიდებულება ძალიან ცუდია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არ შეიძლება, ამ ქვეყანაში სამართლიანობა არსებობდეს!

იცით, სამხედრო სამართლიანობას როგორ აღიქვამს? — ქვეყნისთვის ვიბრძოლე და ხელისუფლებამაც სათანადოდ დამაფასოსო.

— დაფასება ყველას სჭირდება, თუმცა ამ კუთხით, დამნაშავე მხოლოდ „ოცნება“ არაა!

— ვინაიდან დღეს ხელისუფლებაში „ოცნებაა“, პასუხი სწორედ მას უნდა მოვთხოვოთ! ვიდრე ღირსეული ადამიანების მიმართ ეს მიდგომა არ შეიცვლება, ასეთ სიტუაციაში ვიქნებით! რომელ ქვეყანაში, სად გინახავთ, რომ ყოფილი სამხედროები პოლიტიკურ პარტიას ქმნიან? ისე, წინააღმდეგი არ ვარ, რომ სამხედროებმა პოლიტიკური პარტია შექმნან.

— რომელ პარტიას გულისხმობთ?

— „საქართველოს მშვიდობისთვის“, რომელიც დათო თევზაძემ შექმნა. როცა სამხედროებში მშვიდობისთვის მოწოდება ჩნდება, ესე იგი, ქვეყანაში საქმე ცუდადაა.

— თქვენც ყოფილი ძალოვანი ხართ, ბატონო კოტე, ამ პარტიაში რატომ არ ერთიანდებით?

— უფალმა ყველა ადამიანს არჩევანის უფლება მისცა.

— გაწევრიანება შემოგთავაზეს?

— არა და მეც არ მაქვს სურვილი, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკაში წავიდე. მე ჩემი გზა მაქვს არჩეული...

— კერძო საუბრისას პაატა ზაქარეიშვილიც ახსენეთ...

— დიახ. ქვეყნის ფედერალიზაციაზე ლაპარაკი გააქტიურდა და ამის ავანგარდში ისევ პაატა ზაქარეიშვილი დგას...

— წლებია, ზაქარეიშვილი ამ იდეას ლობირებს...

— მხოლოდ ზაქარეიშვილი კი არ ლობირებს, არამედ, ამ თემაზე ბოდენის იდეა და შტაინმაიერის გეგმაც არსებობდა, მაგრამ აქედან, საბოლოოდ, არაფერი გამოვიდა, ანუ აფხაზებმა ამ თემას იგნორირება გაუკეთეს, თუმცა თავდაპირველად ასიმეტრიულ ფედერაციაზე თანახმანი იყვნენ.

— „ასიმეტრიული ფედერაცია“ რას ნიშნავს?

— უხეშად რომ ვთქვათ, მეტ უფლებებს, ანუ მთავრობასა თუ პარლამენტში მუდმივი ადგილები უნდა ჰქონოდათ. ეს ვრცელი

„საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის აქტის, ანუ პრაქტიკულად, დამახინჯებული ლუსტრაციის კანონის ზოგიერთი მუხლი გააუქმა, მათ შორის, ისიც, რომელიც სსრკ-ს სუკ-ის თანამშრომლებს და ყოფილ პარტიულ ფუნქციონერებს საჯარო სამსახურში თანამდებობების დაკავებას უკრძალავს. მნიშვნელოვანია, რომ ეს გადაწყვეტილება, სააკაშვილთან ერთად, „ნაცმოძრაობის“ მიერ კონტროლირებადმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო... ჩემი კი არა, საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრებაა და არავისთვისაა დასამალი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ზოგჯერ ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც წყალს „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს. თუ ასე არაა, გამოვიდეს „ნაცმოძრაობა“ და თქვას, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო, არასწორიაო“.

გეგმა იყო, რომლის განხორციელებასაც სათავეში ირაკლი ალასანია ედგა. მახსოვს, ამ გეგმის, ასე ვთქვათ, ფარგლებში, თბილისში, სერგეი შამბაც ჩამოიყვანეს, რომელიც მიხეილ სააკაშვილს უნდა შეხვედროდა, მაგრამ როგორც ვიცი, ყველაფერ ამის წინააღმდეგი ირაკლი ოქრუაშვილი წავიდა და სააკაშვილს ულტიმატუმი წაუყენა: ან ეს ბიჭი (ალასანია), ან მეო... მაშინ ამ გეგმის არმიღება, პრაქტიკულად, რუსული ინტერესი იყო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კრემლს საქართველოს ოკუპაცია, ანუ 2008 წლის აგვისტოს ომი უკვე დაგეგმილი ჰქონდა. კარგად უნდა გავიგოთ: რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ნაწილი კი არა, მთელი საქართველო სჭირდება! აკი, პუტინსაც აქვს ნათქვამი, რომ 2015 წლის დეკემბრამდე, ევრაზიული კავშირი საბჭოთა კავშირის შემადგენლობით უნდა შეიკრიბოს და, პრაქტიკულად, ასეცაა. მხოლოდ საქართველო ჰყავს ყელში გაჩხერილი, თუმცა ჩვენი ტერიტორიების ნაწილი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის სახით, ევრაზიულ კავშირშია. აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის ასეთი გამოსავალი არსებობს: საქართველოს ხელისუფლებაში ან არჩევნების გზით მოვიდეს, ან ქვეყანაში დესტაბილიზაციის მომენტები შექმნას. დესტაბილიზაცია მაინცდამაინც სროლას არ ნიშნავს. ქუჩის აქციების დაფინანსებაც დესტაბილიზაციის ერთგვარი სახეა, რითიც ქვეყანა ნორმალური განვითარების რიტმიდან ამოვარდება.

— ქუჩის აქციებისთვის ფინანსები რა საჭიროა?

— სხვა თუ არაფერი, აქციის მონაწილეებს თბილი ტანსაცმელი და საჭმელი სჭირდებათ.

— ქუჩის აქციები დასავლეთის მიერ არაა აპრობირებული?

— საქართველოსთან მიმართებაში?

— თუნდაც...

— „ვარდების რევოლუციის“ დროს, სხვა პიარ-ტრიუკები გამოიყენეს. ყველაფერ ამაში კი, დიდი როლი „რუსთავი 2“-მა ითამაშა — „ანაკონდა“, ანუ მანქანების ჯაჭვი გახსოვთ? — ერთხანობას, პარლამენტის წინ, ძალიან ცოტა ხალხიღა იყო. ლიდერები რეგიონებში წავიდნენ... მანქანების კოლონა ძალიან დიდი არ იყო, მაგრამ ნატახტართან მოძრაობა გადაკეტეს, რაშიც პოლიციის ხელშეწყობაც იგრძნობოდა. მანქანები დაგროვდა. ამ კოლონის თავში, ის ავტობუსი მოექცა, რომელშიც სააკაშვილი იჯდა. ყველაფერ ამას „რუსთავი 2“ პირდაპირ ეთერში გადასცემდა და ამ ელემენტარულმა პიარ-ტრიუკმა მოსახლეობაზე მაქსიმალური გავლენა მოახდინა — მთელი საქართველო პარლამენტისკენ დაიძრა.

— მაშასადამე, დღესაც ის იქნება ხელისუფლებაში, ვისაც „რუსთავი 2“ დარჩება?

— ამას არ ვამბობ, მაგრამ მედიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დასავლური დემოკრატიის მამები მედიის თავისუფლებაზე აქცენტს ტყუილად არ აკეთებენ. მედიის თავისუფლება, პრაქტიკულად, ქვეყნის თავისუფლებას ნიშნავს, თორემ მაგალითად, აზერბაიჯანში მედია მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებს ატარებს...

— მედიასთან დაკავშირებით, თქვენს პოსტულატს, ბატონო კოტე, ვიზიარებ, მაგრამ ისეც ხომ არაა, რომ დასავლეთისკენ მიმავალი გზა მაინცდამაინც „რუსთავი 2“-ზე გადის?

— არა, ასე არაა. ესეც სააკაშვილის მანკიერი მხარე იყო, რომ დასავლური მიმართულების მედიად მხოლოდ ერთ მედიასაშუალებას წარმოაჩენდა.

ისე, ზოგიერთს შეიძლება, აწყობს, რომ პოლიტიკაში ასეთი სიტუაცია შეიტანოს, რათა უფრო კარგად მართოს.

— როგორი სიტუაცია?

— მედია მართვადი რომ გახდეს და მისი დაკვეთა შეასრულოს.

— ესე იგი, მართვადი მედია „ოცნებასაც“ აწყობს?

— რა თქმა უნდა. ყველა ხელისუფლებას, სავარძელში რომ დაჯდება, ჰგონია, რომ მეფეა, მაგრამ ასე არაა. ხალხს ანგარიში უნდა გაუწიო, რადგან სკამით არავინ იბადება!

გაგრძელება მე-4 გვ.

4

№ 44 (308)

11-17 ნოემბერი 2015

ქართული ოცნება

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ზელოვნება, პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

მე-3 გვერდიდან

– გეთანხმებით... კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც საუბარი დღეს გინდათ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ე.წ. თანასწორობის აქტის ერთ-ერთი მუხლის გაუქმებაა. კერძოდ, რომელ მუხლზეა ლაპარაკი?

– სხვათა შორის, ამაზე საინფორმაციო საშუალებებმა აქცენტი არ გააკეთეს, რამაც გამაოგნა. არადა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა

– ასეთი რა მოხდა?

– საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის აქტის, ანუ პრაქტიკულად, დამახინჯებული ლუსტრაციის კანონის ზოგიერთი მუხლი გააუქმა, მათ შორის, ისიც, რომელიც სსრკ-ს სუკ-ის თანამშრომლებს და ყოფილ პარტიულ ფუნქციონერებს საჯარო სამსახურში თანამდებობების დაკავებას უკრძალავს. მნიშვნელოვანია, რომ ეს გადაწყვეტილება, სააკაშვილთან ერთად, „ნაცმოძრაობის“ მიერ კონტროლირებადმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო.

– ეს თქვენი მოსაზრებაა, ბატონო კოტე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს „ნაცმოძრაობა“ აკონტროლებს...

– ჩემი კი არა, საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრებაა და არავისთვისაა დასამალი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ზოგჯერ ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც წყალს „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს. თუ ასე არაა, გამოვიდეს „ნაცმოძრაობა“ და თქვას, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო, არასწორიაო.

– ამ გადაწყვეტილებამ თქვენი ყურადღება რატომ მიიქცია?

– იმიტომ, რომ ამით სსრკ-ს სუკ-ის მაღალჩინოსნებს და ყოფილი პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლებს ხელ-ფეხი გაეხსნათ, რომ საჯარო სამსახურებში მაღალი თანამდებობები დაიკავონ! ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მოსკოვიდან სუკ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი მოგვევლინოს და საქართველოს მთავრობაში, ან პარლამენტში საქმიანობა დაიწყოს.

– ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება კონკრეტული პიროვნებისთვის იქნა მიღებული?

– დიახ.

– ეს „ვიღაც“ ვინაა?

– არ ვიცი... უბრალოდ, ამ ფაქტით შეწუხებული ვარ, რადგან ეს პირდაპირ ქვეყნის უსაფრთხოებისა და ლუსტრაციის თემაა.

ისე, მიუხედავად იმისა, რომ თანასწორობის აქტი არსებობდა, სააკაშვილის დროსაც თანამდებობები არქივულ აგენტებს ეკავათ, რითიც კანონთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ და წინა ინტერვიუებში ამის თაობაზეც გვისაუბრია.

მოკლედ, ძალიან ცუდი პროცესი მიდის და ამის განმუხტვა მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ „ოცნება“ ქუჩის პროცესებს თავის ნებაზე მიუშვებს, რეიტინგს კიდევ უფრო დაკარგავს.

– ხელისუფლებამ სიტუაცია როგორ უნდა განმუხტოს?

– როგორ და, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსის“ მოთხოვნა დაკმაყოფილოს და ორივე – თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრები გადააყენოს. ეს კარგი თავად „ოცნებისთვის“ იქნება. იმ შემთხვევაში, თუკი ქუჩის პროცესები მომძლავრდა, შეიძლება, ის პიროვნებაც ღიად გამოჩნდეს, ვისთვისაც პოლიტიკური ველი იწმინდება... ამ ქუჩის პროცესებზე კი, რეაქცია დასავლეთსაც ექნება და ხელისუფლება მაშინ მაინც გახდება იძულებული, რომ ადექვატური ნაბიჯები გადადგას.

– მაშასადამე, კარგის იმედი არ უნდა გვქონდეს?

– ყოველ შემთხვევაში, თუკი „ქართულმა ოცნებამ“ არ გაიღვიძა და პროცესების მართვა არ დაიწყო, კარგს არაფერს ველოდები!

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი

(თემის გაგრძელება იქნება)

სტოპკადრი

საბავშვო ბაღის ძიძამ აღსაზრდელს შეურაცხყოფა მიაყენა

ბათუმის მეექვსე საბავშვო ბაღის ძიძა აღსაზრდელისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. ბაღის აღმზრდელმა, ნათია ცინცაძემ „ინტერპრესნიუსს“ ვიდეო აჩვენა, სადაც ძიძა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავს აღსაზრდელს. ვიდეოზე შეურაცხმყოფელი ფრაზები ისმის იმ დროს, როცა ძიძას მოზარდი გოგონა აბაზანაში შეჰყავს და აბანავებს, შემდეგ კი სრულიად შიშველ მდგომარეობაში სხვა ბავშვებთან ჯგუფში გამოჰყავს. ნათია ცინცაძე ამტკიცებს, რომ ძიძამ მოზარდს რამდენჯერმე „შემოულაწუნა“ კიდეც.

„თმას არ შეგატოვებ თავზე, საზიზღარო... გაგიხმათ ტვინები. დიდი ხანია ნერვები არ ამშლია... მოეთრიე აგერ, არ დასრიალდე და არ გადამრიო... დედა როგორ წეიქცა, ეს სასიკვდილე.... სიკვდილი და გადაშენება შენი პატრონის. ბინძურო შენ, ხმა არ გავიგონო შენი“, – აღნიშნული ფრაზები ნათია ცინცაძის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ისმის.

როგორც ბათუმის ბაღების გაერთიანების დირექტორმა, ნატალია ზაქარეიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, აღმზრდელის თანაშემწე მოზარდს მიმართავს „მოვაღ და დაგაწიწკნი თმებს“ და ასევე, გამოყენებულია სხვა შეურაცხმყოფელი ტერმინები, რის გამოც ის სამსახურიდან გათავისუფლდა.

„ბაღში მოხდა ინციდენტი: აღმზრდელის თანაშემწემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ბავშვს. სააღმზრდელო პროცესის დასრულების შემდეგ საბავშვო ბაღის გამგე, უფროსი აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე და მუსიკის მასწავლებელი დაბარებული იყვნენ საბავშვო ბაღში. მოხსენებითი ბარათით განმარტეს არსებული სიტუაცია. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ძიძამ განაცხადა, რომ იმ დღეს იყო ძალიან გაღიზიანებული, მან აღიარა თავისი დანაშაული, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე ვერ დარჩებოდა, ძიძა დაისაჯა და გათავისუფლებულია სამსახურიდან. ვიდეო გადაღებულია ამავე ბაღის აღმზრდელის, ნათია ცინცაძის მიერ, სამსახურიდან გაშვებულია აღმზრდელის თანაშემწე ქეთევან ტერელაძე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამ ბაღში და მას მშობლები დადებითად ახასიათებდნენ. ეს იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა, ვიდეო მაქვს ნანახი და ძალიან შემაძრწუნებელია. უხეში სიტყვებით მიმართავს ბავშვებს, მოვალ და დაგაწიწკნი თმებს და ასე შემდეგ, მიჭირს ამ სიტყვების გამეორება“, – აღნიშნა ნატალია ზაქარეიშვილმა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ბათუმის მერიიდან შემოსული განცხადების საფუძველზე დაწყებულია წინასაგამოძიებო მოქმედებები და მიმდინარეობს მონაწილე პირების გამოკითხვები ფაქტთან დაკავშირებით.

„ინტერპრესნიუსი“

კახა კოჟორიძე: „პრეზიდენტი სადმე სხვაგან გადასვლას არ აპირებს!“

„ათონელის რეზიდენციის ბედი პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ ეხება“, – ასე უპასუხა იურიდიულ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ ათონელის რეზიდენციასთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვას.

კახა კოჟორიძის განმარტებით, ამ კითხვის ადრესატი არ არის არც პრეზიდენტი და არც – მისი ადმინისტრაცია, არამედ, კითხვა ეხება მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი პოზიციის შეცვლას არ აპირებს.

„დაახლოებით, წელინადნახევრის წინ, ოფიციალური წერილობითი პასუხი გავეცით, რომ პრეზიდენტი სადმე სხვაგან გადასვლას არ აპირებს და ეს პოზიცია არ შეცვლილა. ამ კითხვის ადრესატები არიან მთავრობის წევრები, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ ათონელის ბედი. ათონელის რეზიდენციის თუ შენობის ბედი არ ეხება პრეზიდენტის ადმინისტრაციას. პრეზიდენტი რომ იქ არ გადადის, ეს საზოგადოებისთვის ცნობილია“, – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ სასურველია, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები სწრაფად იქნას მიღებული.

ქუმსიშვილის განმარტებით, ათონელზე მდებარე რეზიდენციის არსებული სახით შენარჩუნების მიზნით, მთავრობას ყოველთვიურად „ფულის დახარჯვა“ უწევს.

„ბატონ ბიძინას ნამდვილად აქვს უფლება, რომ შეშფოთება გამოთქვას ამ მიმართულებით. ერთადერთი, რაც შემიძლია მე დავამატო და დავამატო გულისტკივილით არის ის, რომ ეს შენობა ძალიან კარგადაა გაკეთებული. მასზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ძალიან დიდი ფულია დახარჯული, თუ არ ვცდები 26 მილიონი, დღესდღეობით კი დაკეტილია და ჩვენ ყოველთვიურად ფულის დახარჯვა გვიწევს იმისთვის, რომ აღნიშნული შენობის შესაბამის მდგომარეობაში შენახვა მოვახერხოთ. ამიტომ სასურველია, რომ გადაწყვეტილებები საკმაოდ სწრაფად იქნას მიღებული“, – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ჰოეზია

სტეპის ოდისეა

მანასი

ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ეპოსი „მანასი“, რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოდისეა“ უწოდა. მე-11 საუკუნის შედევრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა“ პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მაყვალა გონაშვილმა თარგმნა.

მანასი — სტეპის ოდისეა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43)

რაკი წყალი გადუწურეს,
აღარ ჰქონდა სხვა გზა რაკი,
წამოვიდა ჟაკიპბაი
უკან მოსდევს აკარაკი.
ეს რა ხდება იალაღზე?
დააყენეს რა ქარბუქი?
ცხენებს საით ერეკება
ათი ყალმუხი ჭაბუკი?
„ასე რატომ მოიღუშე?
ცრემლია თუ თვალზე ნამი?
რატომ სცემენ იმ მეჯოგეს?
ვისი რემა მოჰყავთ, მამი?“
„მოფენილი არის ველი,
ჩვენი სისხლით, ჩვენი ძვლებით,
ჩვენ აქ მაინც ხიზნები ვართ,
ყალმუხები — მასპინძლები.
ეს ცხვრებიც და ეს ცხენებიც,
ყველაფერი სულ ჩემია,
ბეგარა არ გადვიხადე,
კაცი მიტომ უცემიათ“.
ახლა მიხვდა გოლიათი
ის კაცები ვინ არიან,
რომ ოშპური მსახურია,
რომ ჟაკიპი მდიდარია.
ითმინა და ვერ ითმინა,
გააჭენა ბაიმ ცხენი
და ყალმუხმა მოხუც მხედარს,
გადუჭირა შოლტის წვერი.
მანასმა ვერ დაიოკა
მრისხანება, გულისფეთქვა,
კორტუკს ესროლა ქამანდა
თავის ქალა გაუხეთქა,
ყალმუხები ეცნენ მანასს,
ჭაბუკს ძალა მოემატა,
გოლიათმა ბიჭ-ბუჭები
აქეთ-იქით მიმოფანტა.
ჟაკიბ-ბაიმ უთხრა მანასს,
დავისჯეებით ამ სისხლისთვის,
გამოსასყიდს გადავიხდი
მე კორტუკის სიკვდილისთვის.
„გვეყო, მამი, მორჩილება
რადგან ასე გაგვახელეს,
რა ვქნა, მე ვერ გავჩერდები,
გულზე ვერ დავიკრეფ ხელებს,
ჩემი რისხვის, ჩემი ძალის,
ეშინოდეთ ყანგაელებს.
როცა ჩემს ხალხს ამცირებენ,
ვერ ვიქნები არხეინად,
ვიცი, მხსნელად დავიბადე,
„მანას“ ჩემი სახელია.
იმ მხარეში კოჩკუ იყო
ესენ-ხანის ნაცვალიო,
გულში ჩუმად უღვიოდა
სიძულვილის მარცვალიო.
სისხამ დილით მოახსენეს,
დიდებულო, კოჩკუ, ხანო!
მთიდან ამბავი მოვიდა
სავალალო, სამწუხარო.
ბურუტები გათავხედდნენ,
არ დაგვითმეს ცხენებიო,
მოკლეს ვაჟკაცი კორტუკი,
უცემიათ ჩვენებიო.
ბრაზობს კოჩკუ, იგლეჯს წვერებს,
კედლებს აწყდება, ვით ქარი,
მრისხანებით ავსებულმა
შეკრიბა დიდი ლაშქარი.
მრავალ ბურუტს დაუჭკნება
დღეს სიცოცხლის ყვავილიო,
ქალის ქვითინს შეერევა
ცხვარ-ძროხების ბღავილიო,
ბალახი ვერ გაიხარებს
იქ, სადაც მე ჩავივლიო,
ჟაკიპ-ბაი, უმადურო,
დაგვანახე შენი ძეო,
იმდენს ვურტყამთ ცხვირ-პირიდან
წამოუვა დედის რძეო.
ღირსები ხართ ამ მიწიდან
სამუდამოდ გაგაძევოთ.
არ გაკმარებთ ჩვენ ამ სასჯელს,
დღე და ღამე ცრემლი ღვარეთ,
უმადურო ბურუტებო,
შეგიკედლეთ, შეგიფარეთ.
თქვენს აქლემებს, თქვენს ცხვარ-ძროხას
არ აკლიათ თივა, ქერი,
გამრავლდით და გათავხედდით,
სიკეთის წილ ეს რა ჰქენით?
ნახეთ ერთი, მაგ თქვენს მანასს
ცხვირ-პირს როგორ დავუნაყავ,
მძვინვარებდა კოჩკუ-ხანი,
შემოარტყეს უცებ ალყა.
სიცოცხლეს არ დაიშურებს
დასჭირდება მანასს თუკი
ძმობილისთვის სულსაც დალევს
ეს ორმოცი მზეჭაბუკი.
„ხის ჯოხებით რას დამაკლებთ“, —
მოიმარჯვა კოჩკუმ ხმალი,
მაგრამ ამ დროს ერ-მანასი
გამოენთო, როგორც ხარი.
მხარში სტყორცნა კოჩკუს შუბი,
მამაცმა და ავზნიანმა
და გაიქცა შიშნაჭამი
ხანი თავის რაზმიანად.
ასახელა ძმობილები
და აუვსო ლხენით გული,
მხოლოდ ჟაკიპბაი ოხრავს
ვაჟს უცქერის საყვედურით.
— მამი, ასე რატომ ოხრავ,
გულს რად გიღრღნის ეჭვის მახრა,
— ეს სიკეთეს არ მოგვიტანს,
დაიწყება მტრობა ახლა.
ნეტავ რისი გამარჯვება,
რის გმირობა, რისი ძმობა,
მანას, ძვირად დაგვიჯდება
ვიცი, შენი თავკერძობა.
ეს ქიშპობა, ეს ყოჩობა,
რას მოგვიტანს? მხოლოდ ზიანს
და საბრალო ჩვენს ყირგიზებს
ალტაიდან განდევნიან.
დღე და ღამე ვმუშაობდი,
ეს სიმდიდრე რისთვის მინდა?
აკმალტბაი ჩუმად იჯდა,
ბოლოს ვეღარ მოითმინა.
„სულ ქალივით რად ვიშვიშებ?
თავში რატომ იცემ უროს?
შვილი გსურდა, მოგცა ღმერთმა,
სხვა რა გინდა, უმადურო.
მერე რა, რომ ცეტი არის,
როგორც რაში უბელოო,
ნაპერწკალი რომ აენთოს
უნდა სული უბეროო.
ამ შენს ვაჟში უფლის ნება
კოცონივით გაღვივდაო,
ჩვენს ხალხს იხსნის შენი შვილი,
ძმაო, მეტი რა გინდაო.
ჩვენ აქ მაინც უცხონი ვართ,
რაც არ უნდა ვიყოთ კარგად,
სამშობლოში დაბრუნების
რწმენა ნუთუ დაგეკარგა?
ნებით რატომ იდგამ ულელს?
რატომ იყრი თავზე ნაცარს?
მითხარ, ძმაო, დედის ნაცვლად
ვინ იფიცებს დედინაცვალს?
გული როდი არის მთელი,
თუ გაიყო ეჭვით ორად,
შენი ვაჟი ღმერთმა მოგვცა
ყირგიზების წინამძღოლად.

მანასის გამარჯვება ესენხანის მსტოვრებზე

როცა ზეცამ ივიშვიშა
და ცრემლებად დაიღვარა,
როცა ქვეყნის ყველა კუთხე
წყლის სუდარით დაიფარა.
როცა წარღვნის მღვრიე ტალღამ
მოასწორა მთა და ბარი
და სიცოცხლის ნიშნად ზღვაზე
თრთოდა ნოეს კიდობანი.
ტრიალებდა ცოდვის წყალი
მრისხანე და ფერად უჩა,
მაშინ წარღვნას მხოლოდ ერთი,
ბეიჟანი გადაურჩა.
იქ ცხრაასი კომლი იყო
ჩინელების წინაპრები,
ბოლოს მაინც დედამიწამ
მოიშუშა იარები.
მწუხარებაც ფერმკრთალდება
როცა გადის დრო და ხანი,
ზღვიდან დიად კედლამდე დღეს
ჩინეთს მართავს ესენხანი.
სასახლეში ცხოვრობს ერთი
მჩხიბავი და გულთმისანი
სხვას არავის არ ენდობა
გულბოროტი ესენხანი.
მარჩიელმა კარგად იცის,
ვის რა ელის, რა მოხდება
მტერი როდის დამარცხდება,
სული როდის ამოხდება.
ეკრძალვიან სასახლეში
გრძნეულსა და ბედის მკითხავს,
მარჩიელმა ესენს ერთ დღეს
ასეთი რამ წაუკითხა:
ალტაიში ცხოვრობს ერთი
ჟაკიპბაი — ბებერიო,
ერთი ძე ჰყავს გოლიათი
კბილით რკინის მკვნეტელიო.
თითქოს იყოს შეითანი
ისე ჯდება ცხენზედაო,
ვხედავ მალე ის ბურუტი
შურს იძიებს ჩვენზედაო.
ახლაც, ამ წიგნს რომ ვკითხულობ,
მიკანკალებს ხელებიო,
გამიხმება მოხუცს ენა,
გველის მწარე დღეებიო.
ესენხანმა რაზმს მიმართა:
„გინდაც იყოს შეითანი
წადით, ძებნეთ ის მანასი,
მოკალით ან შეიპყარით“.
ხან ჟოლოის ვინ არ იცნობს,
ვინ არ იცის, რა კაცია
ურჩია და მამაცია,
ყალმუხების თავკაცია.
როცა გალღვა ყინული და
როცა წყალი ჩადგა ხეში,
მანასის დასამარცხებლად
რაზმს ჩაუდგა სათავეში.
ამ დროს ცხენებს ჩვენი გმირი
მდინარესთან აძოვებდა,
თამაშობდა მერე ორდოს
და წრეში კოჭს აგორებდა.
წრეში ერთი დატვირთული
აქლემი არ შემოვარდა?
აბალაკი ჰკრა მანასმა
კოჭი დატრიალდა მარდად.
დატრიალდა — დაბზრიალდა,
შურდულივით გადაფრინდა,
ისარივით მოხვდა აქლემს
საწყალს ფერდი გაუგლიჯა,
ორას მხედარს სიბრაზისგან
სახე ბოღმით დაეღრიჯა.
სათამაშო არე-მარე,
უცებ ბრძოლის ველი გახდა
და ორმოცი ძმადნაფიცი
წამში ცხენებს შემოახტა.
„ვაშა, მანასს, ვაშა, მანასს!“
გაისმოდა ყველა მხრიდან,
და ორასი ახალგაზრდა
ჩამოყარეს ცხენებიდან.
ძლივს გადარჩა მეთაური
ვინმე ჩაინ დოოდური
სულ მთლად სისხლით შეეღება
სახე კუშტი, მედიდური.
ყირგიზებთან მთის ბილიკით
რაზმს ჟოლოი მიუძღვება,
ჟინს მანამდე ვერ მოიკლავს,
სანამ სისხლით არ გაძღება.
არ აკივლებს სანამ ქალებს,
არ შეიპყრობს სანამ მანასს,
და თუ მანასს ვერ იპოვის,
ტყვედ აიყვანს მოხუც მამას.
ჟაკიპ-ბაიმ უხმო ყველას,
ავასრულოთ ხანის ნება,
ცოლად მივცეთ ასულები,
გავატანოთ ცხენთა რემა,
მტერს მეტს ნუღარ გავახელებთ,
გადაგვარჩენს მორჩილება.
„არ დავუთმობ ამ ჩვენს ქალებს
ჩვენს ფარას და სამოსახლოს,
დე, მოვიდეს ის ჟოლოი,
რა ბიჭია დაგვენახოს.
ვიცი, სისხლის მსმელი არის,
ვიცი ბოღმით შეშლილია,
ფსონი დავდე სიცოცხლეზე
მე არაფრის მეშინია“.
თქვა მანასმა და შეკაზმა
ყორნისფერი შავი რაში.
ბედი ცაში იწერება
კაცის ხელი მას ვერ წაშლის.
ხან ჟოლოის ბანაკები
ველს მოედო, როგორც ფარა,
სისხლი რომ არ დაიღვაროს
მან ყირგიზებს შეუთვალა;
გადმოგვეცით ჩვენ მანასი,
თუნდ გუნდად, თუნდ თითო-თითოდ,
თუ გსურთ, მუსრი არ გაგავლოთ,
თუ გსურთ, რომ არ ამოგულიტოთ.
მე გახლავართ თვით მანასი,
ან რად მინდა სამალავი,
გამოუშვით, შემეჭიდოს,
ვინმე თქვენი ფალავანი.
ერ-საიშზე გიწვევთ ყველას
მე და ჩემი შავი რაში
თუ ცხენიდან ჩამომაგდებთ
წამიყვანეთ მონად მაშინ.
გაიცინა ხან ჟოლოიმ,
ნუთუ შენ ხარ მანასიო,
ყირგიზების სიამაყე
და იმედი მამასიო,
პირზე რძე არ შეგშრობია,
ყმაწვილი ხარ უწვერული,
ზორ-დონგოს რომ დაინახავ,
შიშით გაგისკდება გული.
„ცოტას წაგეთამაშები
კაცი როდი ვებრძვი ბავშვებს“,
იქედნურად თქვა ზორ-დონგომ,
ღაწვზე ღიმი უთამაშებს.
ერთ ხელში ფარი უჭირავს,
ერთში შუბი მორის ხელა,
ყიჟინამ და შეძახილმა
მეომარი გაახელა,
გამოიჭრა ერ-მანასიც,
მხარში შუბი სტყორცნა მარდად,
დაბარბაცდა გოლიათი
და ცხენიდან გადმოვარდა.
კაკან! ბრძანა ხან ჟოლოიმ
ყველამ ყური მომაპყარით
გაუსწორდით თავხედ ყმაწვილს
ერ-მანასი შეიპყარით.
აქ მანასის ძმაბიჭებმა
ხელი ჰკიდეს კეტებს, ცულებს,
კაცი კაცზე შემოტყორცნეს,
მკლავი გაიმამაცურეს.
ხანმა მანასის გმირობა,
როგორც იქნა დაიჯერა,
შუბი ზეცისკენ აღმართა,
მეომრები შეაჩერა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

6 № 44 (308) 11-17 ნოემბერი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ

ᲤᲐᲚᲔᲡᲢᲠᲐ

(ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43)

არ არის კანონი გამონაკლისის გარეშე... რად არ შეგვიძლია მივიღოთ ერთი პატარა გამონაკლისი მსოფლიო რიტმში: შეიძლება, მართლაც მოვევლინე ქვეყანას... ჰა,ჰა,ჰა... თქვენ იცინით?.. ხანდახან მე ვგრძნობ, რომ მე არ ვარსებობ... მე ფანტომი ვარ, შემთხვევით „ყოფაში“ მოქცეული... ანდრეი ბელიმ (მისი რომანი „პეტერბურგი“ თარგმნილია) სცადა ასეთი ტიპი მოეცა, მაგრამ კუბისტურ კონდტრუქციაში ტიპი გუტაპერჩის ფიგურა გამოვიდა. გუსტავ მეირნიკმა შექმნა „გოლემი“...ეს უფრო ცოცხალია... მაგრამ მე უფრო ვნებიანი ვარ... ვნებიანი, მაგრამ მაინც ანონიმი... დიახ, ხშირად ასე მეჩვენება“...

მისტერ ლეიკ იღიმება და ეკითხება:

„მოსიე პეტერეც, ეგებ თქვენი გვარიც ანონიმია, ან პსევდონიმი“...

„მეც ასე ვგრძნობ... მერე?..“

„მერე და, თუ ეს ასეა, მაშინ უკეთესი იქნება თქვენს გვარს „ტე“ მოაცილოთ, მხოლოდ ერთი მარცვალი“....

„დარჩება პერეც“...

„დიახ, პერეც.... და იცით მერე, რას ნიშნავს „პერეც“ რუსულად?...“

„რას ნიშნავს?...“

„პერეც რუსულად „პილპილს“ ნიშნავს...

ჰა,ჰა,ჰა,ჰა,ჰა.... იცინიან ყველანი, მაგრამ ყველაზე უფრო თვითონ პეტერეც იცინის.

„პერეც... პერეც... პილპილა..: სწორედ პილპილა..: ჰა, ჰა, ჰა... აი სწორი სახელი ჩემი.

ზოგზე იტყვიან – „მარილია“ ამა სოფლისა... ჩემზე შეუძლიათ სთქვან - „პილპილია“ ამ ქვეყნის... ჰა, ჰა, ჰა... და მართლაც: მე პათოსი ვარ ყოფის... პათოსი „პილპილის“ გარეშე შეუძლებელია... გაუმარჯოს პერეცს... ჰა, ჰა, ჰა... მოიცადეთ... მიგუელ უნამუნოს „ნისლში“ ჩემგვარი ტიპია გამოყვანილი, თუმცა იგი მემთვარიაა უფრო, რომელიც უთუოდ ჩუკუნებას ეწევა... ჰა, ჰა, ჰა... წარმოიდგინეთ, მასაც „პერეც“ ჰქვია... როგორ არ დავიჯერო ამის შემდეგ წინასწარწყობილი ჰარმონია... დიაჰ, პერეც, პერეც... გაუმარჯოს პერეცს... იცოდეთ, ამიერიდან ჩემი ანონიმი პერეცის გვარს ატარებს... ამას ვამბობ მე, კოკო მპერეც... გაუმარჯოს პერეცს“...

იცინიან ყველანი და სცლიან სმურებს.

მისტერ ლეიკ ორჭოლ იღიმება და სიტყვას ჩუმად აპარებს:

„ჰერრ პეტერეც... არა: ჰერრ პერეც... რომ იცოდეთ, რას ნიშნავს თქვენი სახელი ქართულად “...

„როგორ, თქვენ ქართულიც იცით?...”

ეკითხება უნგარ.

„არა... მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ვიცი... ტფილისში გავიგონე... ბაქარას თამაშის დროს”...

მისტერ ლეიკი იღიმება. პეტერეც ხტის:

კიკო?.. ღმერთო ჩემო, ნუთუ ესეც რამეს ნიშნავს”...

„ნიშნავს და იცით, რას?...“

„კიკო ქართულად „ტუზს“ ნიშნავს“ ...

პეტერეც თუ პერეც სიხარულს ხელით იჭერს:

„კიკო - ტუზი... აი ნამდვილი ნიშანი„... ტოტემური ნიშანი... ბებრუხანა ისტორია პასსიანსს ალაგებს და უეცრად „ტუზი“ გამოხტება... ეს ტუზი მე ვარ... „პილპილის“ გარდა პათოსს ტუზიც სჭირდება... თუ არა... არა: დღეს უკანასკნელად ვირწმუნე წინასწარწყობილი ჰარმონია... კიკო პერეც - ტუზი და პილპილა... ჰა, ჰა, ჰა...

იცინიან ყველანი და სუფრას ხალისი ემატება. უნგარ ამჩნევს, რომ ჟანნეტის ხალისი ოდნავ გადამეტებულია. უეცრად პელეტიე კითხვას უყენებს უნგარს:

„არც სახელი გსმენიათ იმ ქალის?..“

„სახელი?.. „კავა“ ასე მომესმა“...

ამბობს გაკვირვებული უნგარი.

„კავა“, „კავა“. ყველამ თითქოს თავისთვის ჩაიჩურჩულა სახელი. მისტერ ლეიკ შეფიქრდა წამით: თითქო რაღაც მოაგონდა, ჟანნეტ ისე აილეწა, როგორც ლამაზი ქალი, რომლის თანაყოფისას სულ სხვა ქალზე ლაპარაკობენ.

დაიშალენ. გამოთხოვებისას უნგარმა ცხელი ხელი იგრძნო ჟანეტის: პირველად.

პელეტიე გაემართა თავის გზით. დარჩენ უნგარ და პეტერეც.

არის წამი, როცა შენს გულნადებს თანამგზავრი გრძნობს.

გრძნობს და არას ამბობს. გსურს-გითხრას, ის კი სდუმს, სწორედ ასე დუმს პეტერეც. უნგარს ასე შეუძლია თვითონ გადმოხსნას გულნადები. ის სხვა თემას წვდება:

„ხვალ შევხვდებით ალბათ ერთმანეთს“...

„დიახ, სცენარი ერთალაგას შესასწორებელია“...

„რომელ ალაგას?...“

„იმ ალაგას, საცა ფალესტრას ალექსანდრე ხვდება“...

„მიზეზი?..“

„მიზეზი?.. ამაზე შემდეგ... თქვენ კიდევ ნახავთ იმ ქალს“...

დაუმატა თავისთვის პეტერეცმა.

„მართლა?...“

უნგარმა ამ შეკითხვაზე გახარება დაიჭირა ტუჩებზე: შერცხვა . . .

„უთუოდ... თქვენში ვხედავ იმ ქალს“ „თქვენ ქარაგმით იცით ლაპარაკი“...

„ვინც ასე გზნობს „სხვას“, იცოდეთ, ის „სხვაც“ გრძნობს... გზნება მხოლოდ ორკეცია მძლავრი, ორპირი, ორმაგი“...

უნგარს კიდევ ჰსურდა შეკითხვა, მაგრამ ტუჩები დაიკვნიტა.

პეტერეც გამოემშვიდობა.

დარჩა უნგარ მარტო. ღამით მან პირველად იგრძნო, რომ მისის ნახევარი (ასტრალური?) სადღაც სხვაგანაა. უნგარმა „ვერონალს“ მიმართა პირველად.

ᲙᲐᲛᲐᲠᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

მისტერ მაკ კოლახს გამოეღვიძა.

დახედა საათს. 10. არ იამა. საქმის კაცს ასე გვიან არ უნდა ეღვიძებოდეს. ალბად „ვერონალმა“ გადააჭარბა. მისტერ მაკ კოლახ ბოლო დროს,- თუ ასეთ საშვალებას არ მიმართა, - კარგად ვერ იძინებს. მაგარი ძილი კი ენერგიის ასაღვივებლად ყველაფერია. არა: სხეული მისტერ კოლახის იძინებს, ხოლო სხეულში ტვინი ვერ ისვენებს. მაკ კოლახის ტვინი ძილშიაც მუშაობს ქვეშეცნეულ. სწორედ ისე, როგორც ტვინი სტუდენტის, რომელმაც სასწრაფოდ გამოცდა უნდა ჩააბაროს, - იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ სტუდენტის ტვინი ფორმულებს იმეორებს ათასნაირს, მაკ კოლახის ტვინში კი მარტო ბირჟის ციფრები დარბიან. ასეთი ტვინისათვის „ვერონალ“ გამოსადეგია და მაკ კოლახ არც უწყრება ამ უებარ საშუალებას „გადაცილებისათვის“.

წამოდგა მისტერ. მივიდა სარკესთან. ჩაიხედა. ასარკული სახე მისტერ მაკ კოლახს არ მოეწონა. ქუთუთოები დასივებოდა სახეს. თვალების ქვემოკანი გუდაფშუტასავით ჩამოშვებულიყო, კანს ფერიც გუდაფშუტის ჰქონდა. შემდეგ – წვერი: გუშინ გაპარსული. ხოლო წვერის თეთრი წვეტები საშინლად უკარგავდენ იერს სახეს. მაკ კოლახ მოიღუშა: თითქოს მკვდარს შეხედა უცბად გაცოცხლებულს. გაახსენდა: სიკვდილის შემდეგ ცხედარს თმა ეზრდება კიდევ. გააზრიალა ტანში. ერთი კიდევ შეხედა სარკეს, - თითქო სხვისია, - და სწრაფად გამობრუნდა.

შემდეგ შეუდგა ტუალეტს. ჯერ კბილები გამოირეცხა. კბილებიდან 18 ჰქონდა თავისი. დანარჩენი – ხელოვნური, ოქროსი. ნამდვილი კბილებიდანაც ორიც არ იყო ჯეროვანი. მიუხედავად მრავალნაირ ხეხვისა და ხვეწისა, „ღვინის ქვა“ ყველაზე მოდებული ჰქონდა: შიგა და შიგ ეს ქვა ღოჯივით იყო წარმოშებული. მაშინ კბილი ბებერი ცხენის კბილს ჰყავდა: ყვითელს, შეღრღნილს, გადაცვეთილს.

კბილები რომ მოათავა, პირის პარსვას მიმართა. მოიცილა მოთეთრო წვერები. აიღო ცხელი ტილო და იწყო მასაჟი. მაგ კოლახს სიამე უცოცხლდებოდა: სარკეში ხედავდა ფარაოს სახეს, თანდათან მოსულიერებულს. ცხელი ტილოთი თვალების ქვემო კანიც დაიზიდა – (მაკ კოლხმა იცოდა მასაჟის ხერხები). წარმოიდგინეთ: გუდაფშუტები რამოდენიმეთ დაიჭიმენ და მიიმალნენ. მაკ კოლახმა ეხლა ცხელ ვანას მიმართა, ვანაში ხმელი ტანი ახალისდა და გადახალისდა. ტანიც მაგრად დაიზილა, შეიშრო, მოდუნებული სისხლი აღვივდა ოდნავ და თითქოს ხორცის სხმა იწყო. მაკ კოლახის გუნებამ კიდევ უფრო იმატა. ჩაიცვა ტანსაცმელი, თაგვისფერი გაიკეთა მაგარი საყელო, ძველებური. შეიკრა ყელსახვევი: მომწვანო აბრეშუმი წითური ლაქებით, ოთხკუთხურით, გაიკეთა მონოკლი. მოიმარჯვა ტანი, სხეულის ელემენტები თავთავის ალაგას დალაგდნენ შემდეგ - გადახვეწილი ლოყები პუდრით მოიფიფქა. დახედა ასაკრულ მასკას. ეხლა მოეწონა თავისი თავი. სარკიდან თითქოს რამზეს მეორე იცქირებოდა უტეხი ძლევამოსილებით. მოკუმულ ბაგეზე ღიმილმა გადაირბინა. მაკ კოლახს სჯეროდა თავისი თავი.

ყავა და საუზმე უკვე შემოიტანეს.

მაკ კოლახს მაგიდას მიუჯდა, შესვა ყავა. ისაუზმა. სხეულის ნაწილები ახალისდნენ და ამოძრავდნენ: თითქოს ზემოით მოალბეს მეხანიზმი. მაკ კოლახს მიეცა თანდათან მანქანის სიმაგრე: არავითარი დარდი, არც გზნება მწვავი, არც ემოცია ბასრი. მხოლოდ ერთი რამ: ნება, ნება რვალის: საცა არაა ერთი ნაოჭიც. ნება – ერთი ელემენტისაგან ჩამოსხმული: თითქო გეოლოგიური მოვლენა. მაკ კოლახ ეხლა ნებაა: უტეხი, უდრეკი, ურჩი.

შემოიტანეს გაზეთები.

გადახედა გაზეთებს. წაიკითხა დეპეშები. ჯერ ბოკსი: დემპსეი იწვევს ტონნეის. შემდეგ შაჰმათი: ალეხინი ემზადება კაპაბლანკასთან შესაბმელად. შემდეგ კინო: ლილ დაგოვერ გამოდის ახალ ფილმში. შემდეგ სპორტი: ნორვეგიელმა ქალმა ქალმა გასცურა ამდენი და ამდენი მილი. შემდეგ პოლიტიკა: მუსსოლინი, ბრიანი, ჩემბერლენი, გერმანია, საბჭოთა კავშირი. შემდეგ ცეკვა: მგონი „ჩარლსტონს“ წირვა გამოუვიდა. ათასი სხვა რამ. გაზეთებში მარტო სათაურები იყო საინტერესო. მაკ კოლახმა გადაავლო თვალი სათაურებს. თითქო ყველაფერს გაეცნო. ბოლოს, ის ფურცელი აიღო, საცა ბირჟას აქვს ადგილი. ეს ბოლოში მოიტოვა, რომ მეტი ინტერესით (მეტი სიამითაც?!) გადაეკითხა... აქციები, ფასეული ქაღალდები, დოლარი, სტერლინგი. მათი კურსი: ნიუ იორკში, ლონდონში, პარიზში, ბერლინში. მაკ კოლახ აქ იყო თავისთავადი. აქ გრძნობდა იგი თავის თავს. საბირჟო ამბებს ისე დასცქეროდა, როგორც ჭირვეული შაჰმატისტი კაპაბლანკას პარტიას. მაკ კოლახს აქ ჰქონდა მხოლოდ გამონაკლისი: სხვაგან თუ მარტო ნება იყო იგი, აქ ამ ნებას ინტუიციაც ემატებოდა, ნაცრისფერ ფონზე წვრილი თვალები კიდევ უფრო წვრილდებოდნენ. რუხ, თითქო გახუნებულ თვალებიდან გუგები იწყებდნენ მინაბული დაწურვით კიაფს. ამ კიაფში იბადებოდა ფოსფორული ინტუიცია ბირჟების, კურსების, ფასების.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 44 (308)

7

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

●

შეეკითხეთ ცრემლებს,
შეეკითხეთ წვიმას,
შეეკითხეთ ღრუბლებს,
შეეკითხეთ იმას,
იმას შეეკითხეთ,
შეეკითხეთ დილას,
შეეკითხეთ მთვარეს,
ღამეს რატომ სძინავს.
შეეკითხეთ მზეს და
ჩემს სევდიან თვალებს,
სიყვარულს არ ჰკითხოთ,
არც იმ ლამაზ ქალებს,
არაფერი ჰკითხოთ
იმ ჩემს მესაფლავეს.
იყოს ოცნებები,
სევდა გაჰყვეს ღამეს,
ჰკითხეთ ტანჯვის წუთებს,
წუთებს, დროის წამებს,
ჰკითხეთ იმას, ჰკითხეთ,
ვინც მე მასაფლავებს,
რატომ რეკავს დილით
ციდან გლოვის ზარებს.
ჰკითხეთ, ვინ მიჰყვება
ზღვაში გასულ ნავებს.
შეეკითხეთ ცრემლებს,
შეეკითხეთ წვიმას,
შეეკითხეთ ღრუბლებს,
შეეკითხეთ იმას,
იმას შეეკითხეთ,
შეეკითხეთ დილას,
შეეკითხეთ მთვარეს,
ღამეს რატომ სძინავს.

●

იმ ძველ სიზმრებში
ძველებურად ვწვალობ,
სულ ვწვალობ,
ბულბულივით ვერ ვფრენ,
ვერ ვგალობ,
სიმდიდრე არ მაქვს,
ვერ ვარიგებ,
ღარიბს ვერ ვწყალობ,
რომ გავჩნდი ქვეყნად,
ღმერთო ჩემო, ვნანობ,
დღეს ვნანობ!
ვწვალობ დღე და ღამ,
ზღვის ტალღებში დავცურავ, ვწვალობ,
ვაი გალობას, ამ გალობას,
რომ ვეღარ ვგალობ.
ვწვალობ ფიქრებში,
ყვავილებში ვეღარა ვხარობ,
ღმერთო, რად გავჩნდი,
ამ გაჩენას ძალიან ვნანობ.

●

დავაშავე, ვიცი,
რომ ვაშავებ, ვიცი,
ჩაშავებულ ღამეს
ვითვლი, ჩემთვის ვითვლი.
მზე, მზე არ მახარებს,
დღე მიბრმავებს თვალებს,
ხე დარგული კვდება,
სიკვდილს მე მაბრალებს.
ვითვლი დღეს და ღამეს,
ვისმენ ლოცვის ზარებს,
ცა შენს ცისფერ თვალებს
ზღვაში აბანავებს!

რა ხდება

აი, მეც მოვედი,
ღიმილი ღიმილს ეთამაშება,
აი, მე მოვედი...
ვფიქრობ, რა ხდება...
ჩახტება, გული გულში ჩახტება,
მერე იმ გულში ვარდი დახვდება,
დახვდება, გულს გული დახვდება,
სინათლე ჩაქრება...
ჩაქრება...
ჩაქრება...
რა ხდება, რა ხდება,
აი, მეც მოვედი,
ღიმილი ღიმილს ეთამაშება,
მთვარე ღამესთან არ წვება,
რა ხდება, ღმერთო,
ღმერთო, რა ხდება...
ზაფხულს ზღვის ტალღა ბარდება,
გაზაფხულს გული დარჩება,
შემოდგომა და ზამთარი
ვარდისფრად ამიყვავდება,
რა ხდება, რა ხდება...
რა მიდის, რა რჩება...
აი, მოვედი,
მერე რა,
ჩემი ოცნება მარცხდება...
შემოფრენილი ფრინველი
ჩემს ვარდის ტოტზე
არ ჯდება...

არ ვიცი, მერე რა მეშველება

ხმას გავიგებ და გიახლოვდები,
მიახლოვდება შენი მშვენებაც,
როს დაგინახავ, ვიცი, მოვრჩები,
წახვალ და მერე რა მეშველება?!
არა ხარ, მაინც მომაგონდები,
თვალს შენი ფერი ეთვალფერება,
შენით შენს ფიქრებს დავემონები,
წახვალ და მერე რა მეშველება?!
შენით არასდროს მე არ მოვკვდები,
არ მიწერია გადაშენება,
ცრემლად ცვივიან ხიდან ფოთლები,
ცრემლიან ფოთლებს რა ეშველებათ?!
გზაზე სირბილით გავითოშები,
შენი აჩრდილი მზის ფერს ედრება,
ვარ მაგ სინაზით განაოცები,
არ მიწერია მე დაბერება!
ხმას გავიგებ და გიახლოვდები,
მიახლოვდება შენი მშვენებაც,
როს დაგინახავ, ვიცი, მოვრჩები,
წახვალ და მერე რა მეშველება?!

●

რა ვქნა, ქალოვ, საალერსოდ მოვედი,
დღე და ღამე შენს შემოსვლას ველოდი,
ვიცოდი, რომ შენ მე აღარ მშველოდი,
მზის და მთვარის მოლოდინში ვდნებოდი.
დაკიდული თმის ღერივით ვწყდებოდი,
ცრემლიანი ბალახებზე ვწვებოდი,
ზღვის ტალღებში ცურვით ვიტანჯებოდი,
რა ვქნა, ქალოვ, მაინც მენატრებოდი.

●

დამაღონა ფრენამ, გადაფრენამ,
დამაღონა ყველამ, ყველამ, ყველამ,
დამაღონა შენმა გამოჩენამ,
ზეცის წვიმამ, ზეცის წვიმის წყევლამ.
თვალებმა და თვალთა ფერთა ხედვამ,
მაგ თვალებში სიყვარულის ელვამ,
ზეცის ფერმა, ზეცის ფერთა ხედვამ,
მაგ თვალებში სიყვარულის ელვამ,
ზეცის ფერმა, ზეცის ფერთა ხედვამ,
გულის ვნების, გულის, გულის ფეთქვამ,
ვიცი, შენ ხარ, ჩემო ფიქრო, შენ ხარ,
ვარდის ბაღში ვარდის ფერზე წევხარ,
ვიცი, მზე ხარ, მზის ნამღერი მზე ხარ,
მე არა ვარ, მაგრამ ვიცი, შენ ხარ.
აგედევნე ჩრდილი, მონაჩრდილი,
აგედევნე, როგორც ღამის ძილი,
აგედევნე, ვიცი, შენთან ვივლი,
ვივლი შენთან, როგორც სულის ფიქრი.
მივდივარ და გზაში ვიღაც მხვდება,
შუქი ქრება, ოცნება კი რჩება,
ცის ფერებში ვარდის ფერი ქრება,
ღამეა და მოდის მოლანდება.

გახსენება

ერთხელ ჩავალ სოფელში,
ვინახულებ ჩემებს,
ცისკენ ხელებს აღვმართავ,
ჩემს გატანჯულ ხელებს.
სახლ-კარს მოვინახულებ,
მინდვრებსა და ველებს.
ერთხელ ჩავალ სოფელში,
ცრემლებს დავღვრი, ცრემლებს,
ერთხელ მოვინახულებ
ძველებს, ძველთა ძველებს.
ერთხელ მოვეფერები
მსხლის და ვაშლის ხეებს.
ერთხელ შევალ ბოსტანში,
წნელებს ვნახავ, წნელებს.
გავიხსენებ ბავშვობას,
მოჩურჩულე ღელეს.
ჩემს ბავშვობას, ნათლობას,
ცას და ცისა ფერებს.
გავალ სასაფლაოზე,
ცრემლებს დავღვრი, ცრემლებს.
ერთხელ ჩავალ სოფელში,
ვინახულებ ძველებს,
ცისკენ ხელებს აღვმართავ,
ჩემს გატანჯულ ხელებს.

●

მე არავის ვჭირდები, მეც არავინ
მჭირდება,
ვინმეს თუ დავჭირდები, ჩიტი
შემოფინდება,
ხვალ მე აღარ ვიქნები, დრო თმის ბეწვად
წვრილდება,
ვიცი, ვიცი სამშობლოს ხვალე
გაუჭირდება.
მთვარე მარცხნივ იხრება, მზე ცის ფერში
ირწევა,
ყველაფერი იქნება, მზე მზით
ამობრწყინდება.
მე არავის ვჭირდები, მეც არავინ
მჭირდება,
ვინმეს თუ დავჭირდები, ჩიტი
შემოფინდება.

●

როცა შენ გხედავ, მზეს ვხედავ მზეში,
გიყურებ, მზეო, და მარად გეტრფი,
ვიცი, ერთი ხარ, ის ერთადერთი,
ბედნიერი ვარ, რომ დღეს შენ შეგხვდი.
რა უნდა გითხრა, ხარ ერთადერთი,
მაგ სილამაზეს, ვგრძნობ, შევაბერდი,
ჩემთვის ერთი ხარ ოცნება, ერთი,
შერჩი მზის სხივებს შენ ერთადერთი,
სიყვარულს გიხსნი, სათქმელი ვერ ვთქვი,
მზეს, მზეს შემორჩი შენ ერთადერთი,
გზად რომ ვერ შეგხვდი, თვალს შერჩა
ცრემლი.
გეტყვი ყველაფერს, ყველაფერს გეტყვი,
გულში ანთია ვნებათა ცეცხლი,
ფერფლად ვიქეცი, ფერფლი ვარ, ფერფლი,
იმ დღეს დაგტოვე, ამაში შევცდი.

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲡ...

გიგა ლორთქიფანიძეს

ერთი სიცოცხლე
შესწირო თეატრს,
ეს მხოლოდ ღმერთის განაჩენია.
შენ ღმერთს ეკუთვნი,
შენ მზეს ეკუთვნი,
შენში რაც არის, ის ხომ ჩვენია!
თეატრალური ერთი ზღაპარი
ქართულ სამყაროს შემორჩენია.
ქართულ თეატრში შენი ნავარდი
ეს ხომ შენია, მერე ჩვენია...
შენ იყავ შენი ნიჭით მართალი,
სცენაზე გედი აგიფრენია,
ქართული სცენის საჭეს მართავდი —
გიგა, გიორგი, ნიჭი, გენია!
მაინც არსებობს ცის სამართალი,
ცაში ხომ მუდამ სამი ფერია,
ზეცის სიცოცხლე, მზე, გაზაფხული,
ის ერთი ფერი მხოლოდ შენია.
ერთი სიცოცხლე
შესწირო თეატრს,
ეს მხოლოდ ღმერთის განაჩენია.
შენ ღმერთს ეკუთვნი,
შენ ერს ეკუთვნი,
შენში რაც არის,
ის ხომ ჩვენია!

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ, ᲛᲘᲓᲘ, ᲨᲐᲣᲑᲔᲠᲔ!

ამირან შალიკაშვილმა საქართველოში შექმნა პანტომიმის ბრწყინვალე თეატრი. დღეს მსოფლიოში აღიარებენ ამ თეატრსა და მის რეჟისორსაც.

თავად ამირანი კი, ასე ამბობს: „გავბედე და პოეტთა სამყაროში შევტოპე!“

ჩემო ამირან, გირჩევ, არ შედრკე და გაიხსენე შენივე ლექსის სტრიქონები:

„ყველაფერი იქნება,
მზე მზით ამობრწყინდება,
მე არავის ვჭირდები,
მე არავინ მჭირდება!“

ამ შემთხვევაში არ გეთანხმები, რადგან შენ საქართველოს სჭირდები.

ჰოდა, მიდი, შაუბერე!..

ᲯᲬᲐᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ



●

ბაგეთაგან მზე ამოდის,
ცის მზე არის ჩამქრალი,
ეგ თვალები მიდი-მოდის,
ახლოვდება ზამთარი.
ყვავილებს ვკრეფ მინდვრის, ქოთნის,
კოცნითა ვარ დამწვარი,
საკოცნელად მზე ამოდის,
შველივით ვარ დამფრთხალი.
მკერდი ლოცვის, ფერი ფოთლის,
ჩამოუშვით ბაწარი,
თავი უნდა ჩამოვიხრჩო,
მთვარეში ვარ ჩამწვარი.
გინდ მოკვდი და გინდა მორჩი,
სამართალი სად არი,
სიყვარული, ჩემი ცოდვის,
ახლოვდება ზამთარი.

ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲜᲐᲕᲨᲘ

ზღვის ტალღებს ვკრიფავ კონებად,
სული იხრჩობა ზღვაში,
გადავიქეცით მონებად,
შავი გამეფდა თვალში.
სიცოცხლე იქცა ფოთლებად,
ქარი სეირნობს ქარში,
ფოთოლთა ცვენა დაიწყო,
ზის მწუხარება ნავში.

●

გამუდმებით ლაპარაკობს წვიმა,
კარი ნუ გაქვს, კარი ნუ გაქვს ღია,
მე ხომ ვიცი, შენს სახლში რომ ცივა,
მოიხურე, კარი ნუ გაქვს ღია.
ამ სიცივეს წვიმის სევდა ჰქვია,
წვიმის წვეთი დადის, მასაც სცივა,
შიშველ სხეულს ქურქი არ აცვია.
ცვივა ციდან წვიმა, წვეთ-წვეთ ცვივა,
ვიცი, წვიმას წვიმის წვეთი ჰქვია,
წვიმას ტანზე ქურქი არ აცვია.

●

ასეთი ლამაზი ქუჩა,
ასეთი მახინჯი მე,
ვარდები მზით გაიფურჩქნა,
ქუჩაში სეირნობს მზე.
შენს ღიმილს მერცხლები უნდა,
დავდივარ, გამირბის დღე,
ჩემთვის ის ღამე ქუხდა,
დავკარგე გზა შენამდე.
ყვავილებს შეხება უნდა,
კოცნა და სხივები მზეს,
გეძებდი, წვიმა და ქუხდა,
ვეძებდი გზას შენამდე.

●

მოვა, ამბობს, ვიღაც ამბობს,
სიყვარული მოვა,
თეთრმა თოვლმა ჩამოთოვა,
თეთრად ჩამოთოვა.
სიყვარულმა მზე და მთვარე
ღამით გაათხოვა,
თოვლმა ყვავილთ გაზაფხული
მე არ დამიტოვა.
მაქვს ტკივილი შენახული,
წვიმის, ქარის ქროლვა,
მიწა ცრემლით დანამული,
მთვარემ მიატოვა.
რაც წავიდა, ის არასდროს,
ის არასდროს მოვა,
გაზაფხულზე, ზღვის ტალღებმა
ქარი გაათხოვა.

●

№ 44 (308)
11-17 ნოემბერი 2015
ქართული ოცნება
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ.
ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

სპანდალი

ᲔᲠᲝᲡᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-ᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ?!

ეროსი კიწმარიშვილის სამართალმემკვიდრე ია კიწმარიშვილი ბრძოლის დასაწყებად ემზადება – სავარაუდოდ, მალე სასამართლოს მიმართავს.
როგორც „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ეროსის ძმამ, ზურაბ კიწმარიშვილმა განაცხადა, ია თანახმა არ იქნება, ქიბარ ხალვაშის მიერ გადაცემული „რუსთავი 2“-ის წილის 50% პროცენტი სამ ნაწილად გაიყოს და სასამართლოს მეშვეობით შეეცდება, ის წილი დაიბრუნოს, რაც მის მეუღლეს რეალურად ეკუთვნოდა.

ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲔᲠᲝᲡᲘ ᲙᲘᲬᲛᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲕᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲯᲘ ᲐᲥᲘᲛᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲐ

ᲖᲣᲠᲐ ᲙᲘᲬᲛᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ეროსი კიწმარიშვილის ძმა: – 20 წელია, „რუსთავი 2“ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ორომტრიალშია, ამ ხნის განმავლობაში, კომპანიაში, ბევრი თაობა გაიზარდა და ბევრმა დიდ წარმატებასაც მიაღწია. მათი ნაწილი დღესაც „რუსთავი 2“-ში მუშაობს. სხვათა შორის, მეც ამ კომპანიის ერთ-ერთ პიონერად ვითვლები. როცა ეროსი ამ კომპანიას აშენებდა, ჩემს სამეგობროსთან ერთად, მის გვერდით ვიყავი...

– ზურა, იმას, რაც დღეს „რუსთავი 2“-ის გარშემო ხდება, როგორ აფასებთ?

– ამ ტელევიზიას ერთ-ერთი რთული პერიოდი უდგას. დღეს ამ კომპანიაში 800-ზე მეტი ადამიანი მუშაობს და ზოგისთვის ეს ახალია, ზოგიც ყველაფერ ამას შეჩვეულია, თუმცა აქ თავს ბედნიერად და კომფორტულად ვერავინ გრძნობს. ყველა, მათ შორის, მეც იმის მოლოდინში ვართ, რომ კომპანია მუშაობას გააგრძელებს ძველებურად. ბუნებრივია, რვაასივე თანამშრომელი ერთმანეთს არ ხვდება და მოსაზრებებს არ უზიარებს, მაგრამ ჩემს გარშემო, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, ყველას ვეუბნები, რომ ყველაფერი დალაგდება და სიმართლე გაირკვევა – კომპანია იმის მფლობელობაში იქნება, ვინც ყველაზე მართალია.

– და ვინ არის მართალი?

– ამ ტელეკომპანიის მფლობელობის პრეტენდენტები ყოველთვის იყვნენ და დღესაც აქტიურად ჩანან. ბოლოს და ბოლოს, კვანძი უნდა გაიხსნას და რაღაც გაირკვეს. შეიძლება, ამას ერთი წელიც დასჭირდეს, მაგრამ საბოლოოდ, შედეგი დადგება. ვხედავთ, რომ ყველა პრეტენდენტი თავის სიმართლეში გულწრფელადაა დარწმუნებული და ყველა სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.

კარგად ვიცით, რომ „რუსთავი 2“-ის წილები იყიდებოდა და იცვლებოდა. ყველაფერი იმდენად აბსურდულია, რომ ძნელია, ინფორმაცია, რომელსაც მათგან ვისმენთ არ დავიჯეროთ, რადგან მათ ძალიან რთული პერიოდი გაიარეს. აქედან გამომდინარე, თუ როგორ შეხედავს ამ პროცესებს უბრალო მაყურებელი, იმის განმსაზღვრელი არ უნდა იყოს, ტელეკომპანია ვის უნდა ეკუთვნოდეს.

– რას გულისხმობთ?

– ჩვენ ყველას ვუსმენთ, მაგრამ ეს არაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებაც მისაღებია. ეს სასამართლოსა და სამართალდამცავი სტრუქტურების პრეროგატივაა, რომლებმაც გარე ფაქტორების ზეგავლენის გარეშე უნდა იმსჯელონ და გადაწყვეტილება ისე მიიღონ. ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ „რუსთავი 2“-ის წილობრივი საკითხი გაირკვეს და ამის თაობაზე კითხვები სხვა პოლიტიკურ ფორმაციაში აღარ იყოს. ეს არაა მორალურად გადასაწყვეტი საკითხი. მოდით, ეს საქმე მაინც ბრმა თემიდას მივანდოთ, მაგრამ იქ, სასამართლოში, აუცილებლად ყველას თანაბარი პირობები უნდა ჰქონდეს.

– სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ დარჩა ბევრი შეკითხვა... ქიბარ ხალვაში არის თუ არა „რუსთავი 2“-ის რეალური მეპატრონე? საზოგადოებაში ამ სამაუწყებლო კომპანიის მეპატრონედ სამეული – ეროსი კიწმარიშვილი, ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი ითვლება. ეროსი ცოცხალი აღარაა, აქიმიძე და დვალი კი, ხალვაშის გვერდით არიან...

– გეთანხმებით, ამ ტრიუმვირატს ტელევიზია შეცილების გარეშე ეკუთვნოდა.

რაც შეეხება ხალვაშს, ის თვითონვე აღიარებს, რომ ამ პროცესში შემთხვევით გამოჩნდა. იქიდან დაწყებული, ყველაფერი უკვე მისტიკაა და პროცესებიც, რომელშიც ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მისტიკურია. სწორედ აქედან უნდა დაიწყოს სასამართლომ ღრმა ანალიზი.

– ფაქტია: ხალვაში გამარჯვებულია და, როგორც განაცხადა, კეთილი ნებით, ტელევიზიის 50%-ს აქიმიძესა და დვალს დაუთმობს. თქვენ კი, როგორც ეროსის ოჯახის წევრს, ბუნებრივად გაგიჩნდათ პროტესტის გრძნობა და ესეც გასაგებია...

– ამ „კეთილი ნების“ ჟესტს ვერ ავხსნი... ალბათ, უფრო იმას უკავშირდება, რომ ქიბარ ხალვაში ამ ბიზნესში დღესაც არაა გარკვეული, თუმცა ამას შევეშვათ...

სასამართლომ საქმის განხილვა ჯარჯის, დვალის ან, თუნდაც, ჩემი ძმის სარჩელის კი არა, ხალვაშის სარჩელის საფუძველზე დაიწყო და დაადგინა, რომ იმ გარემოებებით, რაც წარედგინა, ეს კაცი მართალია. თუკი ხალვაშმა მიაღწია, რომ სარჩელი დაუკმაყოფილდა, მისი უფლებაა, წილი ვისაც უნდა, იმას აჩუქოს. ის, რომ არ ითვალისწინებს ეროსის ფაქტორს, ამაში იურიდიულ ნონსენსს ვერ ვხედავ. ჩემი პრეტენზია, როცა ამ საქმეში ეროსის სამართალმემკვიდრის ჩართვა მოვითხოვე, ხალვაშის კეთილ ჟესტს სულ არ უკავშირდება... მას არც ჩემი პროტესტი განუხილავს და არც მომავალში, ეროსის მეუღლის, იას პრეტენზიებს განიხილავს, მაგრამ თუკი მეწილეთა საჩივრების განხილვა წავიდა და სასამართლომ ჩათვალა, რომ თავის დროზე მოხდა პროცესები, რომლის შედეგადაც კანონიერ მფლობელებს ჩამოერთვათ წილები და სხვას გადაეცა, თუკი ვლაპარაკობთ სამართლიანობის აღდგენაზე, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ეროსის წილობრივი მონაწილეობის საკითხიც. თუ აქამდე სასამართლოსთვის ამ საკითხზე არავის მიუმართავს, ახლო მომავალში ეს დღე აუცილებლად დადგება.

– ანუ, სასამართლოში სარჩელს ხალვაშის წინააღმდეგ შეიტანთ?

– ამ საკითხზე ჯერ იაც არაა ჩამოყალიბებული იმიტომ, რომ იურისტებთან კონსულტაცია არ გაუვლია. შესაბამისად, ძნელია იმის თქმა, თუ რა ფორმით დადგება სასამართლოში საკითხი. ამ დროისათვის მხოლოდ იმის თქმა შეიძლია, რომ ია თავის ინტერესების დაცვას აპირებს და ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: ერთი, მარტივი და ძალიან პრაგმატული – იყო წილი და აღარ არის. მოვიდა დრო, რომ იამ ეს წილი მოითხოვოს. მეორე, თუკი სასამართლო ითვალისწინებს პრეტენდენტთა ინტერესებს და რამდენადაც ვიცი, ეს გადაწყვეტილება იმ ჩვენების საფუძველზე მიიღეს, რომელიც ეროსიმ თავის დროზე საგამოძიებო ორგანოებს მისცა, უნდა გაითვალისწინოს ეროსის სამართალმემკვიდრის პრეტენზიებიც.

– თუ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ანუ აქიმიძე და დვალი ხალვაშის გვერდით აღმოჩნდნენ, მომავალ სასამართლო პროცესზე ისინი, ალბათ, ხალვაშის პოზიციას დაიცავენ. რა ურთიერთობა ჰქონდა თქვენს ძმას თავის ორ პარტნიორთან და დარწმუნებული ხართ, რომ ისინი სიმართლეს იტყვიან?

– ამ სამს ურთიერთობა ნეგატიური და მოშლილი იმ პერიოდიდან ჰქონდა, როცა ეროსიმ კომპანიის გაკოტრებაზე განცხადება გააკეთა. ამან მათი მხრიდან წილების დათმობის პროცესი მოამწიფა. პირველი ეროსი დანებდა და წავიდა, მაგრამ დანებების აქტი კომფორტულ პირობებში მოახდინა. მისი პარტნიორები კი, უფრო დაზარალდნენ. ეს, ადამიანურად, მათი განხეთქილების მიზეზია.

თუკი მოვლენები ისე განვითარდა, როგორც თქვენ თქვით, რამდენად შეუწყობს მათი მონაწილეობა იას ინტერესების დაკმაყოფილებას, არ ვიცი, მაგრამ თუკი აქიმიძე და დვალი დაიკითხნენ, ჩვენების მიცემა რეალობის გარშემო მოუწევთ. რამდენადაც მათ ვიცნობ, რეალობას არ გააყალბებენ.

– ეროსის ქვრივი თანახმა იქნება, რომ კომპანიის წილების ის 50%, რომელსაც ხალვაში მომავალში დათმობს, აქიმიძესა და დვალთან ერთად გაინაწილოს? ხალვაშმა თქვა, სადაც ორი, იქ სამი იყოს, იასაც შევხვდები და დაველაპარაკებიო.

– რთულია, ამაზე კომენტარი გააკეთო. იას პოზიცია ბოლომდე არ აქვს ჩამოყალიბებული, თუმცა მაინც მგონია, რომ სრულ წილობრივ პრეტენზიას დააყენებს. მას ასეთი აქტიურობის განხორციელება არ უნდოდა, მაგრამ თვლის, რომ ახლა გაჩერების დრო არაა.

– ბოლო დროს გაჩნდა ეჭვი, რომ ეროსი „რუსთავი 2“-ის საქმის გამო მოკლეს. რას იტყვით ამის შესახებ?

– გვარამია ჩემთან საუბარში ყოველთვის ამბობდა, რომ ამ კომპანიაში ეროსის ღვაწლს ძალიან აფასებდა. ბოლო პერიოდშიც რამდენჯერმე გაიმეორა, ეროსი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენს გვერდით იდგებოდაო.

ძალიან ბევრს ჩემთვისაც უთქვამს, ყელაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ „რუსთავი 2“-ის საკითხი გადასაწყვეტიაო. მათი არგუმენტების უარყოფას ვერ შევძლებ, იქიდან გამომდინარე, რომ ხელთ არ მაქვს საბუთი, რაც რეალურად მოხდა. ამასთან დაკავშირებით ყოველთვის მქონდა გაღიზიანებული პოზიცია, რადგან არ მინდოდა ამ ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირება, თუნდაც სენტიმენტის გამო. რომ წარმოვიდგენ, ეროსი იმას გადაჰყვა, რაც ყველაზე მეტად უყვარდა, ამის გაცნობიერება ჩემთვის ძალიან მძიმეა. ჟურნალისტებისაგან განსხვავებით, შესაძლო სცენარებსა და მკვლელობის ვერსიებზე არასოდეს ვლაპარაკობ და გამოძიებას მივყვები.

გვარამიამ კი თქვა, ეროსი ჩვენს გვერდით იქნებოდაო, მაგრამ არ ვიცი, ეროსი სად იქნებოდა. ეს ძალიან მძიმე პროცესი იყო და ამ პროცესში შეიძლება, ადამიანებიც კი შეცვლილიყვნენ. სამართლებრივის გარდა, აქ პოლიტიკური მომენტებიცაა და ამ ასპექტში ეროსი სად იქნებოდა, ამას ვერ გეტყვით.

– დღესაც „რუსთავი 2“-ში მუშაობთ... არ გიჭირთ?

– აქ მისი დაარსების დღიდან ვმუშაობ. იმ ადამიანებმა, რომლებიც პირველი დღიდან მოვდივართ, მთელი ჩვენი ენერგია ჩავდეთ ტელევიზიაში. დავბერდით, ჭაღარა გვაქვს, შვილები და შვილიშვილები გვყავს და ამის მიტოვება ჩვენთვის ძალიან მძიმეა. ეს არაა ის სამსახური, სადაც მიდიხარ, გაატარებ ელექტრონულ ბარათს, დააფიქსირებ მისვლას, შესრულდება რომელიღაც დრო, შინ წახვალ და მეგობრების წრეში, ჭიქა ვისკიზე შენს სამსახურს შეუკურთხებ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი საქმე. ჩვენ მივედით არაფერზე და რაღაც მნიშვნელოვანი გავაკეთეთ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-ᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐᲝ. ᲛᲐᲗᲘ ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑ, ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲗ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ, ᲠᲐᲪ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲫᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲚᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲡᲔᲜᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜ, ᲔᲠᲝᲡᲘ ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲰᲧᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲕᲧᲕᲔᲑᲘ“.

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

„ᲛᲐᲚᲚᲔ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ!“

„ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ“ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, „ᲘᲛᲔᲓᲘ“ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲐ, ᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-Ს ᲠᲝᲛ ᲮᲣᲠᲐᲕᲔᲜ, ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ. „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲘᲛᲔᲓᲘᲡ“ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲡᲬᲝᲠᲘ, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ 2“-ᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ ᲙᲘ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲪ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲝᲒᲑᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲐᲤᲣᲠᲗᲮᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲣᲚ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲡ ᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ, ᲐᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲜᲘᲙᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲰᲧᲐᲕᲗ, ᲡᲬᲝᲠᲘᲐ? ᲘᲡ, ᲠᲐᲪ 10-15 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲮᲚᲐᲪ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ“.

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲣᲙᲐᲕᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ

„გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლე ურთმელიძემ „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით მიიღო, იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა თავისი ხელით დაწერა, — ასეთ სკანდალურ განცხადებას აკეთებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა და დასძენს, — მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა თავისი ცნობილი განცხადება გააკეთა, ხელისუფლებამ წულუკიანი „გადამალა“ და ის ახლა ძებნილი მინისტრია“. კუკავა არც იმას გამორიცხავს, რომ იუსტიციის მინისტრი მალე თანამდებობიდან გაათავისუფლონ.

— ბატონო კახა, პრაქტიკულად ერთადერთი ხართ, რომელიც „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ მოვლენებს სხვანაირად აფასებთ და ამბობთ, რომ ეს პროცესი ხელისუფლებამ სხვა თემებიდან ყურადღების გადასატანად დაიწყო...

— აქამდე საქართველოში ორპოლუსიანი პოლიტიკა იყო: სურდათ, წარმოეჩინათ, რომ „ნაცმოძრაობა“ ერთადერთი მოწინააღმდეგეა და სხვა არ არსებობს, ანუ ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, მხოლოდ „ნაცებსა“ და „ქოცებს“ ეხებათ და ეს ახალი არაა. ყველა დროის დიქტატორები და ავტორიტარული მმართველები ასე აკეთებდნენ. გავიხსენოთ, სააკაშვილი ამბობდა, სააკაშვილი გირჩევნიათ თუ სხვა ვინმეო. ეს ხელისუფლება ხალხს არჩევანს სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის სთავაზობს. მინდა, საზოგადოება დავარწმუნო, რომ ეს მედლის ერთი მხარეა და შეუძლებელია, მათ შორის არჩევანი გააკეთო.

რეალურად, არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ გუნდსა და პოლიტიკურ ძალაზე, რომელიც საქართველოში მათ არსებობას საერთოდ გამორიცხავს.

— ეს პოლიტიკური ძალა რომელია?

— რომელიმე ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას არ ვგულისხმობ. ეს უნდა იყოს დიდი პოლიტიკური კოალიცია, რომელშიც პარტიებიც იქნებიან და საზოგადოების ის წევრებიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ქვეყანა გადასარჩენია.

— როგორც ამბობთ, „ნაცებს“ მიაჩნიათ და „ქოცებსაც“, რომ ქვეყანა მათ გარეშე არ გადარჩება...

— „ნაცმოძრაობას“ მიაჩნია, „იმედი“ რომ დაარბია, სწორი იყო და „რუსთავი 2“-ს რომ ხურავენ, არასწორია. „ოცნებას“ მიაჩნია, რომ „იმედის“ დახურვა არ იყო სწორი, „რუსთავი 2“-ის დახურვა კი სწორია. ბევრი ადამიანი და მათ შორის ჩვენც, ვფიქრობთ, რომ ერთიც არასწორი იყო და მეორეც. სააკაშვილის დროს, რომ გოგა ხაინდრავასა და კონსტანტინე გამსახურდიას აფურთხებდნენ და ფარულ ჩანაწერებს უქვეყნებდნენ, ის არასწორი იყო და ახლა, ამ დღეში ნიკა გვარამია რომ ჰყავთ, სწორია? ის, რაც 10-15 წლის წინ არასწორი იყო, ახლაც არასწორია. ამიტომ აუცილებელია, მესამე ცენტრის ჩამოყალიბება და ხელისუფლებაში მოსვლა.

— მოვლენების ასეთ განვითარებას ელოდით, ბატონო კახა?

— მართალი რომ გითხრათ, არა. ივანიშვილზე უფრო უკეთესი წარმოდგენა მქონდა და არა მხოლოდ — მე, ბევრი ამბობდა, რომ ამას არ გააკეთებდა. როგორც აღმოჩნდა, არაფერი ჰქონდა გათვლილი, გარდა იმისა, ისე გაეკეთებია, როგორც ეს სააკაშვილ-პატარკაციშვილის დაპირისპირებისას იყო. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ვაშინგტონში, რამდენიმე მოქრთამული კონგრესმენი შექმნიდა იმის საშუალებას, რომ მწვანე შუქი აენთოთ მათი ზრახვებისათვის, მაგრამ ევროკავშირის განცხადებამ ცივი წყალი გადაასხათ და ვფიქრობ, ეს რეჟიმი მალე დამთავრდება.

— როგორც იურისტი, მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?

— არაკონსტიტუციური და არაკანონიერი გადაწყვეტილებაა, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან ახლოსაც არ არის და დარწმუნებული ვარ, ამას საქართველოს იურისტთა 99% იზიარებს. ურთმელიძის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის დანაშაულია და ძალიან მალე ის ციხის საკანში მოხვდება.

— ხალვაშის ადვოკატის, სალიას კომპეტენციაც ეჭვის ქვეშ დააყენეთ. არადა, ფაქტია: ადვოკატმა მნიშვნელოვანი პროცესი მოიგო...

— არა მარტო სალიას კომპეტენცია და კეთილსინდისიერება დგას ეჭვის ქვეშ. ბოლო მოვლენებმა და დროებითი მმართველის დანიშვნამ დაგვანახა, რომ თვითონ სალიაც სისხლის სამართლის დამნაშავეა. სარჩელი, რომელიც დაწერა, არაკომპეტენტურობით კი არ მოუვიდა, არამედ, სალია, წულუკიანი, ურთმელიძე, დვალი და ხალვაში — ყველა ერთად ასრულებს დავალებას და ამას ზეწოლა და მართლმსაჯულების უკანონოდ გამოყენება ეწოდება. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია!

— დროებითი მმართველის დანიშვნა გამართლებული რატომ არაა?

— თუ კანონმდებლობაში იქნებოდა დროებითი მმართველის ინსტიტუტი, იურისტები იდავებდნენ, სწორია თუ არა კომპანიაში დროებითი მმართველის დანიშვნა, მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში დროებითი მმართველის ინსტიტუტი საერთოდ არ გვაქვს — დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ სასამართლოს რომელიმე კომპანიაში დროებითი მმართველი შეეშვა. ამიტომ, აქ იმაზე კი არაა საუბარი, რომ დროებითი მმართველის დანიშვნა სწორია თუ არა, არამედ, იმაზე, რომ ამას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. ეს, დაახლოებით, იმას ნიშნავს, საქართველოს მთავრობამ გამოაცხადოს, რომ ნიშნავს კლდეკარის ერისთავს. ამიტომ ეს ცალსახად სისხლის სამართლის დანაშაულია, თუმცა როცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, მხოლოდ სალია, ან ურთმელიძე არ უნდა დაისაჯოს.

ამ ტელეკომპანიას ბევრი ცოდვა აქვს ქართული საზოგადოების წინაშე ჩადენილი, მაგრამ თუკი გვინდა, სახელმწიფო შედგეს, ის პროკურორები, მოსამართლეები და გამომძიებლები, რომლებიც რევოლუციამდეც იყვნენ და დღესაც ხელისუფლების დავალებებს ასრულებენ, ციხეში უნდა ჩასხდნენ. თუ ისინი ციხეში არ ჩასხდებიან, კიდევ არაერთი მთავრობა გვეყოლება, რომელიც დაეყრდნობა ამ პროკურორებს და მოსამართლეებს და არაერთი თაობის ცხოვრებას გაამწარებენ.

„ᲗᲣ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲘᲓᲐᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲡᲬᲝᲠᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ — ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲔᲨᲕᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲐᲮᲚ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ. ᲔᲡ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗᲘ, ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲙᲚᲓᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲡ ᲪᲐᲚᲡᲐᲮᲐᲓ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲚᲘᲐ, ᲐᲜ ᲣᲠᲗᲛᲔᲚᲘᲫᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲝᲡ“.

— ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲣᲠᲗᲛᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲡ�გᲐᲕᲘ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ?

— არ მიმაჩნია, რომ ურთმელიძე ყველაზე უარესია. ის ერთ-ერთია. მაგალითად, ავიღოთ მოსამართლე ჩემია, რომელმაც გირგვლიანის საქმე განიხილა, ესებუა, რომლის შესახებაც ბევრი ვიცით, მიქაუტაძე, რომელმაც, სხვათა შორის, ივანიშვილის 80 მილიონით დაჯარიმების გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ დღეს თავის საქმიანობას აგრძელებს და რაც უნდა პარადოქსი იყოს, ამათ ემსახურება. როდესაც გაზაფხულზე დამაკავეს, ჩემი დაკავების გადაწყვეტილება მიქაუტაძემ გამოიტანა. ისე, ურთმელიძეც სააკაშვილის დანიშნულია, ანუ ის მოსამართლეები, რომლებიც „კეთილსინდისიერად“ ემსახურებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს, დღეს ამ ხელისუფლებას ემსახურებიან. მიმაჩნია, რომ ყველა მათგანმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს. მოსამართლე, რომელიც გადაწყვეტილებას კანონისა და კონსტიტუციის უგულებელყოფით იღებს, სისხლის სამართლის დამნაშავეა. ამიტომ ურთმელიძის ადგილი ციხეშია და დარწმუნებული ვარ, ეს დღე მალე დადგება.

— იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, თუ გვარამია მოსამართლის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, აღსრულების პროცესი დაიწყებაო. თქვენ კი, დროებითი მმართველის დანიშვნას არაკანონიერს უწოდებთ...

— წულუკიანის განცხადებები ორ ნაწილად დავყოთ: მანამდე, ვიდრე ევროკავშირი განცხადებას გააკეთებდა და მას მერე, როცა საერთოდ გადამალეს. დარწმუნებული ვარ, მალე თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხი დადგება...

— რას ელოდებით, რა მოხდება?

— მოხდება ის, რაც სააკაშვილის დროს მოხდა.

— ანუ?

— ხელისუფლება იზოლაციაშია. არსებობს თვითგადარჩენის და თვითგანადგურების ინსტინქტი, რომელიც ადამიანებსაც აქვთ და მთავრობებსაც. დღევანდელ ხელისუფლებას სწორედ თვითგანადგურების ინსტინქტი აქვს ჩართული. ამას წინათ, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებს ვუსმენდი, რომლებიც ამ ხელისუფლებას სამი წელია, გულშემატკივრობენ და მოკავშირეები არიან. მათ გამოაცხადეს, რომ შიმშილობის აქციას იწყებენ. ამას მოხერხება ხომ უნდა, აღარაფერს ვამბობ კახა კუკავაზე, ირაკლი ალასანიასა და სხვა ოპოზიციურ ლიდერებზე. „პატრიოტთა ალიანსი“ ხელისუფლების წინააღმდეგ შიმშილობას რომ გამოაცხადებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამათი საქმე დამთავრებულია და ციხეში გააგრძელებენ მოღვაწეობას, მაგრამ გადასაწყვეტი ორი საკითხია: ერთია ტაქტიკური, რომ ყველაფერი ეს მშვიდობიანად და ძალადობის გარეშე მოხდეს. მეორე კი ისაა, რომ ხელისუფლების ცვლილების შედეგად, ყოველთვის უარესს ვიღებდით და იმის გამო, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს, ქვეყანას სათავეში ვიღაც ისეთი არ უნდა ჩაუდგეს, რომელიც საბოლოოდ გაანადგურებს.

ამიტომ ახლა სტრატეგიული ამოცანაა, შეიქმნას მესამე ცენტრი, რომელიც გაემიჯნება როგორც „ნაცმოძრაობას“, ისე — „ოცნებას“ და რომელიც შეძლებს, ქვეყნის მართვა ახალი მიდგომებით გააგრძელოს.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

10 № 44 (308) 11-17 ნოემბერი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სამართალი

უსუფაშვილის სახიფათო განცხადება – რა ხდება „ოცნებაში“

„რუსთავი 2“-ის საქმეზე საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ გადაწყვეტილება ტელეკომპანიის ყოფილი მფლობელის, ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ გამოიტანა. ურთმელიძის გადაწყვეტილებას ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა უკანონოდ მიიჩნევს და ეზოში საპროტესტო აქციებს მართავს. ადვოკატი ლევან ალაფიშვილი „ფეისბუქში“ წერს: „ნებისმიერ შემთხვევაში, პროცესები, როგორი რთულიც უნდა იყოს, კანონის ფარგლებში უნდა წარიმართოს! კონსტიტუცია, ჩვენი ძირითადი კანონი, ამბობს, რომ სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამდენად, ვიდრე არ შეცვლილა სასამართლოს გადაწყვეტილება თუ განჩინება, იგი უნდა შესრულდეს“. „ქართული სიტყვა“ ადვოკატ ლევან ალაფიშვილს ესაუბრა.

ლევან ალაფიშვილი: „ორი პოლიტიკური ძალის ქიშპობა ყველაზე მეტად ხალხს დააზიანებს“

– ბატონო ლევან, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ მოვლენებს მკაცრად აკრიტიკებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ისიც ითქვა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით, რომლითაც „რუსთავი 2“ ყოფილი მეწილის, ქიბარ ხალვაშის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქვეყანა სამართლებრივი სივრციდან გავიდა...

– „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული, მაგრამ იურიდიულად სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პროცესი მიმდინარეობს. დაინტერესებულ მხარეთა და პოლიტიკოსთა გადაჭარბებული და „მონდომებული“ სიმართლე პოლიტიკურ ქიშპობაში გადავიდა და კარგი იყო, პროცესი ამ ასპარეზზე არ დარჩენილიყო.

რაც შეეხება სასამართლოს შინაარსობლივ გადაწყვეტილებას, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ჯერჯერობით არ ყოფილა და ვერც კომენტარს გავაკეთებ. პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულებაში წერტილი არაა და გასაჩივრების შემდეგ, სასამართლო განხილვების გრძელი გზაა გასავლელი, ანუ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ წინ არის. სასამართლო პროცესებს მოჭარბებული ინტერპრეტაციები და რეალური ინფორმაციების სიმწირე, არასრულყოფილი ინფორმაციების გავრცელება ემატება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ორივე მხარეს, ბევრმა პოლიტიკოსმა სიმართლე იცის, რაც არც სასამართლო დარბაზშია მიწოდებული და არც საზოგადოებისთვისაა ცნობილი. ყველაფერი ეს საზოგადოების ემოციური ფონის ამაღლებას იწვევს, რიგით მოქალაქეებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებათ, რომ რაღაც ხელოვნული თამაშები და კონკრეტული პოლიტიკური ინტერესები იკვეთება.

ამ ქიშპობაში გამოკვეთილი ორი პოლიტიკური ძალა – ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლება ხალხის დიდი ნაწილისგან მხარდაჭერით ვერ სარგებლობს, ამიტომ არ მგონია, რომ ეს ქიშპობა სახიფათო ტენდენციად ჩამოყალიბდეს.

– სიმშვიდის საფუძველს მხოლოდ ეს გაძლევთ?

– დამშვიდების საშუალებას ისიც მაძლევს, რომ საზოგადოებრივ სტაბილურობას, სახელმწიფოებრიობას საფრთხე არ დაემუქრება, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ორი პოლიტიკური ძალის ქიშპობა ყველაზე მეტად ხალხს დააზიანებს. ამგვარ დავებში სახელმწიფო ჩართულია თუ არა, მეტი პასუხისგებლობა მაინც მმართველ პოლიტიკურ ძალას ეკისრება და ყველგან ასეა – ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, ანუ ქვეყნის შიგნით, როცა ინფორმაცია არ მოგვეწოდება და თუნდაც რეალობაზე დამატებითი განმარტებები არ კეთდება, ამის გამო, ყველაზე ძლიერის მიმართ ეჭვი ჩნდება და ეს ბუნებრივია. აღარაფერს ვამბობ ქვეყნის გარეთ გატანილ ამბავზე, სადაც არც ჩვენი რეალობა იციან, არც – ჩვენი კანონები და, შესაბამისად, იმ ინფორმაციას ხედავენ, რაც საჯაროდაა გასული. საბოლოო ჯამში, ყველაფერ ამას გამოცდას ვუწოდებ, რომელიც მთელმა საზოგადოებამ უნდა ჩააბაროს.

– ამ გამოცდას როგორ ჩავაბარებთ?

– როგორ და, – უნდა დავრჩეთ კანონის ფარგლებში და რადაც უნდა დაგვიჯდეს, 2016 წლის არჩევნებზე ღირსეულად მივიდეთ. გავიაროთ ევროასოცირების გზა და ვიზალიბერალიზაციამდეც მივაღწიოთ. სწორედ ესაა არჩევნებით ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა. სასამართლოს ინსტანციები სასამართლოს შეცდომების გამოსასწორებლად თუ გამოსარიცხად არსებობს. ამიტომ, საჭიროა სასამართლოს განრიდება პოლიტიკური თუ სხვა გავლენებისგან, ან მცდელობისგან. სასამართლო ხელისუფლების ის შტოა, რომელიც პოლიტიკური არაა და ამავე დროს დანარჩენი ორი სახელისუფლებო პოლიტიკური შტოს (წარმომადგენლობით-საკანონმდებლო და აღმასრულებელი) მაკონტროლებელ-გამაწონასწორებელი, ძალაუფლებით აღჭურვილი ინსტიტუტებისგან მოქალაქეთა დაცვის ყველაზე მძლავრი და ნეიტრალური კონსტიტუციური გარანტორი, ინსტრუმენტია.

– მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილება, რომლითაც „რუსთავი 2“-ში დროებითი მმართველები დაინიშნენ, ცნობილი ღამით გახდა. დამეთანხმებით, არავის დავიწყებია „ნაციონალური“ ხელისუფლების ე.წ. ღამის ნოტარიუსები, ქონების გადაფორმებები...

– ამ საკითხზე ორი ფრაზაა განსახილველი: „სასამართლომ ღამე მიიღო გადაწყვეტილება“ და „სასამართლომ მალულად მიიღო გადაწყვეტილება“. ორივე ცალ-ცალკე განვიხილოთ.

პირველად სიტყვა „ღამე“ აშშ ელჩის განცხადებაში გაისმა, „მალული“ კი, პარლამენტის თავმჯდომარის, ქვეყნის მეორე პირის განცხადებაში გაჟღერდა. ეს ორი ფრაზა დაინტერესებულმა პირებმა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ, საზოგადოებას კონტექსტიდან ამოგლეჯილად მიაწოდეს, არადა, აშშ ელჩმა აქცენტი არა სასამართლოს მიერ ღამე მიღებულ გადაწყვეტილებაზე გააკეთა, არამედ, ბოლო ღამის განმავლობაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე მსჯელობდა. ის არ ამბობს, რომ ვინმემ რამე ღამის საათებში გადაწყვიტა. ლაპარაკია ხუთი საათის შემდგომ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელთა შესახებაც ინფორმაცია საელჩოებს ღამის საათებში ვერ მიეწოდათ.

ისე, მოსამართლეს საქმის განხილვის ოცდაოთხსაათიანი ვადა ჰქონდა, გადაწყვეტილებაც სამუშაო საათებში მიიღო და ამ ნაწილში არაფერი დაურღვევია.

– პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება განავრცეთ...

– პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებაში, როგორც აღვნიშნე, გამოყენებული იყო სიტყვა – „მალული“. შესაძლოა მან, როგორც პოლიტიკოსმა კარგად იცის, თუ როგორ მიიქციოს საზოგადოების ყურადღება თავის მიერ გაკეთებულ აქცენტებზე, თუმცა ქვეყნის მეორე პირმა, პირადად ჩემთვის, ძალზე სამწუხარო და სახიფათო რამ განაცხადა... პირდაპირ თუ ირიბად აღიარა, რომ სასამართლოებთან მიმართებაში, მათ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით, რაღაც კარგად ვერ არის და გააგრძელა, რომ „მალული გადაწყვეტილება“ რეალურად, სახელმწიფოებრიობისთვისაა ცუდი, რადგან ეს არ არის მხოლოდ ერთი საქმე, ანუ მხოლოდ სიტყვის თავისუფლების დაცვა, ეს არის ქვეყნის, სახელწიფოსთვის დამაზიანებელი პროცესი და ამ მიმართულებით ნებისმიერი მცდელობა ზიანს აყენებს მთლიანად საზოგადოებას და არა – რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს თუ მხარეს.

– გასაკვირია, რომ ასეთი ტიპის განცხადებას საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ ქვეყნის მეორე პირი აკეთებს.

– პარლამენტის თავმჯდომარემ დასკვნებისთვის არეალი დაგვიტოვა,

– ეგებ, „ოცნების“ გუნდში ადგილი დაპირისპირებას აქვს?

– პარლამენტის თავმჯდომარე ხომ ჩვენზე მეტად ინფორმირებულია. შესაძლოა, მისი განცხადების ლოგიკა და არსი ისაა, რომ ხელისუფლების რაღაც ჯგუფმა, ან მასში შემავალმა სუბიექტებმა სასამართლოსთან დაკავშირებით რაღაც სცადა. უფრო მეტიც, კოალიციაში შემავალმა „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა და საპარლამენტო წარმომადგენლებმაც გააკეთეს განცხადებები, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ემიჯნებიან. ამით „რუსთავი 2“-ის საქმე წმინდა სამართლებრივი დავის ჩარჩოებიდან გავიდა და პოლიტიკური დავისა და ქიშპობის ასპარეზად გადაიქცა, რაც შეიძლება, კოალიციის შიგნით შეუთანხმებლობასთან იყოს დაკავშირებული. ესეც სახიფათო და დასაგმობია, რადგან პოლიტიკურად ნეიტრალურ ინსტიტუციასა და დემოკრატიის ხარისხს ზიანს აყენებს, რაც ევროინტეგრაციის გზაზე შეიძლება, შემაფერხებელიც აღმოჩნდეს.

– ხშირად ამბობენ, რომ საქართველოს კონსტიტუციას აუპატიურებენ. „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში, ქვეყნის უპირველესი კანონი რამდენადაა დაცული?

– უხერხულია, როცა ვინმე ასეთ განცხადებას აკეთებს. მართალია, კონსტიტუციის უხეშად დარღვევის შემთხვევები გვქონია, მაგრამ პოლიტიკოსები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ სასამართლო გადაწყვეტილებასთან, რომელიც გასაჩივრებას ექვემდებარება და არ შეიძლება, მას კანონსაწინააღმდეგო უწოდო, თუ მხარე არ ხარ. ხელისუფლებამ კანონდარღვევაზე უნდა გააკეთოს აქცენტი, მაგრამ თუკი ვინმე ფიქრობს, რომ სასამართლომ კონსტიტუცია გააუპატიურა, არასწორია. საკონსტიტუციო სასამართლომ სულ სხვა ნორმაზე იმსჯელა, განჩინება კი, სხვა ნორმის საფუძველზე მიიღო. საკონსტიტუციო სასამართლოს კანონი არ დაურღვევია და ყველას მოვუწოდებ, მსგავსი ტერმინებისგან თავი შეიკავოს, როგორი რთული ემოციური ფონი და პოლიტიკური ინტერესიც უნდა ჰქონდეს. რეალურად, როცა მოქალაქეს საჯარო პირისგან მსგავსი რამ ესმის, ფიქრობს, თუ ისინი კონსტიტუციას არღვევენ, მე რატომ უნდა დავჯარიმდე საგზაო წესების დარღვევისთვის? მოდი, მეც დავარღვევო. სახელმწიფოს ყველა მოქალაქე უნდა გაუფრთხილდეს.

– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესებში ერევა?

– ამ პროცესით თუ ვინმე უნდა დაზარალდეს, პირველ რიგში, ხელისუფლებაა. ვამბობ პროცესს და არა – გადაწყვეტილებას, რადგან ის ჯერ არ არსებობს. არის თუ არა სასამართლო პროცესზე ზეგავლენა, ვერ გეტყვით, ამისთვის საკმარისი ინფორმაცია უნდა მქონდეს. ამის შესახებ მეტი არაფერი ვიცი, გარდა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადებიდან გაჩენილი ეჭვისა. დავრჩები რიგით იურისტად და მოქალაქედ, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა სასამართლო გადაწყვეტილება არაა მიღებული და კანონიერ ძალაში შესული. როგორიც უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გასასაჩივრებელია, კანონიერ ძალაში შესვლის მერე, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საკუთრების უფლების, სამეწარმეო სასამართლო პრაქტიკის, რაც ყველაზე მთავარია, სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში. ვიმეორებ, „რუსთავი 2“-ის საქმეზე გადაწყვეტილებამ შეიძლება, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინოს.

ამასობაში, სახელმწიფო საგანგებოდ უნდა მოემზადოს, რომ პროკურატურაში შეტანილი ათი ათასობით საქმე სასამართლოსკენ გადაამისამართოს. თუ ხელისუფლება ამისთვის მზად არ იქნება, შესაძლოა, სახელისუფლო კოლაფსი მივიღოთ.

– სახელისუფლო კოლაფსი, კონკრეტულად, რა შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ?

– როცა სასამართლო ფიზიკურად ვერ აუვა ათი ათასობით მოსარჩელეს და მართლმსაჯულება შეიძლება, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ეს თავისთავად

გაგრძელება მე- 11 გვ.

„პარლამენტის თავმჯდომარე ხომ ჩვენზე მეტად ინფორმირებულია. შესაძლოა მისი განცხადების ლოგიკა და არსი ისაა, რომ ხელისუფლების რაღაც ჯგუფმა, ან მასში შემავალმა სუბიექტებმა სასამართლოსთან დაკავშირებით რაღაც სცადა. უფრო მეტიც, კოალიციაში შემავალმა „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა და საპარლამენტო წარმომადგენლებმაც გააკეთეს განცხადებები, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ემიჯნებიან. ამით „რუსთავი 2“-ის საქმე წმინდა სამართლებრივი დავის ჩარჩოებიდან გავიდა და პოლიტიკური დავისა და ქიშპობის ასპარეზად გადაიქცა, რაც შეიძლება, კოალიციის შიგნით შეუთანხმებლობასთან იყოს დაკავშირებული“.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 44 (308)

11

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სამართალი

მე-10 გვერდიდან

გამოძიებისთვის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და განაჩენების გამოცხადებისთვის ხელის შეშლას, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების მიუღებლობას ნიშნავს. ასე რომ, წინ დიდი პროცედურებია.

— სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში, სასამართლოს წესით, დროებითი მმართველები დაინიშნენ. დროებითი მმართველობის ფორმას „სადავო ინსტიტუტი“ უწოდეს. თქვენ რას ფიქრობთ? ინსტიტუციურად, ასეთი მმართველობა ცნობილია თუ არა?

— სამართლებრივად, საკითხი არასწორადაა დაყენებული, მნიშვნელობა არ აქვს, მანამდე იყო თუ არა ცნობილი დროებითი მმართველობის ინსტიტუტი, რადგან კანონმა სასამართლოს საშუალება დაუტოვა, რომ თვითონ შეარჩიოს კანონისგან განსხვავებული, მისი აზრით, ოპტიმალური ღონისძიებები. „ინსტიტუტი არ არსებობს და ეს კანონსაწინააღმდეგეაო“ — არაა სწორი დასკვნა. ამ კუთხით სასამართლოს საქმეში ნუ ჩავერევით, გარდა ამისა, სასამართლოს, მოსამართლის დისკრეცია არსებობს. შესაძლოა, რაღაცაში შეცდა, სავარაუდოდ, ამ საკითხის მეტი დასაბუთება იყო საჭირო.

რაც შეეხება პროცესს, ამავე სასამართლოს აგვისტოდან გამოყენებული ჰქონდა უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლითაც ერთი კონტრაქტიც ვერ დაიდებოდა ვერც ერთ პარტნიორთან, რაც დააზიანებდა კომპანიას და მეწილეებს. ვფიქრობ, აქ დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება არ იყო საჭირო, რადგან საკმაოდ მძიმე უზრუნველყოფა იყო გამოყენებული. შესაძლოა, 6-7 თვის შემდეგ, „რუსთავი 2“-ს გაკოტრების პრობლემა დაუდგეს. ასეთ სიტუაციაში მდგომარეობის დამძიმება საჭირო და გონივრული არ იყო, თუმცა, არც ესაა კანონთან შეუსაბამო.

— სასამართლო საქმის კურსში არ იყო, დროებით მმართველებად დანიშნული პიროვნებები ვინ არიან ან დაიცავენ თუ არა ტელეკომპანიის კრიტიკულ ფორმატს, რითიც „რუსთავი 2“ ქართულ ტელესივრცეშია ცნობილი...

— სასამართლომ, მართლაც, არ იცოდა დროებითი მმართველების შესახებ, რამდენად სანდონი იყვნენ და მიუკერძოებულნი. თუკი სასამართლოზე წილებზე დაიდო განაჩენი, რა შუაშია საინფორმაციო პოლიტიკა, სამაუწყებლო ბადე?! სწორედ ამაზე აკეთებენ აქცენტს უცხოელები, რომ სასამართლო რეალურად სარედაქციო პოლიტიკაშიც შეიჭრა.

— საზოგადოებას ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის განცხადება საკმაოდ უცნაური ეჩვენა: „პირველი დღიდანვე განვაცხადე, რომ ეს არ არის ჩემი ბრძოლა სამართლიანობის აღდგენისათვის. ამ შემთხვევაში, მინდა, სამართლიანობა აღდგეს ყველა ადამიანისათვის, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს დაზარალდა. ეს ეხება არა მარტო „რუსთავი 2“-ს, არამედ, ყველა სხვა პირად საკუთრებას, რომელიც დაიკარგა და ჩამოართვეს... ჩვენი ბრძოლის პირველი დღიდან განვაცხადეთ, რომ ჩვენი კომპანია იქნება პარიტეტულ საწყისებზე. ეს ჩემი კეთილი ნებაა. ეს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე გავითვალისწინე, რომ ხალხს უნდოდა სამართლიანი ყოფილიყო. თუ სასამართლო დაადგენს, რომ „რუსთავი 2“ მე მეკუთვნის, მაშინ დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს ვუთმობ ჩემი წილის ნახევარს“.

— ქიბარ ხალვაშის განცხადება, მართლაც, უცნაურია — ტელეკომპანიის დროებით მმართველად პიროვნება დაინიშნა, მეორე დღეს გამოდიხარ და ამბობ, რომ მას წილის ნახევარს აძლევ. ამით სასამართლოს საფუძველს თავად მოსარჩელე ქიბარ ხალვაში აცლის?! სასამართლო ხომ აცხადებს, რომ მხარეები დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ და ქონებრივი ინტერესი არ ჰქონდეთ?!

— თუ ამ სასამართლო პროცესმა ამდენი კითხვა დატოვა, შესაძლოა, რომ „რუსთავი 2“ მომავალი რევოლუციის „დედა“ გახდეს?

— არა, 90-იანებს არ დავუბრუნდებით, არც სამოქალაქო დაპირისპირებას მოვაწყობთ. პოლიტიკოსთა ცვლილებების მიუხედავად, საზოგადოებრივი პროცესების წარმმართველი ამომრჩეველი უნდა იყოს, რომელიც სახელმწიფო პრიორიტეტებს დაანახავს, მხოლოდ კანონის ფარგლებში საპროტესტო გამოსვლებით უნდა მივიტანოთ სახელმწიფოებრიობა 2016 წლამდე. არ მაქვს მოლოდინი, რომ ჩვენს სახელმწიფოებრიობას საფრთხე დაემუქრება, თუმცა თვალნათელია, რომ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და კულტურის დეფიციტია.

— ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა საპროტესტო აქციებს აწყობს და აცხადებს, რომ დროებით მმართველობას არ დაემორჩილება... ეზოში კარავიც გაშალეს.

— ყოველგვარი საპროტესტო გამოსვლა, რაც კანონს დაემორჩილება, სახელმწიფოსთვის მისაღებია. კანონის დარღვევაზე კი, რეაგირება უნდა მოახდინოს, რადგან სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია კანონის დაცვაა.

— ბატონო ლევან, დედა ოჯახის წევრია?

— ძალიან სამწუხაროა, რომ დედის თემა პოლიტიკოსებმა საქილიკოდ აქციეს. კონკრეტულად კი, მოსამართლე თამაზ ურთმელიძესთან მიმართებაში, რომელსაც მძიმე ოჯახური ტრაგედია აქვს გადატანილი. იურიდიულად, კანონები — სამოქალაქო, საპროცესო და სისხლის სამართლის კოდექსები, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეთავსებულობისა და კორუფციის შესახებ კანონები განასხვავებს ფიზიკურ დედას ოჯახის წევრი დედისგან.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— კანონი ამბობს, რომ ოჯახი ადამიანთა ის ერთობაა, რომელიც ფიზიკურად ერთად ცხოვრობს, დედა, რომელიც შვილის ოჯახის მიღმა ცხოვრობს, ამ ოჯახის წევრად არ მოიაზრება. მოსამართლე ურთმელიძემ დედა კი არ უარყო, არამედ, აღნიშნა, რომ დედა ცალკე ცხოვრობს, ურთმელიძე და მისი ოჯახი დედისაგან კანონმა დააცალკევა.

პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი, პრეზიდენტი ავსებენ ქონებრივ დეკლარაციას, სადაც მიუთითებენ, რომ ოჯახის წევრები არიან მეუღლე და შვილები, მშობლები ცალკე ცხოვრობენ და ამით დედაზე უარს ამბობენ? მოსამართლეს განსხვავებული არაფერი უთქვამს. ვინც ასეთ „სენსაციებს“ ავრცელებს, ეთიკაც გაითვალისწინოს. გასაგებია, რომ მხარეა, მაგრამ იმაზეც ხომ უნდა დავფიქრდეთ, რომ სასამართლო და მოსამართლე მარტო გვარ-სახელი არაა, სასამართლო ინსტიტუციაა, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. სასამართლოს შეცდომებიც აქვს, მაგრამ გასაჩივრებით ამის გამოსწორებაც შეიძლება. სამართლებრივ სახელმწიფოს საქმიანი პასუხისმგებლობის და კულტურის ადამიანები ააშენებენ.

— რა შეცდომებს გულისხმობთ?

— დროებითი მმართველობის შემოღებით, გასაჩივრების უფლებები შეიზღუდა, ადვოკატებზე გაცემული მინდობილობებიც გაუქმდა.

— „ოცნების“ ხელისუფლება მოსახლეობას სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდა. სამწუხაროდ, დანაპირების შესრულება არ მოხდა. ამის უამრავ მიზეზს ასახელებენ...

— ცუდია, რომ ხელისუფლებისგან დღემდე ვერ ვიხილეთ ხედვა, თუ რას უკავშირებს სამართლიანობის აღდგენას. პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბოლო სამთავრობო სხდომაზე, ქიბარ ხალვაშთან დაკავშირებით, მეტად სამწუხარო რამ აღიარა. მან თქვა, ამ კაცმა სამი წლის განმავლობაში ჩვენს მთავრობასთან სამართლიანობა ვერ იპოვაო.

— ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივი მოკვდავი რა სამართალს იპოვის?

— ქიბარ ხალვაში მთავრობამ პოლიტდევნილად აღიარა, იგი „ოცნების“ მთავრობის მხარდამჭერია, ქიბარის და კოალიციის წევრი და პარლამენტარია და ასეთმა კაცმა, თურმე, ქვეყანაში, სამი წლის განმავლობაში, სამართალი ვერ იპოვა.

— საერთაშორისო საზოგადოება, პარტნიორი ქვეყნების ელჩები, მაღალჩინოსნები მკაცრად აკრიტიკებენ ჩვენს სასამართლო ხელისუფლებას.

— ჩემი სამშობლო ჩემზე მეტად ვის უყვარს? ნამდვილად ძნელი მოსასმენია ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის უცხოელების კრიტიკა, მაგრამ ისინი მსოფლიოში განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები არიან. მოდით, ამ კრიტიკას შევხედოთ, როგორც მეგობრულ რჩევას. ჩვენ ხომ ევროასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ, სადაც წერია, რომ საკუთრების უფლება დაცული უნდა იყოს. ამის შემდეგ, თუკი ისეთ განაჩენს მივიღებთ, რაც საკუთრების უფლებას ეჭვქვეშ დააყენებს, უფრო მეტ კრიტიკას დავიმსახურებთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისგან.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„მართალია, კონსტიტუციის უხეშად დარღვევის შემთხვევები გვქონია, მაგრამ პოლიტიკოსები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ სასამართლო გადაწყვეტილებასთან, რომელიც გასაჩივრებას ექვემდებარება და არ შეიძლება, მას კანონსაწინააღმდეგო უწოდო, თუ მხარე არ ხარ. ხელისუფლებამ კანონდარღვევაზე უნდა გააკეთოს აქცენტი, მაგრამ თუკი ვინმე ფიქრობს, რომ სასამართლომ კონსტიტუცია გააუპატიურა, არასწორია. საკონსტუტიციო სასამართლომ სულ სხვა ნორმაზე იმსჯელა, განჩინება კი, სხვა ნორმის საფუძველზე მიიღო. საკონსტიტუციო სასამართლოს კანონი არ დაურღვევია და ყველას მოვუწოდებ, მსგავსი ტერმინებისგან თავი შეიკავოს, როგორი რთული ემოციური ფონი და პოლიტიკური ინტერესიც უნდა ჰქონდეს. რეალურად, როცა მოქალაქეს საჯარო პირისგან მსგავსი რამ ესმის, ფიქრობს, თუ ისინი კონსტიტუციას არღვევენ, მე რატომ უნდა დავჯარიმდე საგზაო წესების დარღვევისთვის? მოდი, მეც დავარღვევო. სახელმწიფოს ყველა მოქალაქე უნდა გაუფრთხილდეს“.

„სამწუხაროა, რომ დედის თემა პოლიტიკოსებმა საქილიკოდ აქციეს. კონკრეტულად კი, მოსამართლე თამაზ ურთმელიძესთან მიმართებაში, რომელსაც მძიმე ოჯახური ტრაგედია აქვს გადატანილი. იურიდიულად, კანონები — სამოქალაქო, საპროცესო და სისხლის სამართლის კოდექსები, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეთავსებულობისა და კორუფციის შესახებ კანონები განასხვავებს ფიზიკურ დედას ოჯახის წევრი დედისგან... კანონი ამბობს, რომ ოჯახი ადამიანთა ის ერთობაა, რომელიც ფიზიკურად ერთად ცხოვრობს. დედა, რომელიც შვილის ოჯახის მიღმა ცხოვრობს, ამ ოჯახის წევრად არ მოიაზრება. მოსამართლე ურთმელიძემ დედა კი არ უარყო, არამედ, აღნიშნა, რომ დედა ცალკე ცხოვრობს, ურთმელიძე და მისი ოჯახი დედისაგან კანონმა დააცალკევა... პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი, პრეზიდენტი ავსებენ ქონებრივ დეკლარაციას, სადაც მიუთითებენ, რომ ოჯახის წევრები არიან მეუღლე და შვილები, მშობლები ცალკე ცხოვრობენ და ამით დედაზე უარს ამბობენ? მოსამართლეს განსხვავებული არაფერი უთქვამს. ვინც ასეთ „სენსაციებს“ ავრცელებს, ეთიკაც გაითვალისწინოს“.

12 № 44 (308) 11-17 ნოემბერი 2015

ქართული ლტოლვა

ᲚᲢᲝᲚᲕᲐᲢᲝᲠᲘ. ᲒᲔᲚᲓᲘᲜᲔᲡᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

როგორ იგეგმებოდა „ნაცების“ ციხეებში პოლიტიკური მკვლელობები

სკანდალური ფოტო, რომელსაც პროკურატურა სტრასბურგის სასამართლოს უმალავს

„საკანში რომ დავბრუნდი, ვხედავ, ზაზა აზარიაშვილს არაადექვატური სახე აქვს... ოგანეზოვიც ნერვიულობს. ზაზამ მოასწრო, ეთქვა, ცუდ რაღაცას გიპირებენო და კამერიდან ცემა-ტყეპით გაიყვანეს – როგორც ჩანს, ჩვენი საუბარი მოისმინეს. არადა, ვხედავ, რომ ფეხებიდან სისხლი სდის. როგორც აღმოჩნდა, როცა საკნიდან გამიყვანეს, ოგანეზოვი და ლაზარიაშვილიც გაუყვანიათ. როგორც მერე ზაზამ მითხრა, აიყვანეს მუხაძის კაბინეტში, სადაც სამი უცნობი ადამიანი დახვდათ. მუხაძემ აიღო „შტირი“, მისცა აზარიაშვილს და უთხრა, მაისაია უნდა მოკლაო“.

სადაც სამი უცნობი ადამიანი დახვდათ. მუხაძემ აიღო „შტირი“, მისცა აზარიაშვილს და უთხრა, მაისაია უნდა მოკლაო“.

ერთი კვირის წინ, ექსპერტ ვახტანგ მაისაიასთან ინტერვიუს ჩასაწერად მივედი. მოულოდნელად, ბატონ ვახტანგს ციხიდან დაურეკეს....

– ბარო, ვახო, როგორ ხარ?

– კარგად.

– ზაზა ვარ

– ააა...ზაზა, როგორ ხარ?

– ბიჭო, სალაპარაკო არ მაქვს და მოკლედ გეტყვი.: ვიღაცა შემოვიდა ჩემთან, გამომძიებელი....

– სამხარაძე ხომ არ შემოვიდა, შენს საქმეზე?

– არა... გუშინ ფილმი გავიდა „მეორე არხზე“, იმის გამო იყვნენ. აქაური გამომძიებელი იყო, ჩემი აზრით... შენი სახელი მიხსენეს...

როცა ვიკითხე, ვინ იყო ზაზა, ბატონმა ვახტანგმა ამიხსნა, რომ ზაზა აზარიაშვილი ის ადამიანია, რომელსაც თავის დროზე, ციხეში ყოფნისას, მისი მოკვლა დაავალეს. დღეს კი, სტრასბურგის სასამართლოში ერთადერთი მოწმეა, რომელმაც ჩვენება უკვე მისცა და ეს ფაქტი დაადასტურა. როგორც მოგეხსენებათ, ვახტანგ მაისაიამ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი დიდი ხანია, შეიტანა და მალე განაჩენს ელოდება.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲖᲐᲖᲐ ᲐᲖᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეს არის ადამიანი, რომელსაც დიდი კრიმინალური წარსული აქვს – სასჯელს, სხვადასხვა დანაშაულისთვის, ოთხგზის იხდიდა. დღეს კი, ისევ ახალი განაჩენის მოლოდინშია. ამჯერად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება – არც მეტი, არც ნაკლები – მაცივრის ქურდობისთვის.

ვახტანგ მაისაია: „– ციხიდან გამოსვლის მერე, ზაზა ჯერ მცხეთის პოლიციამ დააკავა და მაშინაც მაცივრის ქურდობას აბრალებდნენ. წყნეთში, თავზე მედია დავაყენეთ და უკან დაიხიეს. გავიდა ცოტა ხანი და ისევ მაცივრის ქურდობისთვის დაკავეს. რადგან ზაზა აზარიაშვილის საქმე ჩემს საქმესაც უკავშირდება, მეშინია, მეც „მაცივრების ბიზნესში“ თანამონაწილეობა არ დამაბრალონ და ზაზას გვერდზე არ აღმოვჩნდე. ეს არც გამიკვირდება“.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲡᲚ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ზაზა აზარიაშვილი ვახტანგ მაისაიას საკანში, გლდანის ციხეში, 2010 წელს, ანუ მაშინ შეასახლეს, როცა მაისაიამ და მელორ ვაჩნაძემ შიმშილობა დაიწყეს. როგორც მაისაიას მიაჩნია, ეს ციხეში პირველი პოლიტიკური აქცია იყო, რომელმაც რეჟიმი სერიოზულად შეარყია – მაშინ სააკაშვილის ხელისუფლება იძულებული გახდა, მოშიმშილე პოლიტპატიმრების ყველა მოთხოვნა შეესრულებინა: ციხეში დაიწყეს პრესის შეტანა, პატიმრების მოთხოვნითვე, საპყრობილეში საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, წითელი ჯვრის წარმომადგენლები შეუშვეს... მთავარი მოთხოვნა კი პატიმრების წამების შეწყვეტა იყო. შიმშილობის შედეგად, როგორც მაისაია ამბობს, გლდანის ციხეში წამება მცირე ხნით შეწყდა.

შიმშილობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, ვახტანგ მაისაიას წინააღმდეგ განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა – აიძულებდნენ შიმშილობა შეეწყვიტა.

„– ისე მცემენ, რომ ყველას მკვდარი ვეგონე, თქვეს, „ტრუპიაო“ და ზეწარი გადამაფარეს. ვერ ვხვდები, როგორ გადავრჩი. მე სამაგალითოდ დამსაჯეს, მელორ ვაჩნაძეს კი, საკანში ცეცხლი გაუჩინეს და ძლივს გადარჩა“, – იხსენებს ექსპერტი.

ამ ამბავს დიდი რეზონანსი მოჰყვა – საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოძიება მოითხოვეს, დიმიტრი ლორთქიფანიძემ კი, რომელმაც ნაცემი მაისაია მოინახულა, პარლამენტში ციხეში დაწყებული შიმშილობის დეტალებზე ისაუბრა და პატიმართა მოთხოვნებიც გააჟღერა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლდანის ციხეში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, წამება შეწყდა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲔᲠᲘᲐ „ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ“ ᲐᲖᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

როგორც მაისაია ამბობს, მიხეილ სააკაშვილმა მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. კამერაში შეუსახლეს სამი პატიმარი, მათ შორის ზაზა აზარიაშვილი, რომელიც იმ დროისთვის სასჯელს, რეციდივისტობის ბრალდებით, მეოთხედ იხდიდა. მეორე „შესახლებული“ ლევან ოგანეზოვი გახლდათ, რომელიც როგორც მოგვიანებით გაირკვა, მკვლელობის თანაორგანიზატორი იყო და საქართველოდან მას შემდეგ გაიქცა, რაც აზარიაშვილმა ხელი დაადო.

ვახტანგ მაისაია: „– *მოგვიანებით გავიგე, ჩემს ლიკვიდაციასაც ისე აპირებდნენ, როგორც მამუკა ზერეკიძე მოკლეს. ოგანეზოვი ზერეკიძის გვერდითაც ფიქსირდება – საკანში, სადაც ზერეკიძე გარდაიცვალა, ერთი თვით ადრე შეიყვანეს, ანუ ეს ადამიანი ემსახურებოდა ციხეებში პოლიტიკური მკვლელობების განხორციელებას“.*

ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ

როგორც მაისაია იხსენებს, ციხის სამედიცინო პერსონალი ყურადღებას არც ცემის მერე აქცევდა და არც – შიმშილობისას. ერთადერთი, ვინც მასთან ცემის მეორე დღეს შესულა და უთქვამს, საკანში ვიდეოთვალია დამონტაჟებული და პროვოკაციებს მოერიდეო, ლადო ბედუკაძე ყოფილა. ამ ინფორმაციამ მაისაია რამდენიმე პროვოკაციას, მართლაც, გადაარჩინა.

ვახტანგ მაისაია: „– *ერთ დღეს, საკანში „კორპუსნოი“ შემოვიდა და ვითომ სამედიცინო გამოკვლევისთვის, სამედიცინო ოთახში გადამიყვანეს. ციხეში დიდი რაოდენობით სპეცსამსახურის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებულნი და ამან გამაკვირვა... ოთხი საათის განმავლობაში, წნევა ხუთჯერ გამიზომეს, ათჯერ – სიცხე, ათასნაირი საჭმელ-სასმელი მომართვეს, „პიცაც“ კი შეუკვეთეს და ყველანაირად ცდილობდნენ, სამედიცინო ოთახში დიდი ხანი გავეჩერებინე“.*

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘ

„საკანში რომ დავბრუნდი, ვხედავ, ზაზა აზარიაშვილს არაადექვატური სახე აქვს, – **იხსენებს მაისაია,** – *ოგანეზოვიც ნერვიულობს. ზაზამ მოასწრო, ეთქვა, ცუდ რაღაცას გიპირებენო და კამერიდან ცემა-ტყეპით გაიყვანეს – როგორც ჩანს, ჩვენი საუბარი მოისმინეს. არადა, ვხედავ, რომ ფეხებიდან სისხლი სდის. როგორც აღმოჩნდა, როცა საკნიდან გამიყვანეს, ოგანეზოვი და ლაზარიაშვილიც გაუყვანიათ. როგორც მერე ზაზამ მითხრა, აიყვანეს მუხაძის კაბინეტში, სადაც სამი უცნობი ადამიანი დახვდათ. მუხაძემ აიღო „შტირი“, მისცა აზარიაშვილს და უთხრა, მაისაია უნდა მოკლაო“.*

მოგვიანებით გაირკვა, მკვლელობა ასე მოხდებოდა: მაისაიას დააძინებდნენ, აზარიაშვილი კი გულში „შტირს“ ჩაარტყავდა, რომელსაც შემდეგ, მიცვალებულს ხელში დააჭერინებდა. ასე გაითამაშებდნენ თვითმკვლელობის სცენას, მაგრამ ზაზას უთქვამს, ამას ვერ გავაკეთებო. იმის გამო, რომ აზარიაშვილმა მაისაიას მოკვლაზე უარი განაცხადა, ჯერ სცემეს, ფრჩხილები დააძრეს და რაც მთავარია, მორგში ჩაიყვანეს და მთელი ღამე მიცვალებულზე ბორკილებით მიბმული ჰყავდათ, თურმე.

„ზაზას რომ ჰკითხოთ, ისევ კარგად ახსოვს იმ მიცვალებულის „ბირკა“ და პირადი ნომერი“, – ამბობს მაისაია.

ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲒᲐᲜᲔᲖᲝᲕᲘ

მას შემდეგ, რაც აზარიაშვილმა მაისაიას მოკვლაზე უარი განაცხადა და საკნიდან საწამებლად გაიყვანეს, ოგანეზოვი, კიდევ ორი დღის განმავლობაში, მასთან, საკანში იმყოფებოდა. სავარაუდოდ, ახლა მას უნდა მოეხდინა მაისაიას ლიკვიდაცია, თუმცა ბოლო წუთს, როგორც ჩანს, რაღაც შეიცვალა და, ადვოკატის ჩარევით, მაისაია სხვა ციხეში გადაიყვანეს.

„როცა ოგანეზოვი ციხიდან გამოვიდა, პროკურორმა სამხარაძემ სახლში მიაკითხა. ოგანეზოვმა, მიუხედავად იმისა, რომ შინ იყო, კარი არ გაუღო. მეორე დღეს კი საზღვარგარეთ გაიქცა. თუ ის მართალი იყო და აზარიაშვილი ცრუობდა, გამოძიებას რატომ დაემალა? – **კითხულობს მაისაია,** – *ამით, პრაქტიკულად, დაადასტურა აზარიაშვილისა და უფროსების თანამშრომლების ჩვენებები, რომლებიც ამბობენ, რომ ჩემი ლიკვიდაცია, მართლაც, იგეგმებოდა.*

მოგვიანებით ერთი ასეთი პროვოკაცია მე-17 დაწესებულებაშიც მომიწყვეს: პატიმარმა ალექსანდრე თედეევმა მისცა ჩვენება, რომ მასთან სოსო თოფურიძე და მეგის ქარდავა შევიდნენ და ჩემთვის ყავაში საწამლავის ჩაყრა დაავალეს“.

ᲤᲝᲢᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

როგორც ჩანს, მაშინაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ამ მხრივ აღსანიშნავია გამომძიებელი ზვიად ლასარიაშვილი, რომელმაც ციხეში მხოლოდ ექსპერტი კი არ შეიყვანა, არამედ, ნაცემ მაისაიას ფოტოები გადაუღო და ყველა ის საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა, რომელიც მის მოვალეობაში შედიოდა. დღემდე ამ ფოტოს თბილისის პროკურატურა ინახავს, გამოძიების საქმე კი დაბლოკილია. როგორც მაისაია ამბობს, გამოძიება მიშასდროინდელმა პროკურატურამ დაიწყო და თბილისის პროკურატურა, სამხარაძის მეთაურობით, რომელიც ამ საქმეს იძიებს, დღემდე ბლოკავს, ფოტოს, რომელიც ნაწამებ ვახტანგ მაისაიას გადაუღეს, დღემდე უშედეგოდ ითხოვს სტრასბურგის სასამართლო – თბილისის პროკურატურა არ უგზავნის.

ვახტანგ მაისაია: „– *მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველმაც მოითხოვა ფოტო, რომელზეც მე ნაწამები ვარ აღბეჭდილი, გადაეცათ, არ გადასცეს. ეს ფოტო მეც მაქვს ნანახი და ჩემს ადვოკატსაც. ამდენი წელია, ამ ფოტოს ამაოდ ვითხოვ. ესეც ჯაშუშობის საქმეს ხომ არ უკავშირდება და საიდუმლო გრიფი ხომ არ ადევს? თქვენ წარმოიდგინეთ, ფოტო სტრასბურგსაც არ გაუგზავნეს“.*

ᲕᲘᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲖᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲣᲛᲔᲑᲐ

ზაზა აზარიაშვილმა სტრასბურგის სასამართლოს ჩვენება უკვე მისცა და დაადასტურა, რომ ვახტანგ მაისაიას ლიკვიდაცია ნამდვილად იგეგმებოდა. სასამართლომ მისი ჩვენება მტკიცებულებად ჩათვალა და საქმეს დაურთო. ბუნებრივად იბადება შეკითხვა: ახალი ხელისუფლების პირობებში, ვის აწყობს აზარიაშვილის გაჩუმება, ან რატომ ამჯობინებს ხელისუფლება ისეთი ადამიანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნას, რომელიც წამების ფაქტის ერთ-ერთი მოწმე და თვითონაც დაზარალებულია? ან რატომ აიძულებენ აზარიაშვილს, უარი თქვას თავის ჩვენებაზე?

ამ თემებზე ვახტანგ მაისაიას თავისი მოსაზრება აქვს: *„– როცა ზაზა დაიჭირეს, ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ის რეციდივისტია და მისი ჩვენება არ შეიძლება, მტკიცებულებად ჩაითვალოს. აი, სათ მიყავთ საქმე, რადგან ზაზა მათთვის არასასურველი მოწმეა. დღეს ის ადამიანები, რომლებიც ჩემი ცემისა და მკვლელობის მცდელობის საქმეში იყვნენ გარეულნი, ისევ თანამდებობებზე არიან და ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს. ამ საქმესთან არაფერი კავშირი აქვს, მაგრამ როცა ნიკა გვარამია დაკითხვაზე მიჰყავთ და დათა შვილი და ორჯონიკიძე კითხავენ, რომლებიც დღეს კონტრდაზვერვაში მუშაობენ, სასაცილო არ არის? ერთი ჯალათი კითხავს მეორეს, არადა, ყველანი ერთი სექტის წარმომადგენლები არიან“.*

P.S. სადაცაა, სტრასბურგის სასამართლო ვახტანგ მაისაიას წამების ფაქტზე განაჩენს გამოაცხადებს. მისი საქმის სამი მთავარი მოწმიდან ერთი, ალექსანდრე თედეევი სასჯელს დღესაც იხდის, მეორე – ზაზა აზარიაშვილი განაჩენს ელოდება და სავარაუდოდ, თავისუფლებას რვა წლით აღუკვეთენ. მესამე კი, გამოძიებას ემალება და მისი მოძებნით თავს არავინ იტკიებს. როგორც ჩანს, სამართალდამცავებისთვის „მთავარი“ იმ ადამიანების კონტროლია, რომლებიც მათ ხელში არიან და ამიტომ, ყველანაირად ცდილობენ, ჩვენება როგორმე შეაცვლევინონ. გამომძიებლის ბოლოდროინდელი ვიზიტი აზარიაშვილთან სწორედ ამ საქმეს უნდა უკავშირდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ვახტანგ მაისაია.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ **1200** ᲚᲐᲠᲘ.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ **1500** ᲚᲐᲠᲘ.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ **1500** ᲚᲐᲠᲘ.

ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ.

2) ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ (ᲬᲘᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲐ: ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘ) ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ (ᲬᲘᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲐ: ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲘ ᲐᲜ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲘᲡ ᲐᲠᲥᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ);

ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ **1500** ᲚᲐᲠᲘ.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 120 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲗᲮᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ);

ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ **1500** ᲚᲐᲠᲘ (ᲬᲚᲘᲣᲠᲘ).

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ.
ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ: ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘ, ᲕᲐᲟᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ,

2 ᲤᲝᲢᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ **(3X4)**, ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. **55**
ᲢᲔᲚ.: 2960104
tbuniver.edu@gmail.com

14 № 44 (308) 11-17 ნოემბერი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

„ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲨᲔᲒᲕᲐᲢᲐᲜᲘᲜᲔᲑᲡ, ᲒᲐᲕᲛᲓᲘᲓᲠᲓᲔᲑᲘᲗᲝ...“

ვინ აშენებდა და ვინ ანგრევს თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს, როგორ შეუთავსებს ერთმანეთს ხელისუფლება „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტსა და საქართველოში „გაზპრომის“ შემოსვლას, ვინ უწოდა ჩვენს ქვეყანას „პატარა სოფელი“ და რა გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვთ საქართველო-უკრაინას? – ამ და სხვა საკითხებზე „ქართული სიტყვა“ „ჰარმონიული გლობალიზაციის და მართვის ინსტიტუტის“ დამფუძნებელ თეიმურაზ ზაქრაძესა და მოძრაობა „ლაზარეს“ დამფუძნებელ ჯონი კვარაცხელიას ესაუბრა.

„ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, „ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲝ, ᲕᲘᲦᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ!“

– ჯონი, საქართველოდან ემიგრაციაში წამსვლელთა და წასვლის მსურველთა რიცხვმა იმატა. ვიცი, რომ რამდენიმე წლის წინ მოსკოვიდან დაბრუნდით. რას ეტყოდით თუნდაც მათ, ვისაც თვალი რუსეთისკენ უჭირავთ?

ჯონი: – მოსკოვში აფხაზეთის ომს გავექეცი – ოჩამჩირედან თავი რუსეთში ამოვყავი. მაშინ სხვა გზა არ მქონდა. ვმუშაობდი, ვცხოვრობდი. ვცდილობდი, ქართველი ახალგაზრდები შემეკრიბა, ორგანიზაცია „ლაზარე“ იქ დაიბადა. ქართველი რუსეთში უფრო მეტად განიცდის გადაგვარებას, ვიდრე – სხვა ქვეყანაში, მესამე თაობის ქართველი უკვე ქართველი ვეღარაა... სამშობლოში დავბრუნდი და ისევ ახალგაზრდებთან ვმუშაობ. აქ სხვა პრობლემებია.

– ჩვენ ვლაპარაკობთ რუსეთზე, რომელიც ქართველი ემიგრანტების ხარჯზე, აქ მყოფი ქართველობის ნაწილს კვებავს...

ჯონი: – რითი?

– ფულით: სტატისტიკური მონაცემებით რუსეთიდან გზავნილების სახით ყველაზე მეტი ფული შემოდის.

ჯონი: – გასაგებია, მაგრამ მხოლოდ იმისთვის არ მუშაობ, რომ ფული იშოვო, არამედ, იმისთვის, რომ ჯერ საქმე აკეთო და მერე ფული იშოვო.

თეიმურაზი: – რატომ მხოლოდ რუსეთი? ფული სხვაგანაც იშოვება, მაგალითად, ევროპაში ქალები უფრო ლამაზები არიან, ვიდრე – რუსეთში, მაგრამ ქართველებს ამ ქალებისაც ეშინიათ და ევროპაში ბიზნესის კეთებისაც, ეს ხუმრობით, რასაკვირველია.

ორი საუკუნე რუსეთის ქვეშ გაერთიანებული ქვეყანა ვიყავით და რა გასაკვირია, რომ რუსეთიდან დიდი ფული მოდის?! ახლა საკითხი ასე დგას: რუსეთს უნდა მოვწყდეთ, ცივილიზებულ მსოფლიოს შევერიოთ და ბევრად უფრო დიდი ფული ვიშოვოთ. მარტივ კითხვას დავსვამ: რა ბრენდი აქვთ რუსულ ოლიგარქებს ისეთი, რაც მსოფლიოში იყიდება?

ჯონი: – რუსულ ორბიტას აუცილებლად უნდა მოვწყდეთ და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ოდესღაც მისი ნაწილი ვიყავით. მართალია, ჩვენი დედიკოები და მამიკოები იმ სამყაროდან მოდიან, იქ თავს კარგად გრძნობდნენ, მაგრამ ის დრო წავიდა, ჩვენ კონკურენტუნარიანი გარემო უნდა შევქმნათ და ამაში ხელს, პირველ რიგში, რუსული ორბიტა გვიშლის. საქართველოს მთავრობა კი ქვეყანაში რუსული კაპიტალის შემოტანას ცდილობს.

თეიმურაზი: – როცა კაპიტალის დაგროვების მიზანი მოგებაა, ის კაპიტალი ამორალური და უზნეოა. თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში მოგება ამოცანაა, მიზანი კი, – მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა.

ჯონი: – საბჭოთა, ანუ რუსი ბიზნესმენი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ მოიტყუოს. არადა, ბიზნესი შემოქმედებითი წვა, დაუღლელი შრომა, კომპანიებში მომუშავე ადამიანებზე ზრუნვა და სხვა უამრავი ფაქტორია, რითიც კონკურენციას უნდა გაუძლოს.

– საქართველოში თანამედროვე ბიზნესის ნიშნები არსებობს?

თეიმურაზი: – რადგან აქ ვსხედვართ და ამაზე ვსაუბრობთ, ე.ი. არსებობს.

– გასაგებია, რუსულ ორბიტას უნდა მოვწყდეთ, რომ ახალი ბიზნესგარემო და თეორიები შევქმნათ, მაგრამ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთშია გადახლართული. მოდით, ქვეყნის საგარეო ვექტორზე გადავიდეთ.

ჯონი: – ოო, ეს მთავრობა საგარეო ვექტორში ძალიან ცუდად არის. აქვს კი საგარეო ვექტორი?

თეიმურაზი: – ბიძინა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში ფეხის შემოდგმისთანავე, პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, საქართველო პატარა სოფელია და დიდი პოლიტიკური მოთამაშე ვერ იქნებაო. ეს ისეთივე კატასტროფულია, როგორც ის ამბავი, ორი საუკუნის განმავლობაში, ქართველებს ქვეყნის მმართველებმა რომ ჩააგონეს, პატარა ერს პატრონი სჭირდებაო. დღემდე ქართველი ერი დაბეჩავებულია, ნებისყოფა დაკარგული აქვს და მიაჩნია, რომ პატრონის გარეშე ვერ იარსებებს.

– დღეს პატრონი გვყავს?

თეიმურაზი: – არა და არც გვჭირდება. ჩვენ სტრატეგიული პარტნიორი გვყავს ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრად სამი თვის დანიშნული გახლდათ, როცა აშშ-ში ვიზიტის დროს, ჯონ ქერიმ და ბარაკ ობამამ უთხრეს, საქართველო რეგიონალური ლიდერი და „აბრეშუმის გზის“ ქვეყანააო. წარმოგიდგენიათ, რა დღეშია ღარიბაშვილი? ვის დაუჯეროს – ადამიანს, რომლის აზრიც მისთვის ძვირფასია თუ სტრატეგიულ პარტნიორს?

– ისე, ახლახან „ახალი აბრეშუმის გზის“ ფორუმი ჩატარდა...

თეიმურაზი: – კი, ჩატარდა და ისმის შეკითხვა: რისთვის? რამდენადაა მთავრობა „აბრეშუმის გზისთვის“ მზად, როცა ვიცეპრემიერმა კალაძემ განაცხადა, რომ დეკემბრამდე ქართულ ენერგეტიკულ ბაზარზე „გაზპრომი“ შემოვა.

– ეკონომიკის ექსპერტებს ვესაუბრე, რომლებმაც თქვეს, რომ „გაზპრომი“ ერთ-ერთი მომწოდებელი იქნება, თუმცა მერე, აზერბაიჯანულმა მხარემაც განაცხადა, რომ შეუძლია, ქართული მხარის მოთხოვნილება სრულად დააკმაყოფილოს...

თეიმურაზი: – ვინც ამბობს, „გაზპრომი“ საქართველოს ენერგეტიკას სჭირდებაო, ვიღაცის დაკვეთას ასრულებს. „გაზპრომი“ კრემლის პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომლითაც ის ამა თუ იმ რეგიონში თავის ყოფნას აფიქსირებს და რითიც დასავლეთს მესიჯს უგზავნის: „მე საქართველოში ვარ!“ საქართველოში შემოსვლით კრემლი, შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე, აღმოსავლეთ ევროპას ბლოკავს და იგივე ითქმის „როსნეფტის“ შემოსვლაზეც.

– დასავლეთი კი მხოლოდ „შეშფოთებით“ პასუხობს...

თეიმურაზი: – რატომ „შეშფოთებით“? რუსეთს დასავლეთისგან ეკონომიკური სანქციები აქვს დაწესებული.

– მაინც, რა საშიშროება ემუქრება საქართველოს „გაზპრომის“ შემოსვლით?

ჯონი: – იმედი მაქვს, ეს არ მოხდება, მაგრამ გვახსოვს, როცა გაზს რუსეთიდან ვიღებდით, დარიალის ხეობაში მილსადენები როგორ ფეთქდებოდა და მოსახლეობა სიცივეში რჩებოდა.

– წინა ხელისუფლებას ხშირად ახსენებენ რუსეთზე მიყიდულ სტრატეგიულ ობიექტებს.

თეიმურაზი: – ნათია, ძალიან კარგი შეკითხვაა... წინა ხელისუფლების დროს საქართველოში, ინვესტორებთან მიმართებაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები მოქმედებდა, რომლის თანახმადაც, ინვესტორი პოლიტიკას ახლოსაც ვერ მიეკარებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უზარმაზარი ჯარიმა დაუწესდებოდა და ბიზნესიც გაუკოტრდებოდა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 150 წევრი ქვეყანა საერთაშორისო სუბიექტია, რომელსაც ასეთ შემთხვევაში წმინდა ეკონომიკური სანქციები აქვს დაწესებული. ჩვენ ამ ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას ხმა მივეცით და ეს უნდა გაგვეკეთებინა. თუკი რომელიმე ქვეყნის ინვესტორი ეკონომიკას პოლიტიკური მიზნით გამოიყენებს, 149 ქვეყანა ისეთ პირობებს წაუყენებს, რომ გაკოტრდება. შესაბამისად, ამას არავინ გააკეთებს, თუმცა დღეს საქართველო ამ ფორმატის გარეთაა.

– ფორმატის გარეთ როგორ აღმოვჩნდით?

თეიმურაზი: – ახალმა ხელისუფლებამ, მოსვლისთანავე, აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ეკონომიკური ურთიერთობების ფორმატი დააწესა, რითიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გვერდის ავლით, რუსეთ-საქართველოს შორის განსაკუთრებული ინდივიდუალური ურთიერთობები დამყარდა.

– ეს რას ნიშნავს?

თეიმურაზი: – მარტივად ვიტყვი: თუ რუსულ ბაზარზე, მაგალითად, ფალსიფიცირებული ღვინო გაიყიდება, ამის გამო ქართული მხარე რუსეთს პრეტენზიას არ წაუყენებს და, ჯარიმის გადახდის ნაცვლად, ჩვენ მწვანილის გაყიდვის უფლება გვეძლევა. სხვათა შორის, მწვანილი ევროპული სტანდარტების მიხედვით არ იქნება შეფუთული. ჩვენი ბრენდების დაცვის ვალდებულება არავის აქვს. ამ განსაკუთრებული ფორმატის გამო, რუსულ კაპიტალს ხელფეხი გაეხსნა და ის ქართულ პოლიტიკაშიც მონაწილეობს. ერთხელ, რუსული მხარით უკმაყოფილო აბაშიძეს წამოსცდა, მაშინ სავაჭრო ორგანიზაციის წესებით ვივაჭრებთო, ანუ რუსეთმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით მოქმედება არ მოინდომა და ახლა მწვანილის შეტანაზე უარს არ ამბობს. ქართული ეკონომიკა მწვანილში გაიყიდა და ახლა, „გაზპრომის“ შემოსვლით, სახელმწიფო იყიდება. რუსეთი ყველაფერ ამით დასავლეთისგან გვრიყავს!

ჯონი: – საქართველო-რუსეთს შორის თამაში რუსული წესებით იწყება, რაც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

თეიმურაზი: – კრემლს გეოპოლიტიკურ დაფაზე ქართული სახელმწიფოს პოტენციალი კარგად ესმის, ამიტომაა, ერთის მხრივ, საქართველოს და, მეორეს მხრივ, უკრაინას ჩაბღაუჭებული. ევროპა-აზიის დამაკავშირებელი გზა ყირიმ-კავკასიაზე გადის. შესაბამისად, რუსეთს სწორედ ეს ტერიტორიები აქვს დაკავებული. მეტიც, რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარა. სოჭის გარეშე აფხაზეთის აღიარებით კი, სოჭის ფლობის უფლებასაც დაკარგავს.

ფსოუდან ყირიმამდე ტერიტორია ოდესღაც ქართული სამფლობელო იყო და მას ჯიქეთი ერქვა. „ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფციის თანახმად, სავაჭრო გზის მთავარი ქვეყნები სწორედ საქართველო და უკრაინა არიან.

– გამოდის, რომ „ოცნება“ „ნაცმოძრაობაზე“ არანაკლებ სახელმწიფოებრივად აზროვნებს, რადგან ეს ფორუმი საქართველოში ჩატარდა...

თეიმურაზი: – ფორუმი, თავისი მნიშვნელობით, ფასეულია მაგრამ ხელისუფლებაა არაფასეულია, რადგან „გაზპრომთან“ ხელშეკრულების დადებით ორმაგ თამაშს თამაშობს.

– ჩვენი ჯარები ავღანეთსა და ერაყშია, ანუ საერთაშორისო მისიებში ვიღებთ მონაწილეობას და ხელისუფლებას მაინც რუსეთის თამაშის თამაშს რატომ აბრალებთ?

თეიმურაზი: – ჩვენ ვაკრიტიკებთ ხელისუფლებას, რომელიც კი არ თამაშობს, არამედ, ათამაშებენ.

– ზოგი თვლის, რომ წინა ხელისუფლებასაც ათამაშებდნენ...

თეიმურაზი: – არა, არავითარ შემთხვევაში! მიხეილ სააკაშვილმა „აბრეშუმის გზის“ სიმბოლოდ ქუთაისის პარლამენტი ააშენა – ნახავარსფეროზე გადაფარებული გზა, ანუ ეს სიმბოლო მეტალსა და ბეტონში განახორციელა. ის მსოფლიო ბირჟაზე საქართველოს ფასებს მაღლა სწევდა, ახალი ხელისუფლება კი, დაბლა დაწევაზე იღწვის.

– სხვათა შორის, ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც სააკაშვილი არჩევნებში დაამარცხა.

ჯონი: – სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებში იმიტომ დამარცხდა, რომ საზოგადოება ვერ გაიზარდა. არ დაიჯერა, რომ ივანიშვილის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი გუნდი სახელმწიფოს ინტერესებს ვერ დაიცავს.

თეიმურაზი: – „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაკიაველის თეზა შეასრულა, რაც სახელმწიფო ინტერესების უზენაესობას გულისხმობს. დემოკრატიის გარეშეც არსებობდნენ ქვეყნები, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში წარმატებული რომ იყო, აუცილებელია, დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობდე. „ნაციონალებს“ მიზანი ჰქონდათ და ეს სახელმწიფოს აშენება იყო, რეფორმატორების ბედი ასეთია: რეფორმები უნდა გააკეთო და წახვიდე.

– როდის უნდა წასულიყო სააკაშვილი?

თეიმურაზი: – თავის დროზე წავიდა.

– სააკაშვილის რეფორმები ქვეყანას მეტად ძვირი დაუჯდა – 400 ათასი პატიმარი და პრობაციონერი გვყავდა.

თეიმურაზი: – ოფიციალური მონაცემებით, 400 ათასი კი არა, 128 ათასი პატიმარი იყო. საქართველოში 12 წლის ბავშვიც „კანონიერ ქურდობაზე“ ოცნებობდა. მთელი ერი ქურდობაზე იყო გადასული.

– ამით ამართლებთ სააკაშვილის მოწოდებას – „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეშიო“?

თეიმურაზი: – ცოცხების ამბავი?

– ცოცხს მოვეშვათ.

თეიმურაზი: – არა, რატომ მოვეშვათ.

– იმიტომ, რომ სააკაშვილის დროს, ციხეში, ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა უამრავი ფორმაც დაფიქსირდა...

თეიმურაზი: – ადამიანის უფლებების დარღვევა ყველა ქვეყანაში, ყველა დროში ხდება და ეს პრობლემა მსოფლიოში აღიარებულ დემოკრატიულ ქვეყნებსაც აწუხებთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ ციხეებში დადგმული კადრების მეშვეობით მოახ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-15 ᲒᲕ.

ᲮᲘᲠᲘᲮᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015 | № 44 (308) | 15

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲤᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲛᲔ-14 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დინეს ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაცია.

— ასი ათასობით პატიმრის უკან ოჯახის წევრები, ნაცნობ-მეგობრები, ადვოკატები, ანუ უზარმაზარი მასა იდგა, ვინც წამების შესახებ იყო ინფორმირებული. რეფორმირებულ, ლამაზად შეღებილ გლდანის ციხეში ადამიანებს აწამებდნენ და ეს სისტემური დანაშაული სააკაშვილმაც აღიარა!

თეიმურაზი: — მრწამსით ლიბერალი, ყოველგვარი ძალადობის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ეს სახელმწიფოს შენებას სჭირდებოდა. მართალია, 1991 წელს, განაცხადი დამოუკიდებლობაზე გავაკეთეთ, მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება მხოლოდ რეფორმატორების დამსახურებაა. ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი საქმე გააკეთა — მტკივნეულად იმშობიარა და თანამედროვე სტილის სახელმწიფო შექმნა, რომელიც სწორი განვითარების გზით, ევროპისა და მსოფლიოს სტანდარტებს მორგებული იქნება. შეძლებს თუ არა ყოფილი მმართველი ძალა ოპოზიციონერობას, ეს სხვა თემაა. სამწუხაროდ, მმართველობის ბალანსი დარღვეულია, გვაქვს სახელმწიფოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი მიმართულება.

— ვინ არის სახელმწიფოებრივი ძალა?

თეიმურაზი: — ვინც სახელმწიფო შექმნა — საპარლამენტო უმცირესობა, ანუ „ნაციონალური მოძრაობა“. ანტისახელმწიფოებრივი კი, — დემოკრატიას ამოფარებული პოლიტელიტა.

— ბოლო დროს, უკრაინული ,,ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებული ჩანაწერებით, მიხეილ სააკაშვილი თანამოაზრეებს დემოკრატიის იარაღით დაცვისკენ მოუწოდებს...

ჯონი: — მიმაჩნია, რომ დემოკრატია ნებისმიერი გზით უნდა დავიცვათ.

თეიმურაზი: — სააკაშვილი მოუწოდებს, მაგრამ თუ იცით, ვინ გაისვრის? არ ვიზიარებ პოზიციას, რომ ბარიკადები მოაწყონ, მაგრამ ხელისუფლება გაისვრის.

— გასროლა რა შუაშია, როცა ,,რუსთავი 2“-ის საკითხი სამართლებრივად წყდება?

თეიმურაზი: — ,,რუსთავი 2“-ის საკითხი სამართლებრივად არ წყდება. სასამართლოს საფუძველი არ აქვს, ტელევიზია ქიბარ ხალვაშს გადასცეს. მანამდე მას სხვა მფლობელებიც ჰყავდა.

— ისე, ქიბარ ხალვაში ,,ნაცმოძრაობის“ კარზე გამოზრდილი ბიზნესმენია...

თეიმურაზი: — ,,რუსთავი 2“-ის კაპიტალი გაცილებით მეტია, ვიდრე ხალვაშის მმართველობის დროს ფლობდა. ხალვაშს მადა გაეზარდა, მას ხელისუფლება ,,კრიშავს“, რომ კანონიერ მფლობელს ბიზნესი „აახიოს“.

— ვისია „რუთავი 2“?

თეიმურაზი: — ძმები ყარამანაშვილები.

— აბა, სააკაშვილი ასე რატომ აქტიურობს?

თეიმურაზი: — იმიტომ, რომ ერთადერთი ოპოზიციური არხია, რომელიც სიმართლეს ამბობს.

— ვთქვათ, ასეა, მაგრამ სააკაშვილი საქართველოში აღარ მოღვაწეობს...

ჯონი: — გული შესტკივა... რა, ყველაფრიდან მოვკვეთოთ ეს კაცი?

— ტელეკომპანიაც არ მალავს, რომ ,,ნაციონალების“ ინტერესებს ატარებს...

თეიმურაზი: — მედიის თავისუფლებაზე ,,ოცნების“ საუბარი ზღაპარია. სინამდვილეში, მედია თავისუფალი არაა. ,,რუსთავი 2“ რომ „ნაციონალების“ პოზიციებს აჟღერებს, ეს დემოკრატიის ნაწილია და ამისთვის, უფლება არავის აქვს, არხი ვინმეს წაართვას, ან დახუროს.

— ვინ ხურავს?

თეიმურაზი: — რეალურ მეპატრონეს ართმევენ.

— ბიზნესის „ახევა“ „ნაციონალების“ მოგონილია და ეს ვის უკვირს?

თეიმურაზი: — მე მიკვირს.

— „ნაციონალების“ მმართველობის წლებშიც გიკვირდათ?

თეიმურაზი: — საქართველოში 2008 წელს ჩამოვედი.

— მაშინ არ შესწრებიხართ, თუ როგორ დაარბიეს 7 ნოემბრის მიტინგი, როგორ აიღეს შტურმით ტელეკომპანია „იმედი“...

ჯონი: — დარღვევები იყო, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ იგივე უნდა განმეორდეს? საკმარისი შედეგიც ჰქონდა 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევებს. საქართველოში ნატო-ს სამიტი არ ჩატარდა. რაც შეეხება 26 მაისის მოვლენებს, მაშინ ნამდვილად გადავრჩით „გე-რე-უ“-ს სპეცრაზმების შემოჭრას. ამ არეულობის ორგანიზებას ნინო ბურჯანაძე აკეთებდა.

— ახლა კი, არეულობის მოწყობას ხელს სააკაშვილი უწყობს, როცა ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას ბარიკადებისკენ მოუწოდებს.

თეიმურაზი: — ზემოხსენებული ორივე აქცია დასაშლელი იყო, ის კი, ვინც დღეს „რუსთავი 2“-ის სხვისთვის გადაცემას აპირებს, თავისუფალ სიტყვას ებრძვის! არ შეიძლება ამ მოვლენების ერთმანეთთან გათანაბრება. ის, ვისაც უნდა, საქართველო „ერთ სოფლად“ დატოვოს, სახელმწიფოებრიობას სპობს. მადლობა ღმერთს, რომ პრეზიდენტს ვერ აკონტროლებენ. გიორგი მარგველაშვილი საქართველოს კონსტიტუციასაა ჩაჭიდებული, იცავს და ამაზე კარგს ვერაფერს გააკეთებს. მარგველაშვილი უფრო მიმაჩნია ქვეყნის სამსახურში, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის მიერ მოყვანილი მთავრობა, რომელიც უხეშად არღვევს კონსტიტუციას და პრეზიდენტს არ ემორჩილება.

— ეს პოლიტიკური უკულტურობაა?

ჯონი: — ეს უკულტურობა კი არა, კონსტიტუციის დარღვევა და დანაშაულია.

— ადამიანის წამების და ღირსების შემლახავი კადრების გავრცელების შემდეგ, „ნაციონალების“ ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა: „ეს სასირცხვილო წარსულია, რომელსაც გამოძიებით უნდა დავუსვათ წერტილი, დავამთავროთ და წარსულში დავტოვოთ“, ანუ დანაშაულს აღიარებენ, მაგრამ დამნაშავენი არ უნდა დაისაჯონ?

ჯონი: — გამოიძიონ მერე, რას ელოდებიან? წარსულიც გამოიძიონ და მათ ხელში მომხდარი დანაშაულებიც. მაგალითად, ბარბარე რაფალიანცის, ეროსი კიწმარიშვილის და სხვათა მკვლელობები. რა „ნაციონალების“ ბრალია, თუ საქმეებს ვერ იძიებენ?

— ამის უამრავი მიზეზი არსებობს — როგორც უფლებადამცველები ამბობენ საბოტაჟი თუ მტკიცებულებების არქონა გამოძიებებს ართულებს. ყველაფერ ამას სიძულვილის ენაც ერთვის, როცა ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ ბრალდებებს არ იშურებს.

თეიმურაზი: — პეტრე ბაგრატიონიც ქართველი იყო და სერგო ორჯონიკიძეც, მაგრამ არც ერთი იყო სულით ქართველი და ორივე საქართველოს კი არა, იმპერიას ემსახურებოდა. ჩვენი სახელმწიფოს არსებობა რუსეთის იმპერიის სიკვდილს ნიშნავს. ქართული სახელმწიფოსა და საბჭოეთის მოქალაქე სხვადასხვა მცნებაა. საბჭოეთიდან გამოსული ჩვენი ბევრი მოქალაქე, ისევ საბჭოთა, მომაკვდავი იმპერიის მოქალაქედ დარჩა!

— ავი ენები ბევრს ლაპარაკობენ, რომ მიხეილ სააკაშვილი და ბიძამისი, თემურ ალასანია იმ მომაკვდავი იმპერიის სპეცსამსახურების სამსახურში არიან.

თეიმურაზი: — ერთხელ, ჩემზე ჭორი გავიგე, თურმე, გიჟი ვყოფილვარ.

— ისე, სააკაშვილზეც ამბობენ, გიჟიაო...

თეიმურაზი: — ჩვენ, ყველანი, ვინც საქმეს ვაკეთებთ, ცოტათი გიჟები, უფრო სწორად, შერეკილები ვართ! ვიღაცა ვიღაცასთან იყო — ეს ისტორიაა, მთავარია დღეს ვინ რას აკეთებს.

— თემურ ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილზე ამბობენ, რომ იარაღით უკანონო ვაჭრობაში არიან ჩართულნი... 2008 წელს, საქართველო-რუსეთის ომში, ქართული არმია სათანადოდ შეიარაღებული არ აღმოჩნდა. არადა, თავდაცვის ბიუჯეტი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ვიცოდით.

თეიმურაზი: — ქართული არმია ამ ომში შემთხვევით აღმოჩნდა, ამ ომს არავინ ელოდა და არც ემზადებოდა. ეს ომი გეოპოლიტიკურად განწირული იყო... მაშინ რუსეთმა თავისი პოზიცია დააფიქსირა: 2008 წელს, მაპ-ი უნდა მიგვეღო, მაგრამ აგვისტოს ომის გამო, ნატო იძულებული გახდა, რუსეთის ინტერესები გაეთვალისწინებინა.

— ომი წავაგეთ და დედაქალაქში ტაშფანდური გავმართეთ.

— ჩვენ ეს ომი, გეოპოლიტიკურად, მართლა მოვიგეთ! რუსთაველზე ხუთი ქვეყნის — ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, უკრაინისა და პოლონეთის მმართველები იდგნენ. ეს აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებია, რომელთა კავშირის აღდგენა მაშინ დაიწყო და დღემდე გრძელდება.

— ახლახანს, როგორც ვიცი, კიევში შეხვედრებს ესწრებოდით. როგორია იქაური ხელისუფლების განწყობა საქართველოს მიმართ?

ჯონი: — კიევში ახალი პარტია — ,,გაერთიანება რეფორმებისათვის“ დაფუძნდა, რომლის პრეზენტაციაზე მიგვიწვიეს, როგორც გამოცდილი რეფორმატორი ქვეყნის ექსპერტები. უკრაინელები ახლა იმ გზას გადიან, რაც ჩვენ გავიარეთ.

— უკრაინა „ნაციონალების“ ფორპოსტი გახდა.

თეიმურაზი: — უკრაინა „ნაციონალების“ კი არა, საქართველოს ფორპოსტია. ჩვენ უკრაინასთან საზღვარი გვქონდა, მაგრამ როცა ეკატერინემ იქ ნოვოროსიისკი ააშენა, საზღვარი რუსეთთან გავიდა. საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული, დღეს ნიკოფსიას ტუაფსე ჰქვია და რუსეთს ეკუთვნის. საქართველო ამ გზით ევროპაში პირდაპირ გადიოდა, სწორედ ეს ძველი განლაგება უნდა დაბრუნდეს, ,,აბრეშუმის გზაც“ ასე გავა.

ჯონი: — რუსეთს წელში გამართული საქართველო არ სჭირდება, მიზანმიმართულად მიმდინარეობს სტაგნაციის პოლიტიკა ყველა სფეროში. ხალხს აჯერებენ, ევროპა არაფერს გვიკეთებს და აგერ, რუსეთი მწვანილსა და ღვინოს შეგვატანინებს, გავმდიდრდებითო. ვიდრე ქართველები იქ ღვინოს შეიტანენ, რამდენიმე ვაგონი ფალსიფიცირებული სასმელი გამზადებული იქნება და ამას ვერავინ გააკონტროლებს.

სანიმუშო პოლიცია გვყავდა, მაგრამ ახლა მისი დისკრედიტაცია მიმდინარეობს. ცდილობენ საზოგადოება და პოლიცია ერთმანეთისგან გახლიჩონ. ადრე ხალხს პოლიციის შიში და რიდი ჰქონდა.

— ეშინოდა — მიშას დროს, პოლიცია ნარკოტიკს ისე ჩაგიდებდა, ვერც გაიგებდი.

ჯონი: — მსგავსი რამ განა, ახლა არ ხდება?

— რამე შეგემთხვათ? გეტყობათ, პოლიციაზე ნაწყენი ხართ...

— ამას წინათ, ჩვენმა მოძრაობამ „აფხაზთა კრება“, ქალაქში პლაკატები გააკრა, რომელიც არც ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებას შეიცავდა, არც — დაპირისპირებას. უბრალოდ, ჩვენი აზრით, სამართლიანი მოთხოვნები გამოვამზეურეთ. პოლიციამ პლაკატები ჩამოხია, სასამართლომ კი, დაგვაჯარიმა. როგორც ჩანს, ჩვენი მოთხოვნები ხელისუფლებას არ აწყობს.

— რა მოთხოვნები გაქვთ?

ჯონი: — ეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოთხოვნა იყო. აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობა, ჯერ კიდევ იქ ყოფნისას ავირჩიეთ და, პრაქტიკულად, უფუნქციო გახდა. ქვეყნის ბიუჯეტიდან, წელიწადში, 14 მილიონი ლარი მიდის აპარატის შესანახად. ამ დროს რამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას სწავლის ფულის გადახდა უჭირს. ახლახან, ერთ-ერთი პოეტის პოეზიის საღამო ჩატარდა, რაზეც 75 ათასი ლარი დაიხარჯა, მაპატიოს ბატონმა პოეტმა, მაგრამ არ ჯობდა, ეს ფული 75 ახალგაზრდას შეხიდებოდა?

რამდენიმე თვის წინ, არზაყან შერვაშიძის ბიუსტის დასადგმელად, ოცდაათკაციანი დელეგაცია, ერთი კვირით, პრაღაში გაემგზავრა, რაშიც უზარმაზარი თანხა დაიხარჯა. აფხაზეთის მთავრობა ნათესავმეგობრების კრებულია, უმაღლეს საბჭოში სამუდამო დეპუტატების ჯგუფი ზის და ხელფასს იღებს, რომელიც, პრაქტიკულად, პენსიად იქცა.

აფხაზეთიდან ლტოლვილები დღემდე სოციალურად დაუცველ ფენად, დაუმაყოფილებელ მასადაა წარმოდგენილი. არა, ბატონები, აქ თაობები გაიზარდნენ, ჩვენ პოლიტიკაშიც შეგვიძლია ჩვენი სათქმელი ვთქვათ. ტექნიკურად, სრულიად შესაძლებელია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩავატაროთ და შევცვალოთ ერთი და იგივე ხალხი, რომელიც 23 წელია, სკამზე ზის!

— ჯონი, რეფორმატორებზე, ქვეყნისთვის გაკეთებულ სიკეთეებზე საუბრობთ, მაგრამ ხალხს ,,ნაციონალების“ რეფორმები კი არა, კანონის სახელით ძალადობა, სიძულვილი, ცინიზმი დაამახსოვრდა...

ჯონი: — რაც უნდა ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილი ლიდერია, რომელსაც უკან მივდევდით. ქვეყანა, სადაც თვითმფრინავის ტრაპზე „კანონიერ ქურდს“ შს მინისტრი პატივით ხვდებოდა, თავისი სტრუქტურებით, სახელმწიფოს დაემსგავსა. „ნაციონალები“ გულანთებული პატრიოტები არიან, რომელთაც საკუთარ თავზე აიღეს შავი საქმე, ერის სიძულვილი და ქვეყანა ქვეყანას დაამსგავსეს.

— ამ ქვეყნისთვის ბიძინა ივანიშვილმაც ფასდაუდებელი ღვაწლი გასწია.

ჯონი: — მიხეილ სააკაშვილმა ბიძინას ყველაფერი ძალდატანებით გააკეთებინა, თანაც სიკეთეს მიზანმიმართულად აკეთებდა, რომ ქვეყნის სათავეში მოსულიყო. რეფორმები თუ დააფინანსა, ქვეყანას მოხმარდა. აბა, მაჩვენეთ ის ნაქები საწარმოები, საარჩევნოდ რომ დაგვპირდნენ? ჯანდაცვის სისტემისთვის ორი თვეა, ფული არ აქვთ და იმ საავადმყოფოებს ართმევენ, რომელთაც კომპრომატები დაუდეს. ,,ოცნების“ ხელისუფლება კარგი იმიტომაა, რომ ციხეში არავის სვამენ? არ დაიჯეროთ, როცა სჭირდებათ, ამასაც აკეთებენ და რეფორმატორები დღემდე საკნებში ჰყავთ გამომწყვდეულნი! დაუმტკიცონ, ბატონო, ახალაიას, რომ ყოველ დილით თოთო ბავშვებს ჭამდა, ან გიგი უგულავას — კორუფციული სქემები. სად არის მტკიცებულებები? ვიმარჩიელოთ თუ დედა დავიფიცოთ?!

— ჯონი, ბოროტი ენები ამბობენ, რომ „ნაციონალებს“ უცხო ქვეყნების ელჩები, ევროპელი მაღალჩინოსნებიც კომპრომატებით ჰყავთ დაბმულიო...

ჯონი: — თუ სათავეში ასეთი ძლიერი „ნაცმოძრაობა“ გვყავდა, ისევ გვყავდეს, არაფრის მაქნის ,,ოცნებას“ არ მირჩევნია?!

მომავალი პოლიტიკური ველი ახალი თაობისთვის უნდა გამოვათავისუფლოთ, ახალგაზრდა ინტელექტუალებთან ვმუშაობ, ორგანიზაცია „ლაზარე“ რეგიონებსაც წვდება და მიხარია, რომ საღად მოაზროვნე ახალგაზრდები მოდიან, შეძლებენ და სახელმწიფოსაც გადაიბარებენ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ

ქართული სიტყვა

„მე რომ სომეხი, ან ებრაელი ვიყო, სახელმწიფო საკვლევ ინსტიტუტს გამიხსნიდა!“

ქართველი მეცნიერის სენსაციური აღმოჩენების გაცნობაზე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა უარი თქვა

ქართველი მეცნიერი აკაკი გასვიანი სამყაროს სპირალური მოძრაობის თეორიის ფუძემდებელია. სამყაროს მოძრაობის მოდელი, სხეულთა სამოძრაო ერთეულები და ინტერვალები, რიტმული დინამიკის კანონი თუ სფერული მუდმივა კოსმოლოგიაში უმნიშვნელოვანესი სიახლეა. იმის დასტურად, რომ სამყაროში მოძრაობა ყოველივეს სპირალურია, გალაქტიკისა და მასში მიმდინარე მოვლენების ხილვაც საკმარისია. სწორედ სპირალური მოძრაობით აიხსნება შავი ხვეულების, ბერმუდის სამკუთხედისა თუ ტორნადოს მოვლენები.

„ქართული სიტყვა“ აკაკი გასვიანს ესაუბრა, რომელსაც თავის წიგნში – „სამყაროული მოძრაობა“ 300-ზე მეტი მეცნიერული დასკვნა და ფუნდამენტური აღმოჩენა აქვს შეტანილი:

– კაცობრიობის ცნობიერების გარდაქმნის ჟამია დამდგარი და სამყაროს უნივერსალურად შეცნობა აუცილებელია. ჩემს მიერ 300-ზე მეტი მეცნიერული დასკვნისა და აღმოჩენიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც სამყაროს სპირალური მოძრაობაა. სხეულთა სპირალური მოძრაობის შედეგია კოსმოგაერთიანებანი: ჰელიოცენტრული (მზის) სისტემა (ნ.კოპერნიკი), ზოდიაქოები, გალაქტიკები; გრავიტაციულია მსოფლიო მიზიდულობის კანონი (ი.ნიუტონი); ელემენტთა პერიოდული სისტემით განლაგება (დ.მენდელეევი); ელექტრომაგნიტური და სხვა ველები, გამოსხივება და სიცოცხლე. ამრიგად, სპირალური მოძრაობა სამყაროს კანონების საფუძველია. რაც მთავარია, მისი მიზეზი და ამ მიზეზის მიზეზი – აბსოლუტე, ანუ ღმერთი, ინფორმაციული ველი, წმინდა ველი ავხსენი.

– ამ მოვლენას დედამიწის მაგალითზე როგორ აღწერთ?

– როგორც ვიცით, დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივ დღე-ღამეში ერთხელ შემობრუნდება, მზის გარშემო ორბიტას ერთ წელიწადში შემოუვლის. დედამიწის ღერძი ცამრგვალის ირგვლივ, სამყაროს პოლუსის მიმართ, ერთჯერად გადაადგილებას, ასტრონომთა გათვლით, 25 920 წელიწადში ასრულებს. სამივე შემთხვევაში, მისი მოძრაობა სრულდება არც წრეწირზე, არც – ელიფსზე, არამედ, ელიფსისებრ გახსნილ წრეზე, ხვიისებრად, სპირალზე და თავისი ღერძის მიმართ დახრილად, აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობს, რის გამოც გვეჩვენება, რომ მზე და ვარსკვლავები მასვე გარშემო, დასავლეთის მიმართულებით უვლიან. ეს მოვლენა კარგად აქვთ ასტრონომებს ახსნილი.

მართალია, მზის დედამიწის გარშემო დასავლეთის მიმართულებით მოძრაობა მოჩვენებითია, მაგრამ ჭეშმარიტების ანარეკლია და ნიმუშად გამოგვადგება: 22 დეკემბერს მზე დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროს 23,5 განედზეა, სამხრეთი პოლუსისაკენ, 90 გრადუსისკენ მეტად არ გადაიხრება, უკუიქცევა ეკვატორისკენ. ამისი მიზეზიც ახსნილი გვაქვს. 21 მარტს კი, დედამიწის ეკვატორის -0 გრადუსის გასწვრივაა, 22 ივნისს, ჩრდილოეთის ნახევარსფეროს 23,5 გრადუსზეა. არც აქედან გადაიხრება მეტად ჩრდილოეთის პოლუსისაკენ -90 გრადუსისაკენ. ე.ი. მოძრაობა სრულდება სპირალურად.

დედამიწის მოძრაობა სამყაროს ყველა სხეულისთვის ეტალონურია, ე.ი. სამყაროული მოძრაობის ფორმა სპირალურია.

– ტერმინი – „სპირალური მუდმივობა“ სამეცნიერო ლიტერატურაში ახალია. „სპირალური მუდმივები“ როგორ იქმნებიან?

– სხეულის უწყვეტი წრიული მოძრაობით, სპირალებს შორის მიღებული მანძილები მუდმივი განზომილებები, ანუ სპირალური მუდმივებია. წრეწირი, გნებავთ, ელიფსი 360 გრადუსია, ელიფსისებრი სპირალი კი, მასზე მეტია. დედამიწა მზის სისტემის ისეთ არეალშია, რომ წრეწირზე (ელიფსზე) 1 გრადუსი მანძილის გავლა მისთვის ერთი დღე-ღამითაა კანონიზებული, ანუ 360 გრადუსი 360 დღეღამეში უნდა შემოწეროს, მაგრამ წელიწადის ხანგრძლივობა, ჩვენი გაანგარიშებით, 365,2424136 დღე-ღამეა, რაც მეცნიერთა მიერ ეტალონად მიღებულ ტროპიკული წლის ხანგრძლივობას, დაახლოებით, 18 წამით, ანუ დღე-ღამეში 0,05 წამით აღემატება. ვთვლი, რომ ჩემი გაანგარიშება სწორია.

სფერული მექანიკის კანონით, კუთხური აჩქარებისას სხეულმა სპირალზე გასვლა რომ შეძლოს, წრეწირს (ელიფსს) 0,99 გრადუსი აკლდება, რაც სპირალის ღიობის მუდმივაა და რჩება 359,01 გრადუსი. 365,2424136 – 359,02=6,2324136 – ეს დედამიწის წლიური, განედური სპირალური მუდმივების ჯამია. 365,2424136:359,01=1,01736 გრადუსს – ეს კი ერთი დღე-ღამის სპირალური მუდმივაა. აქედან 1 გრადუსი წრეწირისეულია, 0,01736 გრადუსი კი, – სპირალზე მომატებული მანძილი.

ამავე მეთოდით დავადგინეთ დედამიწის გრძედსა და მერიდიანზე აღსავლენი სპირალური მუდმივა, რომელიც განედურზე ოთხჯერ ნაკლებია: 1, 01736 გრადუსი 0,25434 გრადუსს უდრის. აქედან 0,25 წრისეულია, 0,00434 გრადუსი კი, – სპირალზე მომატებული მანძილი.

ცის მექანიკის კანონია: სფერულმა სხეულმა თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნვა რომ განავითაროს, მისი ორბიტული მოქცევის ორი სპირალური მუდმივა ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს მისსავე განედურისას. მაშინ: 1,017362=2,03472 გრადუსს – ეს მზის გარშემო დედამიწის ორბიტული სპირალური მუდმივაა. მეცნიერთა დასკვნით, დედამიწის ღერძი სამყაროს პოლუსის მიმართ 72 წელიწადში 1 გრადუსით გადაადგილდება, რაც წლიურად 50 (სეკუნდა) მუდმივას ქმნის: 1 გრადუსი=360 გრადუსს: „72=50“, რაც სწორია წრეწირისათვის (ელიფსისათვის), მაგრამ სპირალური ორბიტის წლიური პრეცესიული მუდმივა 50,868-ია, ცამრგვალზე ერთჯერადი შემოვლისას კი, შეადგენს 5,0868 გრადუსს. მსგავსი გაანგარიშებებით, დადგინდა მზის, მთვარის, მარსის და ა.შ. სპირალური მუდმივები.

სპირალურობის მექანიკა იძლევა საშუალებას, აბსოლუტური სიზუსტით დავადგინოთ სხეულთა მოძრაობის დრო და მანძილი.

– მზის მოძრაობის სიჩქარის დადგენაც შეძელით?

– მზის სიჩქარე, წრეწირზე გათვლით, 216კმ.წმია, სპირალურ ორბიტაზე კი, – 214, 779168 კმ.წმ. მეცნიერები დღემდე ვარაუდით მსჯელობენ, რომ მზე გალაქტიკის ცენტრის გარშემო მოძრაობს 200-250 კმ/წამში. 50 კმ/წამში დიდი ცდომილებაა. ასევე, დავადგინეთ მზის 11-წლიანი ციკლის მიზეზი. გინახავთ ადამიანის კეფაზე სპირალური გვირგვინი? – ის ბიოარსში ენერგიის სპირალური მოძრაობითაა განპირობებული. შავ ხვეულებსაც ენერგიათა სპირალური მოძრაობა წარმოქმნის. ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოებაც ამით აიხსნება, ასევე, ტორნადოსი. სხეულებს შორის რბილ-მყარობაში სხვაობას სიმკვრივეთა ქმნადობის კანონი განსაზღვრავს. ქრისტე გვმოძღვრავს: ღმერთი სულიაო. წმინდანთა ჭვრეტით, ღმერთი უნივთოა. მეცნიერული ანალიზით დავადგინეთ, რომ მეცხრე სფერული შრე-ინფორმაციული ველი, აბსოლუტე – ღმერთი უნივთოა, ამიტომ წმინდა ველია. სამყარო არც გაიხლიჩება და არც ბურთისხელად შეიკუმშება. მისი გაფართოება-შეკუმშვა ციკლურია, მონაცვლეობით ხდება. თანაარსი ყველა სხეულსა და სხეულთა გაერთიანებას ახლავს, მარტო ვერც ერთი ვერ იმოძრავებს.

აი, სამყაროს უსასრულობის საფუძველი... არსებობენ ასეთივე პარალელური სამყაროები და... და არავითარი აფეთქების, ფარდობითობის თეორიები, ანუ სამყაროს დროებითობის – რელატიურობის თეორია! სამყარო მარადიულია, რადგან მარადიულია ღმერთი, რომელიც ყოველ უხილავ მიკროშიცაა და გიგანტურ მაკროშიც. „მე მამაში ვარ და მამა ჩემშია!“ – გვმოძღვრავს მაცხოვარი.

– როგორია მეცნიერთა გამოხმაურება თქვენს აღმოჩენებზე?

– წიგნში – „სამყაროული მოძრაობა“ შეტანილი ამონარიდები მეცნიერთა რეცენზიებიდან თავად მოწმობს, თუ რა დიდ შეფასებას გვაძლევენ, თუმცაღა მართებული იქნება, ასეთი დონის ღირებულებათა შეფასება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გააკეთოს. ის კი დუმს. ამ დროს ლომონოსოვის სახელობის გსუ-ს პროფესორმა, იანკოვსკიმ მოგვწერა: „ორიგინალური მეცნიერული მიმართულება შექმნა გასვიანმა, რასაც მოწმობს მისი წიგნი – „სამყაროული მოძრაობა“. ორიგინალური მეცნიერული მიმართულების შემქმნელი ისტორიაში სულ რამდენია ცნობილი? ეკოლოგიური და რადიაციული უსაფრთხოების საერთაშორისო ცენტრის გენდირექტორმა, მიასოვდოვმა მსოფლიოში ცნობილ „დიდი იდეების“ ავტორ მეცნიერებს შეგვადარა და დაასკვნა: „მე აღტაცებული ვარ ამ ნაშრომით და მჯერა, იგი დიდად შეუწყობს ხელს მეცნიერების მომავალ განვითარებას“.

ამას წინათ, ერთ ღონისძიებაზე შესაძლებლობა მომეცა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტისთვის მიმემართა, ხუთიოდე წუთით მინდა თქვენთან შეხვედრა, რომ ჩემი ორი წიგნი გადმოგცეთ-მეთქი, მაგრამ ცივი უარი მტკიცა, წიგნების წასაკითხად დრო არ მაქვსო... სახტად დავრჩი!

ღვთისგან ბოძებული ეს აღმოჩენები ქართველი ერის ინტელექტუალური საკუთრებაა და, როგორც თანაავტორობის მონწადინე უცხოელებს განვუცხადე, მილიარდებიც რომ შემომთავაზონ, თანაავტორად არავის ავიყვან!

კლეპტომანები, ინტერპრეტატორები და აღმოჩენათა გარდამსახველები მსოფლიოში ჭარბად არიან. ამიტომ დროზე უნდა ჩვენს ინტელექტუალურ საკუთრებას აღიარება და დაცვა. ეს უპირველესად სამეცნიერო ცენტრებსა და შესაბამის სამინისტროებს ევალებათ.

მიქელანჯელოსავით, რომელიც თავისი შემოქმედების ვერ თუ არ დამფასებლებს დუელში იწვევდა, გავთამამდები და ვიტყვი: მე რომ სომეხი ან ებრაელი ვიყო (ამას კარგი გაგებით ვამბობ, რადგან მათ მეცნიერების დაფასება იციან), მათი სახელმწიფოები და ბიზნესმენები ასეთ ნაშრომს არათუ დააფინანსებდნენ, არამედ, საკვლევ ინსტიტუტსაც გამიხსნიდნენ. ჩვენთან კი

ზოგიერთმა მეცნიერებათა დოქტორმა ასეთი რამეც თქვა, რა არის აქ ახალი, დნმ და გალაქტიკების ნაწილი ხომ სპირალურია. ჰეგელმაც ხომ თქვა, საზოგადოების განვითარება სპირალისებურიაო? ჰეგელმა მხოლოდ შეადარა საზოგადოების განვითარება სპირალს. მას კანონი არ ჩამოუყალიბებია. ამ დოქტორებს კონკრეტულ კითხვას რომ ვუსვამ, რატომ არის დნმ ან გალაქტიკები სპირალური-მეთქი, ჩუმდებიან. ოღონდ ქართველისა არ იყოს რაიმე ახალი აღმოჩენა, უცხოელისას კი, აიტაცებენ. რა ჰქვია ამ დაავადებას? ამიტომ ვართ ასეთ მდგომარეობაში.

ქართულმა სათაკილო არხეინობამ და დარდიმანდობამ განაპირობა ფიროსმანის, ვაჟას, ბარათაშვილის, გალაკტიონის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული. როდემდე უნდა ვიყოთ ასეთი დარდიმანდები და არხეინები? ეკონომიკურად სხვებზე ვართ დამოკიდებულნი, პოლიტიკურად ვქანაობთ, საკუთარ ინტელექტუალურ მიღწევებს მაინც არ უნდა მოვუაროთ, ქართველებო?!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„ქართულმა სათაკილო არხეინობამ და დარდიმანდობამ განაპირობა ფიროსმანის, ვაჟას, ბარათაშვილის, გალაკტიონის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული. როდემდე უნდა ვიყოთ ასეთი დარდიმანდები და არხეინები? ეკონომიკურად სხვებზე ვართ დამოკიდებულნი, პოლიტიკურად ვქანაობთ, საკუთარ ინტელექტუალურ მიღწევებს მაინც არ უნდა მოვუაროთ, ქართველებო?!“

ინგა გრიგოლია: „მერიის მაღალჩინოსნები „ფეისბუქით“ ერთობიან“

„ყოველი კვირის დასაწყისში რომ კადრებს ხსნიან, ტენდერებში რომ სრული ქაოსია, ათხრილ-დათხრილი როა თბილისი, იმიტომ ერთობიან „ფეისბუქით“ მერიის მაღალჩინოსნები“, – **ასე ეხმაურება სოციალურ ქსელში ჟურნალისტი ინგა გრიგოლია თბილისის მერიაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს.**

ამასთან, ჟურნალისტი თბილისის მერიის მაღალჩინოსნის, ირაკლი ლექვინაძის იმდროინდელ პოსტსაც იხსენებს, რომელიც ამ უკანასკნელმა „რეაქციის“ საზაფხულო სეზონის დამთავრების შემდეგ დაწერა.

„აი, ამ პოსტების წერით რომ იყვნენ დაკავებულები საქმის ნაცვლად, იმის მაგივრად, საქმისა და ტენდერებისთვის რომ მიეხედათ, სულ არ ვარ ბოროტი, მაგრამ მერიაში რაც ხდება, ამ დროს სულ ესეთი ამბები მახსენდება ხოლმე, ფოტოზე რაც წერია“, – **წერს ინგა გრიგოლია „ფეისბუქში“ და ირაკლი ლექვინაძის ზემოხსენებული პოსტის ფოტოსაც აქვეყნებს.**

ნათია ფანჯიკიძე: „მე რომ დიდი გავიზრდები, ქუჩის მუსიკოსებს დავაფინანსებ“

„ნებისმიერ საკონცერტო დარბაზში მოსმენილ ჰანგებს მირჩევნია უცებ გაგონილი მუსიკა, ქუჩის ხმოვანებას უეცარი განწყობით რომ ავსებს. მოულოდნელად გადაყვხარ ერთი ფიქრიდან მეორეზე, უკეთესზე, ან შენი ფიქრის საუნდტრეკი ხდება.

ვენაში ქუჩა მოცარტის ენით გელაპარაკება, ნიუ იორკში – ათასნაირ ენაზე, ათასნაირი გრძნობის შესახებ.

მე რომ დიდი გავიზრდები, ქუჩის მუსიკოსებს დავაფინანსებ!“ – **წერს ნათია ფანჯიკიძე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.**

ნინო ჯანგირაშვილი: „დედას გეფიცებით, ბოტოქსი არ გამიკეთებია!“

„დედას გეფიცებით, ბოტოქსი არ გამიკეთებია – ფობია მაქვს, მეშინია გაშეშებული სახეების. დედას გეფიცებით, ცხვირის ოპერაციაც არ მაქვს გაკეთებული – მეშინია ნემსის და ტკივილის. დედას გეფიცებით – აშშ-ში თემურ ალასანიასთან არ ვყოფილვარ, ლოიოლას უნივერსიტეტის კომუნიკაციების სკოლაში ვიყავი აშშ-ის საელჩოს მიწვევით.

დედას გეფიცებით, „ნაცების“ ფული რომ მდომებოდა, დიდი ხნის წინ გამოვართმევდი და არ ვიმაზოხისტებდი ამდენი წელი. დედას გეფიცებით, „რუსთავი 2“-ის საქმეს პიარისთვის კი არ ვიყენებ, უბრალოდ, ვერ ვიტან მოძალადე და აღვირახსნილ ხელისუფლებებს.

თანამშრომლები მაწვდიან ხოლმე „ფეისბუქზე“ მიმობნეულ ჩემს სალანძღავ მარგალიტებს და ასე დავახარისხე პასუხები მოკლედ. ბრალდებების პირველი ნაწილი ერთ ქალბატონს ეკუთვნის, რომელსაც არც ბოტოქსი უშველის და არც – ცხვირის ოპერაცია.

ფულის ნაწილში ერთი კაცი მადანაშაულებს, რომელიც ღიად იხვეწება, ქიბარ სამსახურში მიმიღეო და დიდი ეჭვი მაქვს, ფულიც არავის შეუთავაზებია არასდროს იმიტომ, რომ არავის ჭირდება.

ბოლო ბრალდება ერთ კაცს ეკუთვნის, რომელსაც კომუნიკაციების სპეციალისტი კი ჰქვია, მაგრამ ეს „ცოდნა“ არც საკუთარი თავისთვის გამოადგა და არც – იმისთვის, ვისაც ერთი წელი ელაქუცებოდა ეთერში. დღეს კი, ცდილობს, 60 სტატუსი/სთ-ში სიჩქარით მოაწონოს „ოცნებას თავი“.

მოკლედ, რამე ხეირიანი ბრალდებები მოიფიქრეთ, პატივცემულებო, ცოტა გულს რომ მოხვდეს, – ისეთი“, – წერს ჟურნალისტი ნინო ჯანგირაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

ნანუკა ჟორჟოლიანი: „ხალხი პორნოებს ელოდება“

„ბატონო პრეზიდენტო, ახლა თქვენი დროა. გადაარჩინეთ ქვეყანა უკიდურესი დაძაბულობისგან! ჩვენ არ გვინდა ბარიკადები და ფიზიკური დაპირისპირებები! ჩვენ არ გვინდა იქ, სადაც მიგვათრევენ, რუსეთში! თქვენ შეგიძლიათ საქართველოს ისტორიაში შეხვიდეთ ოქროს ასოებით და ახლა თქვენი ჯერია!

მე, როგორც რიგით მოქალაქეს, რომელსაც თქვენთვის ხმა არ მომიცია, მაქვს თქვენი იმედი იმიტომ, რომ თქვენ ნამდვილად ხართ ყველას პრეზიდენტი!“

ამასთან, ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუქში“ კიდევ ერთ პოსტს აქვეყნებს:

„ბატონო ხელისუფალო, „ხალხი“ დაანონსებულ პორნოებს ელოდება და მალე დადებთ? აგვიანებთ რაღაც. ანანისტები ღელავენ!“

ეკა მიშველაძე: „პირველ არხზე“ ახალ თოქ-შოუს იანვრიდან წაიყვანს

„მართლაც, ჩემზე ადრე იგებს ყველა ყველაფერს, როგორც ვატყობ. რადგან ასეთი დიდი ინტერესია, დავაზუსტებ: ჩვენ გვქონდა გუშინ შეხვედრა – მე და გენერალურ დირექტორს. არის ასეთი წინადადება, რომ ახალი გადაცემა შევთავაზოთ მაყურებელს, სავარაუდოდ, იანვრიდან. ეს იქნება განსხვავებული ფორმატის ანალიტიკური თოქ-შოუ. ფორმატი ჯერ დაზუსტების სტადიაშია. მთავარია, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მისი პრინციპების და სტანდარტის ერთგული რჩება“, – წერს ტელეწამყვანი ეკა მიშველაძე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

სალომე ზურაბიშვილი: „სახელმწიფო მეთაურები ასეთი სიტყვებით არ უნდა საუბრობდნენ“

„ერთი უბედურება ხომ გვჭირდა საკაშვილის სახით, მაგრამ ვერც პრემიერი და ვერც ვიცე-პრემიერი რომ ვერ ხვდებიან,...ეს რას დავაბრალოთ?!“ – წერს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

მამა პეტრე: „აღმოსავლეთი ადამია, დასავლეთი – ევა“

„ევროპული არჩევანი, როგორც ასეთი, ალბათ, იდეაა, ჰუმანიზმზე და ინტელექტზე აგებული. კაცობრიობის უმთავრესი ღირებულება ადამიანის თავისუფალი ნება და მისი უფლებებია. რაც უნდა მცდარი იყოს მის გადაწყვეტილებაში, მან აირჩია და მანვე უნდა აგოს პასუხი“, – **წერს მამა პეტრე (კვარაცხელია) სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.**

მისივე თქმით, აღმოსავლეთი დასავლეთის დახვეწილი ნაზავია.

„გვახსოვდეს, სადაც ჩვენი უფლებები მთავრდება, სხვისი იწყება. არ ვუარყოფ აღმოსავლეთს, პირიქით, აღმოსავლური კულტურა და ჩვეულებები ბევრად ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს მოიცავს,...დასავლეთი - ეს არის აღმოსავლეთის დახვეწილი ნაზავი....ვფიქრობ, რომ აღმოსავლეთი სამკაულის ის კორპუსია, რომელშიც დასავლეთი მისი ეფექტური ელვარებით არის ჩასმული... ამიტომ, როცა ვიტყვით დასავლურ ღირებულებას, უნდა ვიგულისხმოთ აღმოსავლეთიც, როგორც მისი საწყისი და საფუძველი....აღმოსავლეთი ადამია, დასავლეთი – ევა, კაცობრიობის განვითარება კი, – მათი შეხვედრის ადგილი“, – **წერს მამა პეტრე „ფეისბუქში“.**

თემო მურვანიძის ვარაუდით, გვარამიას ეჭვმიტანილის სტატუსი მიენიჭება

„არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში, გვარამიას და მის „მეგობარ რევოლუციონერებს“ მოწმის სტატუსი შეეცვალოთ და ეჭვმიტანილის სტატუსი მიენიჭოთ“, – **წერს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პოლიტიკოსი თემო მურვანიძე.**

მურვანიძე განმარტავს, რომ ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ფაქტების კონსტატაცია აძლევს.

„იურისტი არ ვარ, მაგრამ უკვე დადასტურებული მასალა, რაც საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, ვგონებ, სრულიად საკმარისია მოწმის სტატუსის შესაცვლელად, თუმცა ეს საგამოძიებო ორგანოების პრეროგატივაა“, – **წერს თემო მურვანიძე სოციალურ ქსელში და ამ კონტექსტში ირაკლი ბათიაშვილის შემთხვევას იხსენებს, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს პატიმრობა ემზარ კვიციანის ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის შეუფარდეს.**

„ალბათ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ თუნდაც ირაკლი ბათიაშვილის შემთხვევა, როდესაც ადამიანმა ტელეფონში თქვა ფრაზა – „გამაგრდით, ბიჭებო“ და ამისათვის გადატრიალების მუხლით ციხეში გაუშვეს“, – **წერს პოლიტიკოსი თემო მურვანიძე „ფეისბუქში“.**

ელზა ჯმუხაძე: „გლდანის ციხეში პატიმარი კბილებს იკეთებს“

„დღეს გლდანის ციხეში პატიმარს ველოდე 3 საათი, სტომატოლოგთან იყო. რომ ამოვიდა, ვკითხე, ხომ მშვიდობა გაქვს-მეთქი და კიო, კბილებს ვიკეთებო....

სულ სამი წლის წინ იქ კბილებს მხოლოდ ამტვრევდნენ“, – **წერს „ფეისბუქში“ ადვოკატი ელზა ჯმუხაძე.**

განათლება

სახელმწიფო ბავშვებს სწავლის უფლებას ართმევს?!

განათლების სამინისტროს „საგმირო საქმეებზე“ უკვე მეორედ თუ მესამედ ვწერ, თუმცა ეს, ალბათ, გამორჩეულია, რადგან როგორც ირკვევა, სანიკიძის უწყება ადამიანს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას ართმევს და მისი მომავალი რაღაც კომისიების შემწყნარებლობაზეა დამოკიდებული. ბიუროკრატიისა და გაურკვეველი კანონის გამო, ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე თვეზე მეტია, სასწავლო პროცესის მიღმაა დარჩენილი. „ქართული სიტყვა“ ბავშვის მშობელს ესაუბრა:

– ბავშვი ქუთაისის კერძო სკოლა „მერმისში“ სწავლობდა, თუმცა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მოუწია და თბილისში გადმოვიდა, სადაც სამწუხაროდ, ერთმა სკოლამაც არ მიიღო. საჯარო სკოლა მიღებაზე უარს არ გვეუბნებოდა, თუმცა ბაზა ვერ გახსნა. ბავშვის ორივე ძმამ მობილობა მოახერხა, მონაცემთა ბაზის პრობლემების გამო კი, თვითონ გარეთ დარჩა. დირექტორმა ბოდიში მოგვიხადა და კერძო სკოლაში გადაყვანაზე მიგვითითა. იქაც იმავე პრობლემას წავაწყდით.

– სკოლებში მონაცემთა ბაზას რატომ ვერ ხსნიან, ან ბავშვის ერთი სკოლიდან მეორეში მობილობა რა პრობლემაა?

– ეს იმ ანტიკონსტიტუციური კანონის ბრალია, რომელიც პირველკლასელი ბავშვის კერძო სკოლიდან სკოლაში მობილობას კრძალავს. ამ კანონის არსი ისაა, რომ რაღაც კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო ბავშვს სწავლის უფლებას ართმევს. რაც უნდა მოხდეს, მშობელს შვილის, თუ ის პირველკლასელია, ერთი სკოლიდან მეორეში მობილობის უფლება არ აქვს... ბავშვის მონაცემთა ბაზის გახსნა მაშინაა შესაძლებელი, თუ მინისტრის დავალებით სპეციალური კომისია შეიქმნება. ამ კომისიის შექმნა და შემდეგ, მისი მუშაობა კი, საკმაოდ დიდ დროსთანაა დაკავშირებული და დაახლოებით, 40-45 დღე იკარგება.

– თქვენ კომისიის შექმნა მოითხოვეთ?

– განათლების მინისტრს მივმართე წერილით, თუმცა შაბლონური პასუხი მომივიდა: „საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 6 ოქტომბრის განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის № 1029666 06/10 /2015) პასუხად გაცნობებთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ საქ. განათლების და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის № 193 ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე- 3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მობილობა დაუშვებელია: კალენდარული წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, ასევე, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი კლასის მოსწავლეთათვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს საქ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“. ისიც მომწერეს, რომ ბავშვის მობილობა კონკრეტულად დირექტორზეა დამოკიდებული... სკოლებს მივაკითხეთ, მაგრამ ისევ და ისევ მონაცემთა ბაზების პრობლემების გამო, ბავშვი ვერსად მიიღეს. მერე, განათლების სამინისტროში გადამამისამართეს და ამ უწყებაში თავიდან მომთხოვეს განცხადების დაწერა, ასევე, – ცნობა სახლმმართველობიდან, რომ ჩვენი საცხოვრებელი ადგილის ნამდვილობა დაგვედასტურებინა. ავუხსენი, რომ სახლმმართველობის ინსტიტუტი აღარ არსებობდა და ამ უკანასკნელის ფუნქციებს საჯარო რეესტრი ასრულებდა... საჯარო რეესტრს გავაკეთებინე ცნობა, რომ ბავშვი ცხოვრობს თბილისში. ახლა ეს დოკუმენტი უნდა მივიტანო, რათა განათლების სამინისტრომ შექმნას კომისია და ყველაფერი, ალბათ, 30 დღემდე გაიწელება... სწორედ ამ დროის შემდეგ მეცოდინება, ჩემი შვილი სკოლაში ისწავლის თუ არა. ამასობაში კი ბავშვის კონსტიტუციური უფლება ირღვევა!

ბავშვთა უფლებების დამცველსაც მივმართე, მაგრამ ჯერ პასუხი არ მომსვლია. გარდა ამისა, ვაპირებ, მივმართო საერთაშორისო ორგანიზაციასაც, რომელიც ამ საკითხით ინტერესდება ხოლმე და განათლების შესახებ კანონი ირღვევა თუ არა, ეს საბოლოოდ დადგინდება!

– თუ იცით, ამ კანონის ინიციატორი ვინ იყო?

– ამაზეც შაბლონური პასუხი გამცეს.

– საჯარო სკოლიდან სხვა საჯარო სკოლაში მობილობა შესაძლებელია?

– კი, მხოლოდ კერძო სკოლიდან მობილობაა შეუძლებელი. ეს მთავრობა ყველაფერს წინამორბედებს აბრალებს... ჩემი პრობლემა ყურად არავინ იღო და ყველაფერმა ამან საბჭოთა პერიოდი გამახსენა. ჩემთვის ისაა მთავარი, რომ ჩემი შვილი თვეზე მეტია, სკოლაში ვერ დადის.

ესაუბრა დავით გალაშვილი

18 № 44 (308) 11-17 ნოემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲚᲘᲡᲬᲔᲠᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲘᲙᲘᲢᲐ

პეტა უილსოს მსოფლიო პოპულარობა 1997-2001 წლებში გადაღებულმა კანადურმა ტელესერიალმა – „ნიკიტამ“ მოუტანა. ტელესერიალი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მაღალმა, ქერა, ცისფერთვალა პეტამ მაყურებელი მალე დაატყვევა.

სერიალის დასრულების შემდეგ, პეტა ეკრანზე რამდენჯერმეღა გამოჩნდა, ისიც, – ეპიზოდურ როლებში.

ახლა ვარსკვლავი 44 წლისაა და ამბობს, რომ ტელესერიალის წყალობით, მისი ნამდვილი სახელი უახლოეს ადამიანებსაც დაავიწყდათ და დღემდე ნიკიტას ეძახიან.

1997 წლიდან, პეტა რეჟისორ დამიან ჰარისთან ერთად ცხოვრობდა. მათი რომანი 2002 წელს დასრულდა.

წყვილს 13 წლის ვაჟი, მარლოუ ჰყავს.

ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲑᲜᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲚᲝᲠᲓᲐᲓ „ᲒᲐᲓᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ“

მსოფლიოში პირველად, ოდესაში, სითჰების მბრძანებლის, იმპერიის არმიის უმაღლესი მთავარსარდლის, დართ ვეიდერის ძეგლი დადგეს. ძეგლის ავტორი ოდესელი მხატვარი ალექსანდრ მილოვაა, რომელმაც შავი ძალების რაინდის ძეგლი ვლადიმერ ლენინის ქანდაკებას „დააშენა“. სხვათა შორის, ლენინის ძეგლის დემონტაჟს დეკომუნიზაციის კანონი ითვალისწინებს.

„ბნელეთის ლორდის ძეგლი ტურისტულ მარშრუტშიც შევა“, – იმედოვნებს ძეგლის ავტორი. მისივე თქმით, სახეცვლილი ლენინის ირგვლივ დასასვენებელ ზონას მოაწყობენ.

სხვათა შორის, დართ ვეიდერის მონუმენტი უკაბელო ინტერნეტსაც „ავრცელებს“ – შესაბამისი მოწყობილობა მის თავშია ჩამონტაჟებული.წყვილს 13 წლის ვაჟი, მარლოუ ჰყავს.

ᲠᲣᲞᲔᲠᲢ ᲛᲔᲠᲓᲝᲙᲡ ᲛᲘᲙ ᲯᲐ�გᲔᲠᲘᲡ ᲪᲝᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ

მსოფლიოში სახელგანთქმული მედიამაგნატი, რუპერტ მერდოკი კვლავ მედიის ყურადღების ცენტრშია – 84 წლის რუპერტი მიკ ჯაგერის ყოფილ მეუღლეს, 59 წლის მოდელს, ჯერი ჰოლსს ხვდება.

„ისინი ერთად თავს საუკეთესოდ გრძნობენ“, – ამბობენ მერდოკის მეგობრები.

სხვათა შორის, ორი წლის წინ, მერდოკი ვენდი დენგს დაშორდა, რომელთანაც 14 წელი გაატარა. როგორც მაშინ ითქვა, წყვილის დაშორების მიზეზი ღალატი გახდა – გავრცელებული ინფორმაციით, ვენდი დენგმა მაგნატი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერზე გაცვალა.

რაც შეეხება ჯერი ჰოლსს, მან მიკ ჯაგერთან 9 წელი გაატარა. მართალია, წყვილს 4 შვილი ჰყავდა, მაგრამ მაინც დაშორდა – ჯაგერი ბრაზილიელ მოდელ ლუჩანა მორადისთან წავიდა.

მიკ ჯაგერსა და ჯერის მაშინაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, როცა მომღერალმა რომანი საფრანგეთის პირველ ლედისთან, კარლა ბრუნისთან გააჩაღა.

განქორწინების შემდეგ, ჯაგერმა ყოფილ მეუღლეს შერიგება რამდენჯერმე სთხოვა, მაგრამ ამაოდ.

შეგახსენებთ: რუპერტ მერდოკი სამჯერ იყო დაქორწინებული: პირველად მისი მეუღლე გამყიდველი პატრისია ბუკერი გახლდათ. შემდეგ, ჟურნალისტ ანა ტორვიზე იქორწინა, ბოლოს კი, – ბიზნესპარტნიორ ვენდი დენგიზე.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ



„ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘᲡ ᲕᲐᲨᲚᲔᲑᲘ“ — ᲕᲘᲡᲝᲪᲙᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ცნობილი საბჭოთა ბარდი, პოეტი, მომღერალი და მსახიობი ვლადიმერ ვისოცკი, მე-20 საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს, აშშ-ს ხშირად სტუმრობდა. ერთ-ერთი სტუმრობისას, აშშ-ში მცხოვრები მეგობრების, ანუ საბჭოთა დისიდენტების ,,სახლის სტუდიებში“ მრავალი სიმღერა ჩაწერა, თუმცა ოკეანისგაღმა ჩაწერილი სიმღერებიდან სამშობლოში ერთიც არ გამოუქვეყნებია — ამ სიმღერების შინაარსი და პათოსი საბჭოთა ხელისუფლებისთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო და ცენზურა დაბლოკავდა.

ახლახან, მომღერლის ერთ-ერთმა მეგობარმა, კალიფორნიელმა მუსიკოსმა მაიკლ მიშმა ინტერნეტში ვისოცკის აქამდე უცნობი და ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური სიმღერა გამოაქვეყნა, რომელიც ბიბლიური და სტალინური რეპრესიების ისტორიულ მოტივებზეა შექმნილი. სიმღერას ,,სამოთხის ვაშლები — მესამე ვარიაცია“ ჰქვია და მაიკლ მიშის ბინაში ვისოცკიმ 1979 წელს, გარდაცვალებამდე 3 წლით ადრე ჩაწერა...

ᲕᲘᲜ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ „ᲕᲘᲙᲘᲚᲘᲥᲡᲡ“

როგორც სოციალურ ქსელ ყოუტუბე-დან ხდება ცნობილი, ქართულ მედიასივრცეში ბოლო დროს გამოქვეყნებული სკანდალური ფარული ჩანაწერების გამავრცელებელ უკრაინულ „„ვიკილიქსს“ იატაკქვეშეთიდან უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, 1981 წელს დაბადებული, ლვოველი სერგეი კირნიკი ხელმძღვანელობს.

youtube-ში, нформаційний портал СЛОВО-ს სახელწოდების არხზე გავრცელებულ ვიდეოებში კირნიკი აცხადებს, რომ ის პოროშენკოს აპარატთან მიმაგრებული უშიშროების თანამშრომელი იყო და სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ, გადაწყვიტა, ,,არა პოლიტიკოსების, არამედ ხალხის სამსახურში მყოფი პატრიოტი გამხდარიყო და უკრაინის წინააღმდეგ არსებული შეთქმულება გამოეაშკარავებინა“.

,,პოროშენკო, სააკაშვილი, იაცენიუკი და აშშ-ისა თუ რუსეთის სხვა მსახურები დასჯილი იქნებიან“, — აცხადებს უშიშროების ყოფილი თანამშრომელი.

უკრაინული მედია კირნიკის მფარველად ხან რუსულ სპეცსამსახურებს ასახელებს, ხან კი, — პოროშენკოს ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ოლიგარქებს, თუმცა ამ დრომდე, ამ თემასთან დაკავშირებით ზუსტი და დამაჯერებელი ინფორმაცია არ არსებობს.

47 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲐ

აშშ-ში, მასაჩუსეტის შტატში, 47 წლის ქალმა საკუთარი ორსულობის შესახებ მშობიარობამდე ერთი საათით ადრე გაიგო — ჯუდი ბრაუნი საავადმყოფოში მუცლის მწავვე ტკივილით გადაიყვანეს და მალე ჯანმრთელი გოგონა შეეძინა.

ქალი ფიქრობდა, რომ მუცელი წონის მატების გამო გაეზარდა, სხვა ფიზიკურ ცვლილებებს კი, რაც ფეხმძიმობას ახლავს, „ცხოვრების ახალ ეტაპს“ — მენოპაუზას მიაწერდა.

როცა მუცლის ტკივილი აუტანელი გახდა, ქალი, 48 წლის მეუღლესთან ერთად, ქალაქ ბევერლის საავადმყოფოში წავიდა, სადაც უთხრეს, რომ ფეხმძიმედ იყო და წუთი-წუთზე მშობიარობა დაეწყებოდა...

ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲝᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲝᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ

ჩინეთის კომუნისტური პარტიის განცხადებით, ოჯახს ორი შვილის ყოლის უფლება ეძლევა. ეს გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციაა.

ათწლეულების განმავლობაში, ოჯახებს მხოლოდ ერთი შვილის ყოლის უფლება ჰქონდათ — მრავალშვილიანობა მკაცრი გადასახადებით ისჯებოდა.

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯანსულის სიცილნათელები

ირმას!

ჟამი გვიდგას მზის ამოსვლის,
ბრწყინავს შენთვის, ბრწყინავს სხვისთვის,
როგორც ყველა გენიოსი,
შენ ხარ „გიჟი“ პიანისტი.

ტირილი

აღარა გვაქვს არხოტი და შატილი,
აღარა გვაქვს
აღარც გული, არც – ტვინი,
ძველ ხევსურეთს
ახლებურად შავტირი,
სიკვდილო, შენ
მაინც მეცი პატივი.

ჩემს თავს ვეკუთვნი

მე ვცხოვრობ
ჩემი თავის ამარა,
როგორც გუთანი
არის მეგუთნის,
მე არავისი
კაცი არა ვარ,
ჩემი სიცოცხლე
ჩემს თავს ვეკუთვნი!

მსგავსება

ვერც სიძულვილს
ვერ ავცდებით,
ვერ გავიყოფთ
ერთ მანეთს,
დედა-დედა,
ეს „ნაცები“
როგორ გვანან
ერთმანეთს.

ერთ არაკაცს!

შენა ხარ ტურა შავი ტყის,
ჰოდა, ირმობას ნუ ჩემობ,
შენს გვარს არა და არ ვიტყვი,
შენს გვარს პატივს ვცემ უშენოდ.

სადღეგრძელო

დღეს ასეთი სადღეგრძელო შევსვი,
„საქართველო აღარ არის, გესმით?“
ვიღას ახსოვს ან აკაკის ლექსი,
ძღ..რსა სჭამენ და ჰგონიათ კექსი.
სიყვარულზე უფრო „უკეთესი“,
ჟამი გვიდგას სიძულვილის თესვის,
შური, ბოღმა, სიძულვილი, გესლი,
ის მღერის და მე კი მაგრა ვკვნესი.

კახური

არც კაცი არა ხარ,
არც ქუდი გახურავს
და სანამ დაგმარხავ,
გაგინებ კახურად.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოძველებს თავისუფალი პრესის პრინციპით